დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM
# ასავალ-დასავალი
2022 წლის 25 - 31 ივლისი
N31 1443
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

## სამი მოსამართლის საზოგადოება ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ




თურმე, მოსამართლე ლავრენტი მაღლაკელიძის შვებულება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ქართული სახელმწიფო, რომელსაც ნიკა გვარამიას საქმე ალესილი ნაჯახივით ადევს კისერზე!

2-3






## შვეიცარიის ბანკი,

8-9

ანუ ერთ დროს გაუტეხელი ბანკის გატეხილი სახელი

### ირაკლი კაკაბაძე:

## დუბაიში თეიმურ ალასანიას ანგარიშზე 4,5 მილიარდი ამერიკული დოლარი აღმოაჩინეს!

7



## ამერიკის ელჩი წალენჯიხის ავტობუსში ჩაჯდა!

11-12




### მირიან ყარაულაშვილი:

## სააკაშვილი თავიდან ბოლომდე რუსული პროექტია!

20



„საქართველოში გადატრიალების მოწყობა მხოლოდ რუსეთის ინტერესებში შედის!“

## ჩამოვიდა ჰარცელად, გაიძურწა ნაცელად!

10

### ელიზბარ ჯაველიძე:

## ზვიადმა მიპასუხა – კიდევ ერთხელ გეუბნები, ეგ თამარა ჩხეიძე ისეა შემორჩენილი, მერაბს მოკლავს და მკვდარს ჩამოიტანენო!



4-6





### მაყვალა ბერიანიძე:





## რატომ გააქრო შევარდნაძემ წერილი, რომელშიც ქიული შარტავას წამება დეტალურად იყო აღწერილი?

22

## ვინ არის დღეს საქართველოში ოლიგარქი?

19

### მაია ნიკოლეიშვილი:



## ყოჩაღ, მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძეს!

13

„ქალი დეგნანმა ამერიკული დიპლომატია მიწასთან გაასწორა!“



14

## ცნობილი ჩამშვები „დელფინა“ აკაკისაც მიახტა!

სწორედ ლევან ბერძენიშვილსა და მისთანა ნაძირალებზე აქვს აკაკის დაწერილი ლექსი „ფარისეველი“...

### შაჰ აივაზოვი:

## ომი შავ-თეთრია, ფერადი ვერ იქნება!

26



# სამი მოსამართლის საბოტაჟი ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ

***2022 წლის 19 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლოში შედგა ნიკა გვარამიას პროცესი, რომელსაც წარმართავდა სასამართლო კოლეგია სამი მოსამართლის — მერაბ ჟორბენაძის, ლავრენტი (ლაშა) მაღლაკელიძისა და დავით მამისეიშვილის ხელმძღვანელობით.***

მოგეხსენებათ, ნაცმოძრაობის პროპაგანდისტული ორგანოს — **„მთავარი არხის“ დირექტორის** დაპატიმრება ერთ-ერთი ის საკითხია, რომელმაც ქვეყანაში პოლიტიკური ტურბულენტობა გამოიწვია და საქართველოს ხელისუფლება ევრო-ამერიკელ ჩინოვნიკთა გააფთრებული თავდასხმების ობიექტად აქცია. მაგალითად, **გვარამიას გასამართლება და ციხეში ჩასმა იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც 308 ევროპარლამენტარმა საქართველოსთან დაკავშირებით უაღრესად კრიტიკული, ცილისმწამებლური და შეურაცხმყოფელი რეზოლუცია გამოაცხო** — პირველი ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც **ბიძინა ივანიშვილი** ოლიგარქად არის მოხსენიებული.

19 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლოში **გვარამიას საქმის** განხილვას წინ უსწრებდა **ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის** სხდომა, რომელზეც **ევროპარლამენტარმა მაიკლ გალერმ** საკუთარ თავს კიდევ ერთხელ მისცა უფლება, ქართული სასამართლოს კომპეტენციაში უხეშად ჩარეულიყო და ქართველ მოსამართლეებზე პოლიტიკური ზეწოლის მოხდენა ეცადა — **იმედი მაქვს, სააპელაციო სასამართლო გვარამიას პირველივე პროცესზე გაამართლებსო!**

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოში **„მთავარი არხის“ დირექტორის** საქმის განხილვის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე სკანდალური განცხადება გააკეთა **თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძემ** — იმის გამო, რომ გვარამიას გამამტყუნებელი განაჩენი გამოვუტანე და პატიმრობა შევუფარდე, აშშ-ის საელჩომ ჯერ ახსნა-განმარტება მომთხოვა, მერე კი ამერიკაში ტრენინგზე გასამგზავრებელ მოსამართლეთა სიიდან ამომშალაო!





მოსამართლე ჟორბენაძე, მოსამართლე მაღლაკელიძე, მოსამართლე მამისეიშვილი

## თურმე, მოსამართლე ლავრენტი მაღლაკელიძის შვებულება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ქართული სახელმწიფო, რომელსაც ნიკა გვარამიას საქმე ალესილი ნაჯახივით ადევს კისერზე!

**ერთი სიტყვით, გვარამიას საქმის განხილვა რიგითი სასამართლო პროცესი ნამდვილად არ არის და მას დასავლეთში გამადიდებელი შუშით აკვირდებიან, რათა მცირედი გადაცდომის შემთხვევაშიც კი საქართველოს ხელისუფლებას მორიგი პოლიტიკური სილა უთავაზონ კოლექტიურმა კუბილიუსებმა, ფონ კრამონებმა, ფოტიგებმა და ჟიგიმანტას-გიჟიმანტასებმა, რომლებსაც სააკაშვილის რეპრესიული რეჟიმის ყოფილი პროკურორი და თავისუფალი მედიის ყოფილი ჯალათი დღეს ოპოზიციური მედიის ვარსკვლავად და პოლიტიკურ პატიმრად მიაჩნიათ.**

**გვარამიას სასამართლო პროცესისადმი** ე.წ. საერთაშორისო პარტნიორების გაფაციცებულ ყურადღებაზე ისიც მეტყველებს, რომ **19 ივლისს სააპელაციო სასამართლოში გამართულ სხდომას დარბაზშივე ადევნებდნენ თვალს ჩეხეთის ელჩი, პოლონეთის საელჩოს წარმომადგენელი და საქართველოში ევროკავშირის ოფისის თანამშრომელი.**

ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, **გვარამიას საქმის** განმხილველ კოლეგიას, **მოსამართლე ჟორბენაძის, მოსამართლე მაღლაკელიძისა** და **მოსამართლე მამისეიშვილის** შემადგენლობით, გაათკეცებული პასუხისმგებლობა ეკისრებოდა, რომ პროცესი ზეპროფესიონალურად, კანონმდებლობისა და მორალურ-ეთიკური ნორმების სკრუპულოზური დაცვით წარემართა.

**დიახ, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები არამხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და თავიანთი სინდისის, არამედ ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ერის წინაშე იყვნენ ვალდებული, გვარამიას პროცესს არცერთი დაინტერესებული მხარის, მათ შორის, კუბილიუს-ფოტიგების თვალში დამატებითი კითხვის ნიშნები არ გაეჩინა და არ დაეტოვებინა სივრცე პოლიტიკური სპეკულაციების ახალი ტალღისათვის.**

თუმცა, **სააპელაციო სასამართლოს კოლეგია** ყოველივე ამის საპირისპიროდ მოიქცა!

## მოსამართლე ჟორბენაძემ, მოსამართლე მაღლაკელიძემ და მოსამართლე მამისეიშვილმა გამოამჟღავნეს სამარცხვინო უპასუხისმგებლობა, რომელიც პირდაპირ ასხამს წყალს გვარამიასა და ნაცსექტის წისქვილზე და პირდაპირ ზურგში ურტყამს დანას ქართულ სახელმწიფოს!

კერძოდ, **მოსამართლე ჟორბენაძემ, მოსამართლე მაღლაკელიძემ** და **მოსამართლე მამისეიშვილმა** მთელი ქვეყნის დასანახად, მათ შორის, სასამართლოს დარბაზში მსხდომი ევროპელი დიპლომატების თვალწინ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი თავზე გადაიხიეს იმ მიზეზით, რომ აგვისტო მოდის, **შვებულებების პერიოდი** იწყება და უნდა დაისვენონ!

## კვირგვინოსნები



**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*

ჩემი თხოვნაა, **ევროპული კომისია გაემიჯნოს დეოლიგარქიზაციაზე ჩანაწერის პერსონიფიკაციას.** რეზოლუციაში საუბარი, რომ მთავრობა, რეალურად, არა პრემიერის, არამედ პოლიტიკიდან წელიწად-ნახევრის წინ საკუთარი ნებით გასული ადამიანის მიერ იმართება, **შეურაცხმყოფელია პირადად ჩემთვის და ჩემი ქვეყნისთვის!**

„პირველი არხი“



**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*

ცალკეული ევროპარლამენტარის განცხადებებს **ევროპასთან და ევროპულ ღირებულებასთან საერთო არა აქვს,** ევროპა და ევროპული ღირებულებები სხვანაირად წარმომიდგენია.

„იმედინიუსი“



**ირაკლი კობახიძე**
*„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*

რეზოლუციას ჩვენთვის აქვს **ჩალის ფასი** ერთი მარტივი მიზეზის გამო — როცა რეზოლუცია იმაზე საუბრობს, რომ **სააკაშვილი და გვარამია** უნდა გათავისუფლდნენ, დაისაჯოს **ივანიშვილი,** რა თქმა უნდა, **ჩალის ფასი** ექნება დოკუმენტს. **კარლ ჰარცელი მხოლოდ უარყოფით როლს ასრულებდა ევროკავშირსა და საქართველოს ურთიერთობებში** — იმედი გვაქვს, რომ მომავალი ელჩი განსხვავებულად იმოქმედებს.

„ინტერპრესნიუსი“



**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*

დეპოლარიზაციის მიზნით ჩემი პასუხისმგებლობა საკმარისად ავიღე, სამი ადამიანი შევიწყალე: **უგულავა, ოქრუაშვილი და რურუა** — გასამდა და დამთავრდა!

„TV პირველი“



**თეა წულუკიანი**
*კულტურის მინისტრი*

ვისურვებდი, რომ, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი ერთსა და იმავე გამოსვლაში **აქტიურად იცავს უცხო ქვეყნის ელჩს** ჩვენს ქვეყანაში, მან თუნდაც **იმის ნახევარი მონდომებით დაიცვას ჩვენი ელჩები.**

„TV იმედი“






**წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუ სტრასბურგის სასამართლო დაასკვნის, რომ საქართველოში გვარამიამ სამართლიანი სასამართლოს უფლებით ვერ ისარგებლა, რადგან თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამმა მოსამართლემ საქმის განხილვის საპროცესო ვადები დაარღვია შვებულებისა და დასვენების მოტივით!**





ქართული სასამართლო სისტემის „მამები" — ლევან მურუსიძე და მიხეილ ჩინჩალაძე

# იქნებ მურუსიძე-ჩინჩალაძის ტანდემი, რომელიც ნაცრეჟიმის ნავიდან „ოცნების" ნავში წარმატებით გადაჯდა, ახლა კვლავ ძველ ნავში აპირებს დაბრუნებას და თავისი მორჩილი მოსამართლეების ხელით უთხრის ძირს დღევანდელ ხელისუფლებას?

საქმე ის არის, რომ **საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის** მიხედვით, სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულის საქმის განხილვა **ორი თვის ვადაში** უნდა დაასრულოს, თუმცა, **მოსამართლე ჟორბენაძემ, მოსამართლე მაღლაკელიძემ** და **მოსამართლე მამისეიშვილმა** გვარამიას მომდევნო სასამართლო **პროცესი 2022 წლის 4 ოქტომბერს,** ანუ **ორთვე-ნახევრის შემდეგ** ჩანიშნეს. გვარამიას ადვოკატ **დიმიტრი საძაგლიშვილის** რეპლიკას — **კი მაგრამ, ეს ხომ საპროცესო ვადების დარღვევა არისო,** მოსამართლე ჟორბენაძემ გამაოგნებელი პასუხი გასცა — **კი ბატონო, ვიცით, რომ საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ ვადას ვარღვევთ, მაგრამ რა ვქნათ, აგვისტოს თვეში შვებულებები გვეწყება, სექტემბერში კი სხვა პროცესები გვაქვს ჩანიშნული და ამ საქმისთვის ოქტომბრამდე ვერ მოვიცლითო!**

მოსამართლეებს თავად მსჯავრდებულმა **გვარამიამაც** მიმართა — **მესმის, რომ აგვისტო შვებულებების პერიოდია, მაგრამ ხომ შეიძლება, მომდევნო პროცესი ივლისის თვეში ჩანიშნოთო?!** მსჯავრდებულის პასუხად **მოსამართლე ჟორბენაძემ** კვლავ „რკინის არგუმენტი" მოიშველია — **არ გამოვა, რადგან კოლეგიის წევრი ლავრენტი (ლაშა) მაღლაკელიძე 25 ივლისიდან შვებულებაში გადისო!** მოსამართლის ამ პასუხზე მსჯავრდებულმა **გვარამიამ** მრავალმნიშვნელოვნად ჩაიცინა და თქვა — **საპროცესო ვადების დარღვევაც ჩემთვის პასუხია, ყველაფერი გასაგებიაო!**

კიდევ ერთხელ ხაზგასმით შეგახსენებთ — **ეს ყველაფერი მოხდა ჩეხეთის, პოლონეთისა და ევროკავშირის საელჩოების წარმომადგენელთა თანდასწრებით, რომლებიც სხდომათა დარბაზში გვარამიას პროცესს საგანგებოდ უწევდნენ მონიტორინგს!**

ჰო, **მოსამართლე ჟორბენაძემ, მოსამართლე მაღლაკელიძემ** და **მოსამართლე მამისეიშვილმა** ევროპელი დიპლომატების თვალწინ განაცხადეს, რომ საპროცესო კოდექსი არ აინტერესებთ და კანონის ნორმა, რომელიც საქმის განხილვის დასასრულებლად ორთვიან ვადას აწესებს, ფეხებზე ჰკიდიათ, რადგან შვებულებით უნდა ისარგებლონ და დასასვენებლად წავიდნენ!

**გესმით? თურმე, მოსამართლეების შვებულება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზე მაღლა დგას!**

**თურმე, მოსამართლე ლავრენტი მაღლაკელიძის დასვენება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ქართული სახელმწიფო, რომელსაც გვარამიას საქმე ალესილი ნაჯახივით ადევს კისერზე!**

თურმე, ე.წ. დასავლელი პარტნიორების თვალში საქართველოს ხელისუფლების რეპუტაცია და ქართული სახელმწიფოს იმიჯი იმის გამო უნდა შეილახოს, რომ **მოსამართლე ჟორბენაძეს, მოსამართლე მაღლაკელიძესა** და **მოსამართლე მამისეიშვილს** არ სურთ, ზღვის სანაპიროზე გარუჯვა თუ მთის სუფთა ჰაერის ჩაყლაპვა ერთი-ორი კვირით გადადონ!

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეების მიერ საპროცესო კანონმდებლობის ასეთ უხეშ და ცინიკურ დარღვევას გვარამია და ნაცსექტა არამხოლოდ პოლიტიკური სპეკულაციებისათვის გამოიყენებენ, არამედ წმინდა სამართლებრივი კუთხითაც თავიანთ სასარგებლოდ შეფუთავენ, როცა საქმეს სტრასბურგის სასამართლოში წაიღებენ!**

აბა, წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუ სტრასბურგის სასამართლო დაასკვნის, რომ საქართველოში **გვარამიამ** სამართლიანი სასამართლოს უფლებით ვერ ისარგებლა, რადგან **თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამმა მოსამართლემ საქმის განხილვის საპროცესო ვადები დაარღვია შვებულებისა და დასვენების მოტივით!**

აი, მერე ნახეთ თქვენ **კუზილიუს-ფონ კრამონების** ტანსაცმლიდან ამოხტომა და **გვარამიას** პოლიტპატიმრად გამოცხადება, საქართველოს ხელისუფლების მიჭირხვნა და **„ივანიშვილის ოლიგარქიული რეჟიმის"** შეჩვენება!

საკითხავია, რასთან გვაქვს საქმე — **მოსამართლე ჟორბენაძის, მოსამართლე მაღლაკელიძისა** და **მოსამართლე მამისეიშვილის** ცინიკურ უპასუხისმგებლობასთან თუ სრულიად შეგნებულ **საბოტაჟთან ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ?** იქნებ ეს სამი მოსამართლე გვარამიას საქმის განხილვისას სრულიად მიზანმიმართულად არღვევს საპროცესო კანონმდებლობას, რათა საქართველოს ხელისუფლების შინაურ და გარეულ მტრებს დამატებითი ბერკეტები ჩაუგდოს ხელში? **იქნებ მურუსიძე-ჩინჩალაძის ტანდემი, რომელიც ნაცრეჟიმის ნავიდან „ოცნების" ნავში წარმატებით გადაჯდა და სასამართლო სისტემის ბატონ-პატრონად იქცა, ახლა კვლავ ძველ ნავში აპირებს დაბრუნებას და თავისი მორჩილი მოსამართლეების ხელით უთხრის ძირს დღევანდელ ხელისუფლებას?**

ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადზე უცხადესია:

**შვებულება-დასვენებაზე დახამებულმა მოსამართლეთა ტრიომ უკვე შეძლო გვარამიას პროცესის დისკრედიტაცია და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა სააპელაციო განაჩენის ობიექტურობა, რომელსაც შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ საპროცესო ვადების დარღვევით გამოიტანს!**

საქართველოს ხელისუფლებაში ამაზე კარგად უნდა დაფიქრდნენ და „ქართული ოცნების" იმ ჯგუფს, რომელიც **მურუსიძე-ჩინჩალაძის კლანს** ლობირებს, პასუხი მოსთხოვონ!

ეს დროზეა გასაკეთებელი, სანამ „ქართული ოცნების" მიერ **სააკაშვილ-ადეიშვილის რეჟიმისაგან გადმობარებული მოსამართლეები** არამხოლოდ სასამართლოს, არამედ მთლიანად ქართულ სახელმწიფოს ჩამოშლიან!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ქადაგიშვილი**
*პარლამენტარი*



ფსიქოზის რიტორიკას ნუ შევქმნით, **საქართველოს ხელისუფლება და აშშ არიან მოკავშირეები,** წერტილი.

„პირველი არხი"

**ლაშა ჩხიკვაძე**
*მოსამართლე*



**კელი დეგნანს:** მაქვს ლეგიტიმური უფლება, ვიცოდე, რა მოქმედებასთან მაქვს საქმე, **არის მოსამართლე სანქცირებული თუ არ არის.** აშშ-ის საელჩოს მხრიდან იყო შემოთავაზება, შეხვედრა ყოფილიყო კონფიდენციალური, **ჩვენი საუბრიდან ერთ საათში 20-მდე ჟურნალისტი დამიკავშირდა შეკითხვით, რატომ დაიბლოკეთ აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში?**

„პირველი არხი"

**შოთა ქადაგიძე**
*იუსტიციის საბჭოს ყოფილი წევრი*



**ლაშა ჩხიკვაძის** შემთხვევა არის მესიჯი სხვა მოსამართლეებისთვის, რომ, **თუ საელჩოს თანამშრომლებისთვის სასურველ გადაწყვეტილებებს არ მიიღებენ,** შესაძლოა, მათ მიმართაც განხორციელდეს ანალოგიური სანქციები.

„TV იმედი"

**სოსო შატბერაშვილი**
*„მემარცხენე ალიანსის" ლიდერი*



ქვეყანაში **პოლარიზაციის აღმოფხვრა შეუძლებელია,** რადგანაც მთავარ ოპოზიციურ ძალად ნაციონალური მოძრაობა განიხილება.

„GTMEDIA"

**დიმიტრი ხუნდაძე**
*პარლამენტარი*



რა თქმა უნდა, **გვინდა ევროპა** და **ბნელ რუსეთში** დაბრუნებას არავინ აპირებს.

„იმედინიუსი"

*საქართველოს ეროვნული ხელისუფლების განათლების ყოფილი მინისტრი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მწერალი, პუბლიცისტი და აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე ეროვნული მოძრაობის გარიჟრაჟზე ქვეყანაში განვითარებულ ურთულეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს ეხმიანება და ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავასთან დაკავშირებულ იმ რამდენიმე ამბავს იხსენებს, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის ჯერაც უცნობია. ეროვნული და საზოგადო მოღვაწე, რომელიც იმ დრამატული მოვლენების შუაგულში ტრიალებდა, აცხადებს, რომ „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში“ მერაბისადმი — თამრიკო ჩხეიძის დიდი სიყვარული, ხოლო ზვიადისადმი დიდი სიძულვილი გამოიკვეთა:*






## ელიზბარ ჯაველიძე:

# ზვიადმა მიპასუხა – ელიზბარ, კიდევ ერთხელ გეუბნები, ეგ თამარა ჩხეიძე ისეა შემოჩენილი, მერაბს მოკლავს და მკვდარს ჩამოიტანენო!



ბორითი. 1989 წლის 13 ოქტომბერი. ტრაგედიის შემდეგ

— ვიდრე მთავარ სათქმელს მოგახსენებდეთ, დიდი გულისტკივილით მინდა, აღვნიშნო, რომ **მავანი აგრძელებს უსინდისო მცდელობას და ერთმანეთს უპირისპირებს ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას.** „ამტკიცებენ“, თითქოს მერაბი უფრო დიდი იყო და თითზე აქვთ დახვეული ზვიადის ე.წ. მონანიება. ზღაპრებს ზვიადის „მონანიების“ შესახებ თავიდანვე „კაგებე“ ავრცელებდა და მე პირადად მომსწრე ვარ ამის. ასე, მაგალითად, საბჭოთა საქართველოს „კაგებეს“ ხელმძღვანელის **ალექსი ინაურის** ვაჟი **ალიკა ინაური** ჩემი ბავშვობის მეგობარი იყო. ალიკას შვილი ჩემი ნათლულია... იმხანად ალიკა ინაური საქართველოში იყო ჩამოსული და მე და **ლერი გამრეკლიძემ** — ჩემმა უახლოესმა მეგობარმა, გადავწყვიტეთ, წყნეთში მასთან შეგვევლო და მერე საქეიფოდ წავსულიყავით. გზაში შეგვხვდა **ჯანსუღ ჩარკვიანი** და ისიც წავიყვანეთ. ავედით წყნეთში... **სანამ ალიკა ინაური ტანსაცმელს იცვამდა, მე, ლერი და ჯანსუღი ეზოში ვლაპარაკობდით...**

**— ბატონო ელიზბარ, ეს რა დრო იყო?**

— **ეს იყო სწორედ ის პერიოდი, როცა მერაბი დაპატიმრებულია, ხოლო ზვიადი — გადასახლებული.** ალექსი ინაური ისეთი კაცი იყო, არასოდეს ახალგაზრდების საქმეში არ ჩაერეოდა. რამდენჯერაც მასთან სტუმრად ავსულვართ, საუბარიც კი არ გაუმართავს ჩვენთან. ჯანსუღი ენაკვიმატი კაცი იყო და ალექსი ინაურს ღლაბუცი დაუწყო — **ბატონო ალექსი, თქვენ ზვიადს რაღაც წამალი დაალევინეთ და ზვიადმა ყველაფერი აღიარა, ხოლო ეს წამალი მერაბზე გაგითავდათ, ხომ?** ინაური ჯანსუღს ამ ღლაბუცში აჰყვა და იმანაც გაიმეორა — **ჰო, წამალი აღარ გვეყო და მერაბს ველარ დავალევინეთო!**

აი, ეს ისტორია, მერე ათასნაირად შელამაზებული, გადატრიალებული და გადმოტრიალებული, სხვადასხვა ადგილას დამხვდა და სხვები მიყვებოდნენ ამბავს, რომელიც ჩემ თვალწინ გათამაშდა. ზვიადის დარი კაცი საქართველოს არც განათლებით, არც ჭკუით და არც მამულიშვილობით არ ჰყოლია! არც შევადარებ ვინმეს. რაც შეეხება მერაბს, იგი ურთიერთობის კაცი იყო. ზვიადი გარეგნულად ცივი და უკარება კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ სინამდვილეში შინაგანად ძალიან თბილი ადამიანი გახლდათ. მერაბს კი ყველასთან შეეძლო ურთიერთობის დამყარება და საერთო ენის გამონახვა.

**— ზვიადის ე.წ. მონანიებას როგორ აფასებთ?**

— ჩემთვის ეს საკითხი იმთავითვე გარკვეული იყო. ზვიადი გამოვიდა სასამართლოზე და თქვა — **ჩვენი მიზანია დამოუკიდებელი საქართველოო!** ამ ე.წ. მონანიებით ზვიადი კიდევ უფრო დაადგა ეროვნული მოძრაობის გზას, რუსი და ებრაელი დისიდენტებისგან განსხვავებით, რომლებიც საზღვარგარეთ გაიქცნენ და დაიკარგნენ, ზვიადი დარჩა და ბოლომდე იბრძოლა. „მონანიება“ იყო ერთგვარი ტაქტიკური სვლა, თორემ ზვიადის დიად მიზანში, რასაც დამოუკიდებელი საქართველო ერქვა, არაფერი შეცვლილა! ზვიადი პროცესებს წინასწარმეტყველის სიზუსტით ჭვრეტდა და პირადად ჩემთვის არაერთხელ უთქვამს — **ელიზბარ, იცოდე, არც რუსეთს, არც ამერიკას და არც ევროპას საქართველოს დამოუკიდებლობა ხელს არ აძლევსო!** განა ასე არ არის? ყველაფრიდან არ ჩანს, რომ ერთიც, მეორეც და მესამეც ისე გვიყურებს, როგორც კოლონიას?

**— თამრიკო ჩხეიძე ზვიად გამსახურდიას რატომ გადაემტერა და რა ხდებოდა მერაბ კოსტავასა და თამრიკო ჩხეიძეს შორის?**

— მე ვიცი ერთი რამ — კომუნისტურმა ხელისუფლებამ **ირაკლი აბაშიძის** თავმჯდომარეობით შექმნა **„რუსთაველის საზოგადოება“,** სადაც ყველა ცნობილი პიროვნება შეიყვანეს. საზოგადოების ერთმა ნაწილმა, ვისაც კომუნისტების მიერ შექმნილი „რუსთაველის საზოგადოება“ არ მოსწონდა, შექმნა **„ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“,** სადაც ბევრმა ისეთმა პირმა მოიყარა თავი, რომელიც „კაგებესთან“ კავშირში იყო შემჩნეული. ამის გამო ზვიადი მათ დაუპირისპირდა... ამ დაპირისპირების დროს მერაბმა უთხრა ზვიადს — **მე „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში“ მავანთან და მავანთან საერთო ენას გამოვნახავო!** ზვიადი დათანხმდა და მერაბს უთხრა — ჩვენი ძმობა ურყევია და თუ ასე თვლი, კი ბატონო, გამონახეო! აი, ასე „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში“ გამოიკვეთა **თამრიკო ჩხეიძის** დიდი სიყვარული მერაბისადმი და დიდი სიძულვილი — ზვიადისადმი.

**— ეს როგორი სიყვარული იყო, ქალისა და მამაკაცის სიყვარული თუ მერაბ კოსტავას, როგორც დისიდენტისა და**

## კვირგვინოსნები



**ალეკო ელისაშვილი**
*„მოქალაქეების“ ლიდერი, პარლამენტარი*

არ გამოვრიცხავ და **ლოგიკური იქნება, ბევრი ადამიანი მოხვდეს ოლიგარქების სიაში,** მათ შორის ჩემი ძმადნაფიცი **კახა ოქრიაშვილი, კეზერაშვილი,** ჯარის გამძარცველი, **ხაზარაძე** და, რა თქმა უნდა, **ბიძინა ივანიშვილი.** ყველაზე მდიდარი ქართველი ისაა, ვისზეც გვაქვს საფუძლიანი ეჭვი, რომ ქვეყანას გაუკუღმართებულად მართავს.

რიგგარეშე სხდომის მოწვევას ხელი არ მოვაწერეთ, ოპოზიციას ვეუბნებოდით, რომ ეს სიცანცარე იყო, **ოპოზიციის სიცანცარის გამო „ქართული ოცნება“ კიდევ ერთხელ გამარჯვებული გამოვიდა.** ცოტა მეტი სერიოზულობა გვმართებს.

„პირველი არხი“



**ვასილ მაღლაფერიძე**
*საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე*

ამის წინათ ევროპელმა ოფიციალურმა პირმა, მგონი, ევროპარლამენტარმა, განაცხადა, **თუ ივანიშვილს ქვეყანა უყვარს და პატრიოტია, უნდა წავიდეს, გაქრეს ამ ქვეყნიდანო.** რა ფასი აქვს სახელმწიფოს, რომლის მოქალაქესაც გარედან ეტყვიან, **არაფერი დაგიშავებია, მაგრამ, თუ შენი სამშობლო გიყვარს, უნდა წახვიდეო?!** სახელმწიფო იმისთვის არსებობს, რომ სამშობლო დაიცვას. რომ თქვას იმ ადამიანმა, **კარგი, ბატონო, მე როგორც პატრიოტი წავალ ქვეყნიდანო, მერე ჩვენ როგორ ვიცხოვროთ და როგორი სახელმწიფო შეგვრჩება?!** აღარც დამოუკიდებლობა გვექნება, აღარც თავმოყვარეობა და ხვალ-ზეგ თითოეულ ჩვენგანსაც ასე მოგვექცევიან.

„საქართველოს რესპუბლიკა“



**ვაჟა ბერიძე**
*ანალიტიკოსი*

დასავლეთს **ივანიშვილის ქვეყნიდან გაძევება სურს,** მაგრამ ხედავენ, რომ ეს ქართველ ხალხს არ უნდა და მასზე ზეწოლას ბოლომდე ვერ ბედავენ!

„საქართველოს რესპუბლიკა“



**სოსო მანჯავიძე**
*ანალიტიკოსი*

თუ ვინმე არის **ოლიგარქი,** ეს **სოროსია.** ამიტომ დაიწყონ თავიანთი ქვეყნებიდან,განსაკუთრებით კი **გლობალური დეოლიგარქიზაცია** დაიწყონ, ეს უკეთესი იქნება.

„საქართველოს რესპუბლიკა“

## „როცა მერაბი ჩემთან სახლში ამოდიოდა და მინდა, გითხრათ, რომ ეს ხშირად ხდებოდა, თამრიკო ჩხეიძე სულ დაბლა უცდიდა და სადარბაზოსთან მანქანაში იჯდა!“

## „ერთხელ ვუთხარი – ზვიად, ამ ქალის დაწუნება არ შეიძლება, მერაბი უყვარს-მეთქი! ამის პასუხად ზვიადმა პირდაპირ მითხრა – ეგ ქალი მოგზავნილიაო!“



**ეროვნული მოღვაწისადმი სიყვარული?**

— არა, **ეს იყო ქალისა და მამაკაცის სიყვარული! თამრიკო ჩხეიძეს მერაბ კოსტავა შეუყვარდა...**

**— მერაბ კოსტავა თამრიკო ჩხეიძის ცოლად მოყვანას აპირებდა?**

— ეგ არ ვიცი, მაგრამ, როცა მერაბი ჩემთან სახლში ამოდიოდა და, მინდა, გითხრათ, რომ ეს ხშირად ხდებოდა, **თამრიკო ჩხეიძე სულ დაბლა უცდიდა და სადარბაზოსთან მანქანაში იჯდა.** ერთ-ერთი ასეთი სტუმრობის დროს მერაბს ვუსაყვედურე კიდეც — **კაცო, ასე არ შეიძლება, ქალმა ჩემთან მოგიყვანა, შენ ამოდიხარ და იმას კიდევ მანქანაში ტოვებ, ეს რას ნიშნავს-მეთქი?!** ერთ-ერთი ასეთი სტუმრობის დროს თამრიკო ჩხეიძემ ისე ცუდად ჩააყენა მანქანა, გზა ჩახერგა და მთელი სოლოლაკი ჩვენ გვისიგნალებდა. გამოვედით მე და მერაბი... მერაბი ყველამ იცნო და ამან განმუხტა სიტუაცია. მოკლედ, **მერაბი და თამრიკო ჩხეიძე სულ ერთად იყვნენ, რაც ზვიად გამსახურდიას არ მოსწონდა!**

**— ზვიად გამსახურდია თამრიკო ჩხეიძეს რას უწუნებდა?**

— ერთხელ ვუთხარი — ზვიად, ამ ქალის დაწუნება არ შეიძლება, მერაბი უყვარს-მეთქი! ამის პასუხად ზვიადმა პირდაპირ მითხრა — **ეგ ქალი მოგზავნილიაო!** ვერ გეტყვით, აჩემებული ჰქონდა თუ წინდაწინ გრძნობდა რამეს, მაგრამ ზვიადი მეუბნებოდა — **არ ვიცი, თამარა ჩხეიძე „კაგებემ“ მოაგზავნა თუ სატანამ, მაგრამ ელიზბარ, შენ იცოდე, ეგ დალუპავს მერაბსო!** მე ამაში ზვიადს არ ვეთანხმებოდი, რადგან მართლა ვგრძნობდი, რომ ამ ქალბატონს მერაბი ძალიან უყვარდა... როდესაც ბოლოს ეგენი **ზურაბ ჭავჭავაძესთან** ერთად დასავლეთში წავიდნენ, ზვიადი შემხვდა და ვუთხარი — ეს-ესაა, რაც მერაბი და თამრიკო ზურაბ ჭავჭავაძესთან ერთად დასავლეთში წავიდნენ-მეთქი! ზვიადმა მიპასუხა — **ძალიან ცუდია, რომ ერთად წავიდნენ! ელიზბარ, კიდევ ერთხელ გეუბნები, ეგ თამარა ჩხეიძე ისეა შემოჩენილი, მერაბს მოკლავს და მკვდარს ჩამოიტანენო!**

საუბედუროდ, ზვიადის წინათგრძნობა ახდა და ამ ლაპარაკიდან ორ დღეში მერაბ კოსტავა თბილისში მართლაც მკვდარი ჩამოასვენეს! განცდა ჰქონდა ასეთი ზვიადს — **თამრიკო ჩხეიძე მერაბს მოკლავსო!**

მერაბი ჯერ კიდევ ქაშუეთის ეკლესიაში იყო დასვენებული, როცა დამირეკა რესპუბლიკის პროკურორმა **ვახტანგ რაზმაძემ** და მითხრა — **მერაბ კოსტავას მთაწმინდაზე აყვანა უნდათო!** — მაინც ვის უნდა-მეთქი? — ვკითხე. — **ვის უნდა და, ზვიად გამსახურდიასო!** — ჰოდა, ზვიადს თუ უნდა, მაშინ მერაბს მთაწმინდაზე აიყვანს კიდეც-მეთქი!

ამ საუბრიდან მეორე თუ მესამე დღეს ზვიადი ჩემთან მოვიდა „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში. ის რედკოლეგიის წევრი იყო და რედაქციაში ხშირად მაკითხავდა. სალაპარაკოდ რომ დავსხედით, ვუთხარი — **ზვიად, ხომ იცი მერაბის ხასიათი, პირველი ეგ იქნებოდა წინაალმდეგი, მთაწმინდაზე ყოფილიყო მაგის საფლავი. დედამისი, ქალბატონი ოლღაც, წინაალმდეგია, რომ შვილი მთაწმინდაზე დასაფლავდეს-მეთქი!** ზვიადმა გაკვირვებულმა შემომხედა და მითხრა — ელიზბარ, მე შენ ჭკვიანი კაცი მგონიხარ... ეგ საკითხი არც დედამისის გადასაწყვეტია, არც შენი და არც არავისი! **მერაბის სახით მთაწმინდაზე ეროვნული მოძრაობა ამყავს, რათა ხალხმა ეროვნულ მოძრაობაზე ილოცოსო!**

სწორედ მაშინ ვაპირებდი, მეთქვა — მერაბისა და თამრიკო ჩხეიძის ურთიერთობის შესახებ როგორ ავი წინათგრძნობა გქონდა და, ფაქტობრივად, ყველაფერი როგორ ისე მოხდა, როგორც შენ მეუბნებოდი-მეთქი! — მაგრამ შევიკავე

## „ამ ლაპარაკში ვართ და ამ დროს კარი გაიღო და აკაკი ბაქრაძემ კაბინეტში თავი შემოყო. – აი, ბატონი ელიზბარიც ჩვენს აზრს იზიარებსო! – მიაძახა ბაქრაძეს ნუგზარ ფოფხაძემ...“



თავი, რადგან ზვიად გამსახურდია მერაბის სიკვდილს ძალიან მტკივნეულად განიცდიდა.

1993 წელს, როცა ზვიადი გროზნოდან ზუგდიდში ჩამოვიდა და ვინახულე, მაშინ გავახსენე ეგ ამბავი და მითხრა — **არ არის ახლა მაგის დროო!** სხვათაშორის, ისიც გავახსენე, როცა სადოქტორო დისერტაციაზე ვმუშაობდი და გიორგი წერეთლის თუ ვიღაცის გასვენებაში ვიღაცამ უკნიდან ბეჭზე ხელი ძმაკაცურად დამადო, მოვტრიალდი და ზვიად გამსახურდია იყო. გამიხარდა, მოვიკითხეთ ერთმანეთი... — **ყოჩაღ, კარგი წერილი გამოაქვეყნე „ცისკარში“, მაგრამ სუფიზმში პანთეიზმი არ არსებობს, სუფიზმი პანენთეიზმზე დგასო!** მაშინ გამეღიმა, მაგრამ მერე ჩემთვის ვიფიქრე — ზვიადი ამას ტყუილად არ მეტყოდა-მეთქი! გავაგრძელე ამ მიმართულებით მუშაობა და შევქმენი თეორია, რომელიც ჩემს სახელს ატარებს და რომელიც სამეცნიერო წრეებში გაზიარებულია. აი, მაშინ, ზუგდიდში ამაზეც ვუთხარი — **ბატონო ზვიად, თქვენი მინიშნება სერიოზულად დამეხმარა კვლევაში-მეთქი!** — ეჰ, გენაცვალე, რამდენ ვინმეს დავხმარებივარ, ეგ რომ მახსოვდეს, რაღა მიჭირსო! — მიპასუხა ღიმილით!

**— 1988 წლის ნოემბრის აქციების უკან, რომელიც გიორგი ჭანტურიას „ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ“ და „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ“ დაიწყეს, იდგნენ თუ არა ედუარდ შევარდნაძე და მისი ხელისბიჭები?**

— აფხაზი სეპარატისტების საპასუხოდ ვაკის პარკში გაიმართა დიდი მიტინგი, რომელიც ზვიადმა ჩაატარა. სხვათაშორის, ზვიადმა სცენიდან იკითხა — **აი, მაგალითად, სად არის ახლა ელიზბარ ჯაველიძე, ჩვენ გვერდით რატომ არ არის?** მე იქვე ვიდექი, სცენის წინ და გვერდით **ჯუმბერ თითმერია** მედგა, რომელიც ჩემი მოადგილე იყო. — **ბატონო ზვიად, აქ ვარ, ამ სცენაზე ყველა ვერ დავეტევით-მეთქი!** ზვიადმა გადმომხედა და გაეღიმა. მრავალრიცხოვანი მიტინგი რომ დამთავრდა, მე და ქალაქის მაშინდელი მილიციის შეფი **რომან გვენცაძე** ერთად წამოვედით. რომანთან ძალიან ვმეგობრობდი, ვაჟკაცი ბიჭი იყო. რუსთაველზე რომ ჩამოვედით, მთავრობის სასახლის წინ ცალკე **ზურაბ ჭავჭავაძე** ატარებდა მიტინგს, სულ თხუთმეტი კაცი ჰყავდა. ზურაბმა შემომთავაზა — სიტყვით ხომ არ გამოხვალთ? — სადაც უნდა გამოვსულიყავი, იქ არ გამოვედი და აქ რა მინდა-მეთქი? — ვუპასუხე. **რომან გვენცაძე** მომიახლოვდა და მითხრა — **ამას ახლა მე დაველაპარაკები**

გაგრძელება მე-6 გვერდზე





## „გვენცაძე ზურაბ ჭავჭავაძესთან მივიდა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. ჭავჭავაძე იქიდან მაშინვე გაქრა და თავისი თხუთმეტკაციანი მიტინგიც დაშალა!“

## კვირგვინოსნები

**მამუკა მდინარაძე**
*ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



ნაცებმა ზუსტად იციან, რომ **ბიძინა ივანიშვილი გასულია პოლიტიკიდან,** მაგრამ ქვეცნობიერში მისი არსებობა იმდენად აწუხებთ, იმდენად მძიმე პოლიტიკური ტრავმა აქვთ მიღებული, რომ მისი ქვეყანაში არსებობაც კი პრობლემად მიაჩნიათ.

ჩვენი მეგობრობა დასავლეთთან არ ნიშნავს იმას, რომ **ტყუილზე** არ ვთქვათ, რომ **ტყუილია!**

„ინტერპრესნიუსი“

**მიხეილ ყაველაშვილი**
*პარლამენტარი*



იბადება კითხვა — **ხომ არ ყოფილა შეხვედრა კელი დეგნანსა და ბიძინა ივანიშვილს შორის უკრაინის ომის დაწყების შემდეგ?** ხომ არ მოსთხოვეს მას რაიმე და ხომ არ ხდება ამის კვალობაზე შანტაჟი, რადგან ეს ადამიანი გასულია, არაფერში ერევა.

„ინტერპრესნიუსი“

**დათო მაღრაძე**
*პოეტი*



ჩვენმა ევროპელმა პარტნიორებმა ხაზგასმით თქვეს, **უკრაინას ვაძლევთ სტატუსს, რადგან მზად არის, ევროპისთვის მოკვდეს,** საქართველოს კი პერსპექტივას ვანიჭებთო, ანუ ჩვენ არა ვართ მზად ამისთვის. ეს ხომ მხოლოდ პირადი თავგანწირვა კი არა, მთელი ახალგაზრდობის გაწირვაა და ამიტომ ვკითხულობ — **ქვეყნის სიკვდილის ფასად რომელიმე სტრუქტურაში გაწევრებისთვის რაიმე სტატუსი ღირს?** რისთვის, იმიტომ, რომ ევროკავშირში შემდეგ ჩვენი შესანდობარი თქვან? **ჩვენ ევროპისკენ იმიტომ ვისწრაფვით, რომ მასთან ვითანამშრომლოთ და არა დავიხოცოთ.**

„კვირის პალიტრა“

**მარია ზახაროვა**
*რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერი*



**რაკეტებმა გაანადგურეს ოდესის პორტის სამხედრო ინფრასტრუქტურა და უკრაინული სამხედრო ნავი გაგზავნეს კიევის რეჟიმის საყვარელ მისამართზე.**

„ინტერპრესნიუსი“





## ელიზბარ ჯაველიძე:

# 9 აპრილი შევარდნაძის მოწყობილია და პატიაშვილს ყველაფერი დააბრალეს!

*დასაწყისი მე-4 გვერდზე*

**და თხუთმეტ წუთში მიტინგს დაამთავრებსო!** გამიკვირდა. მართლაც, გვენცაძე ზურაბ ჭავჭავაძესთან მივიდა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. ჭავჭავაძე იქიდან მაშინვე გაქრა და თავისი თხუთმეტკაციანი მიტინგიც დაშალა. **სიკვდილამდე სულ ვეკითხებოდი რომანს, თუ რა უთხრა ზურაბ ჭავჭავაძეს, მაგრამ ცოცხალი თავით არ გამენდო. ვფიქრობ, თქვენს შეკითხვას ამ ამბის გახსენებით პასუხი გავეცი.**

**— ირაკლი აბაშიძე „რუსთაველის საზოგადოების“ თავმჯდომარეობიდან რატომ მოხსნეს?**

— ეს გადაწყვეტილება ცეკაში მიიღეს! სხვათაშორის, მე გამგზავნეს ირაკლისთვის ამის სათქმელად. **კოტე გაბაშვილიც** გამომაყოლეს, რადგან კოტემ თქვა — ირაკლი ჩემი ნათესავიაო! ირაკლის ჩვენი ნახვა ძალიან გაუხარდა და სუფრა გაგვიშალა. ვსვამთ, ვლაპარაკობთ და ცეცხლზე ვზივარ, როგორი სათქმელია კაცისთვის, რომ „რუსთაველის საზოგადოების“ თავმჯდომარე ვეღარ იქნება? ბოლოს და ბოლოს, გავბედე და ვუთხარი — **ბატონო ირაკლი, ასე და ასეა საქმე და ამის სათქმელად გამომგზავნეს-მეთქი!** თქვენს მტერს, ირაკლიმ მაგათ აგინა, არ დაუტოვა მკვდარი და ცოცხალი. რომ შემატყო, მე ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი, მომიბოდიშა — შენ არაფერ შუაში ხარ, გავაგრძელოთ პურისჭამაო! ამის შემდეგ ცეკაში დამიბარა **ნუგზარ ფოფხაძემ** და კაბინეტში მეუბნება — **„რუსთაველის საზოგადოების“ თავმჯდომარედ შენ უნდა დაგნიშნოთო!** ვუთხარი — განა ცუდი რედაქტორი ვარ და საქმეს ვერ ვუძღვები თუ რაშია საქმე-მეთქი? — მაშინ ვის გვირჩევთო? — **აი, ეროვნული და წესიერი კაცია აკაკი ბაქრაძე და ის დანიშნეთ-მეთქი!** ამ ლაპარაკში ვართ და ამ დროს კარი გაიღო და **აკაკი ბაქრაძემ** კაბინეტში თავი შემოყო. — **აი, ბატონი ელიზბარიც ჩვენს აზრს იზიარებსო!** — მიაძახა ბაქრაძეს **ნუგზარ ფოფხაძემ** და კაბინეტში შემოიპატიჟა. ვიფიქრე, რომ ეს ყველაფერი დადგმული სპექტაკლი იყო და წამოვედი. ფოფხაძე და ბაქრაძე დარჩნენ. აი, ამის შემდეგ ოპერაში „რუსთაველის საზოგადოების“ თავმჯდომარის ასარჩევად რჩეული საზოგადოება შეიკრიბა. ზვიად გამსახურდია ოპერის ბაღში მიტინგს მართავდა და **აკაკი ბაქრაძის** კანდიდატურას უჭერდა მხარს. სიტუაცია ძალიან დაძაბული იყო და **რომან გვენცაძე** და **ზვიად გამსახურდია** ერთმანეთს აგინებდნენ. ამ დროს ერთმა კაცმა, რომელმაც სამი ძროხა მოიპარა და მერე ეროვნულ მოძრაობას შეეკედლა, ოპერის თეატრის დარბაზში განაცხადა — **ჯარმა შემოგვარტყა ალყაო!** მართლაც, ჩაჩქანებში გამოწყობილი სპეცრაზმელები ოპერის თეატრის გარშემო იყვნენ შემოჯარული. საშინელი ვითარება იყო. სწორედ ამ დროს **აკაკი ბაქრაძემ** ოპერის თეატრის სცენაზე გაირბინა და ხმამაღლა განაცხადა — **მე მივდივარ, არანაირი თავმჯდომარე არ ვიქნებიო!** ამასობაში ვიღაცამ კულისებიდან დაიყვირა — **აკაკი ბაქრაძე დავიჭირეთ და არ ვუშვებთო!** ამით ისარგებლა **რეზო ამაშუკელმა** და ხალხს მიმართა — **არანაირი არჩევნები ჩვენ არ გვჭირდება, თავმჯდომარე აქ არის, აკაკი ბაქრაძე არის ჩვენი წინამძღოლიო!**

ასე და ამრიგად, აკაკი ბაქრაძე ტაშის გრიალში აიყვანეს ხელში და დაამტკიცეს „რუსთაველის საზოგადოების“ თავმჯდომარედ. გარეთ რომ გამოვედით, ცხონებულმა ზვიადმა კმაყოფილებით მითხრა — **ხომ გავიყვანეთ აკაკი ბაქრაძეო?!** ზვიადს გული არ დავწყვიტე და აღარაფერი ვუთხარი იმის შესახებ, რომ ეს ყველაფერი — დიდი სპექტაკლი, ხოლო აკაკი ბაქრაძე დიდი კაგებეშნიკი იყო! **ლიგაჩოვი** წერს — თუ პირფერი არ იყავი, საბჭოთა კავშირში წინ ვერ წახვიდოდი, მაგრამ შევარდნაძის მსგავსი პირფერი ძნელად მოიძებნებოდა. როცა მას ვუთხარით, რომ თბილისში აჯანყებული ახალგაზრდები დაემშვიდებინა, საქართველოში ჩასვლაზე კატეგორიული უარი თქვაო!

**— თქვენ გჯერათ, რომ 9 აპრილის სასაკლაო შევარდნაძემ მოაწყო?**

— დიახ, 9 აპრილი შევარდნაძის მოწყობილია და პატიაშვილს ყველაფერი დააბრალეს!

### როდიონოვს არ დაურბევია ქართველები ისე, როგორც 2011 წლის 26 მაისს სააკაშვილმა დაარბია!

როდიონოვმა ხალხს გასაქცევი მაინც დაუტოვა, ხოლო ამან ყველაფერი ჩაკეტა და ხალხი ცემით მოკლა. **აი, ახლაც გადატრიალება უნდათ, რადგან ირაკლი ღარიბაშვილის სახით ძლივს გამოჩნდა კაცი, რომელიც აცხადებს, რომ მისთვის მთავარია, არა რას იტყვიან უცხოეთის ელჩები, არამედ რას ამბობს ქართველი ხალხი!**

**— გადატრიალების მოწყობა რომ უნდათ, ეს ფაქტია, მაგრამ მოახერხებენ?**

— ვერ მოახერხებენ, რადგან ხალხი არ უჭერს მხარს! ისე ქართველი ხალხის შინაგანი უმადურობა მაოცებს. **ბიძინა ივანიშვილს ამდენი სიკეთე აქვს გაკეთებული და ზოგიერთი უტვინო მაინც ასე გაიძახის — მერედა, მე რაო! რა მე, მე, აგიტყდათ, თხა ხომ არ ხართ?!** მივმართავ ამ ხელისუფლებას — ვინც დასაჭერია, დროზე დაიჭირეთ და ეს შხამიანი ნაცები სახელმწიფო მმართველობის სისტემას მოაშორეთ!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



**„ირაკლი ღარიბაშვილის სახით ძლივს გამოჩნდა კაცი, რომელიც აცხადებს, რომ მისთვის მთავარია, არა რას იტყვიან უცხოეთის ელჩები, არამედ რას ამბობს ქართველი ხალხი!“**



**„ზვიადი პროცესებს წინასწარმეტყველის სიზუსტით ჭვრეტდა და პირადად ჩემთვის არაერთხელ უთქვამს – არც რუსეთს, არც ამერიკას და არც ევროპას საქართველოს დამოუკიდებლობა ხელს არ აძლევსო!“**

## კვირგვინოსნები

**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი, ფილოსოფოსი*



ამერიკის მხარდაჭერით **შევარდნაძის** ხელისუფლებას წყალი შეუყენეს და მის ნაცვლად **სააკაშვილი** მოიყვანეს. 2003 წელს ხელისუფლებაში მოიყვანეს ადამიანები, რომლებიც **დემოკრატიის, თავისუფლების კი არა, არამედ ყველა უბედურების სიმბოლოს წარმოადგენდნენ.**

„საერთო გაზეთი“

**გრიგოლ გეგნიძე**
*უშიშროების ექსპერტი*



პირდაპირ აცხადებენ ოპოზიციის წარმომადგენლები, **ხელისუფლების შეცვლის შემდეგ რუსეთთან ომს დავიწყებთ და ტერიტორიებს დავიბრუნებთო.** კარგად გვახსოვს, რაც დაიწყეს 2008 წლის აგვისტოში და იმის მაგივრად, რომ რაიმე მოეპოვებინათ, პირიქით, ტერიტორიები დაკარგეს.

„საერთო გაზეთი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



**ნაციონალურმა მოძრაობამ, „ლელომ“ და „სტრატეგია აღმაშენებელმა“** თავი აარიდეს ევროკომისიის რეკომენდაციებზე მუშაობას, რაც კიდევ ერთხელ აჩვენებს საზოგადოებას, რომ მათთვის **მთავარი ინტერესი** არის არა ევროპა, არა საქართველო, არა წინსვლა, არამედ **ერთადერთი მთავარი მიზანი** არის ძალაუფლების დაბრუნება.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ბაკურ სვანიძე**
*ჟურნალისტი*



ევროკავშირმა — **დეკემბერში რომ უნდა გვეთქვა 12 პუნქტის შესრულება-ვერშესრულებაზე და კანდიდატად მიღება-არმიღებაზე პასუხი, გადავწყვიტეთ, რომ ვადა გაგიხანგრძლივოთო...** ეს, რეალურად, რას ნიშნავს, იცით? — **ვერ ვასწრებთ საქართველოში მორიგი ფერადი რევოლუციის მოწყობას** დეკემბრამდე და 2023 წლისთვის გადავდეთ, მანამდე კიდევ მოვემზადებითო!

„ალია“

# ირაკლი კაკაბაძე: დუბაიში თემურ ალასანიას ანგარიშზე 4,5 მილიარდი ამერიკული დოლარი ამოაჩინეს!



***მწერალი და პუბლიცისტი ირაკლი კაკაბაძე სკანდალურ ინფორმაციას ავრცელებს და იმ სქემაზე გვესაუბრება, რომლის მეშვეობითაც სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანია პუტინის მილიარდებს საქართველოში ვითარების ასარევად „ათეთრებს“. რესპონდენტი დაბეჯითებით აცხადებს, რომ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროსაც კი საქართველოს რეალური მმართველი სინამდვილეში თემურ ალასანია გახლდათ:***



— წყაროს ვერ დავასახელებ, რადგან **ამ საქმეში ისეთი ხალხია ჩარეული, შესაძლოა, ვინც ეს ინფორმაცია მომაწოდა, მოკლან და მერე ვერავინ ვერაფერს გამოიძიებს!** რაზეც ღიად შეიძლება ლაპარაკი, ის გახლავთ, რომ **სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანია** 1972 წლიდან არის „გრუ“-ს მაღალი რანგის ოფიცერი, რომელიც გაზარდა **იური ვლადიმერის ძე ანდროპოვმა.**

მოგეხსენებათ, მას შემდეგ, რაც უკრაინაში ომი დაიწყო, მსოფლიოში არსებული იარაღის გადამყიდველი კორპორაციები ზემოგებაზე მუშაობენ და ყოველდღიურად რამდენიმე მილიარდ დოლარს აკეთებენ! სულ ექვსი თუ შვიდია ასეთი კორპორაცია, მაგრამ ერთ-ერთი, რომელიც ვლადიმერ პუტინის დაქვემდებარებაშია, გახლავთ **„ალმაზ ანთეი“.** მოკლედ, **თემურ ალასანია იარაღის გადამყიდველი კორპორაცია „ალმაზ ანთეის“ ბორდის წევრია!**

**— ირაკლი, სააკაშვილსაც აქვს კავშირი ამ კორპორაციასთან?**

— სააკაშვილი იქ საერთოდ არავინ არის! **სააკაშვილი თემურ ალასანიას რიგითი მსახურია, რომელიც გაწირული ჰყავთ თუ არა, ჯერ კიდევ ვერ დავადგინე!**

**— გასაგებია, რომ თემურ ალასანია იარაღის გადამყიდველი და „გრუ“-ს დაქვემდებარებაში არსებული კორპორაციის ბორდის წევრია, მაგრამ „ალმაზ ანთეიში“ მას კონკრეტულად რა ფუნქცია აკისრია?**

— როგორც წყარო მეუბნება, **სწორედ თემურ ალასანია განკარგავს ამ კორპორაციის ფულს.** ცოტა ხნის წინათ დუბაიში თემურ ალასანიას ანგარიშზე **4,5 მილიარდი ამერიკული დოლარი** ამოაჩინეს! პარალელურად, საბერძნეთში **დათა ახალაიას** სახელზე ოცი გემისგან შემდგარი ფლოტია გაფორმებული, ხოლო **ვანო მერაბიშვილის ცოლი** პარიზში, შარლ დე გოლის სახელობის აეროპორტში, ერთ-ერთ ტერმინალს „მიაბეს“, რომელიც 2 მილიარდი ამერიკული დოლარი მაინც ღირს. ამას ემატება ის **ქოლცენტრები,** რომლებიც **კეზერაშვილმა** სხვა ქვეყანაში გადაიტანა, მაგრამ, თუ რომელ ქვეყანაზეა საუბარი, წყარო ამაზე ჯერჯერობით არაფერს მეუბნება. იმედია, ამასაც დაადგენენ და მეტყვიან! ყველაზე საინტერესო კი ის გახლავთ, რომ მთელი ამ რვა წლის განმავლობაში **კეზერაშვილის ქოლცენტრები** საქართველოში გუგუნებდა და ამის შესახებ კაციშვილს კრინტი არ დასცდენია!

**— მოკლედ, თემურ ალასანია ასე „ათეთრებს“ ფულს?**

— დიახ, უზარმაზარი ფული „თეთრდება“... ამ საქმეში ასევე ჩართულია **ბია უდესიანი,** რომელიც პარიზში ცხოვრობს და ვინმე **დავით ზვიადაურთან და ნინო გაბადაძესთან** ერთად მოქმედებს! **სწორედ ამ ფულებით ფინანსდება სააკაშვილის ე.წ. ტელევიზიები და ნაცების ნებისმიერი აქტივობები.**

**— ალასანიას ანგარიშზე არსებული ამდენი ფულით ინტერპოლი არ დაინტერესდა?**

— ამის შესახებ ჯერჯერობით ინფორმაცია არა მაქვს, მაგრამ ვიცი ის, რომ **თემურ ალასანია სწორედ ამ „შავი“ ფულით ცდილობს საქართველოს არევას და მთელ ამ საქმეში სააკაშვილი არის მხოლოდ და მხოლოდ მისი მონა!**

## კაცმა რომ თქვას, სულ ასე იყო და სააკაშვილის პრეზიდენტობის დროსაც კი საქართველოს რეალური მმართველი სინამდვილეში თემურ ალასანია გახლდათ!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***



დათა ახალაია

## „საბერძნეთში დათა ახალაიას სახელზე ოცი გემისგან შემდგარი ფლოტია გაფორმებული, ხოლო მერაბიშვილის ცოლი პარიზში, შარლ დე გოლის სახელობის აეროპორტში, ერთ-ერთ ტერმინალს „მიაბეს“, რომელიც 2 მილიარდი ამერიკული დოლარი მაინც ღირს!“



ვანო მერაბიშვილი და თაკო სალაყაია

## კვირგვინოსნები

**გიორგი ფოფხაძე**
*საფრანგეთში მცხოვრები ჟურნალისტი*



ქართულ ოპოზიციას ჰგონია, რომ ქვეყნის **პრობლემა** მარტო **ბიძინა ივანიშვილია.** არადა, ქვეყნის **პრობლემა** ზუსტად ისაა, რომ **ოპოზიციაა უსუსური.** უფრო მეტი **პრობლემა** კი ისაა, რომ ამ **პრობლემური** ოპოზიციის ხელში **ბიძინა ივანიშვილის პრობლემა** კიდევ კარგა ხანი მოუგვარებელ **პრობლემად** დარჩება.

„ალია“

**ხათუნა ხოფერია**
*ყოფილი პარლამენტარი*



**დებიძინიზაცია...** ანუ პიროვნებას ემუქრებით? შსს, პროკურატურა ან აამოქმედეთ სამართლებრივი ნორმები და აგებინეთ პასუხი, ან ჩვენ თავად მივხედავთ საკუთარ ღირსებას, რამეთუ **ბიძინა ივანიშვილის** მიმართ გამოყენებული **დაუმსახურებელი, უკანონო, არასამართლებრივი, არასამართლიანი, არაკაცური, არაცივილური ქმედებები** პირდაპირ გადის ჩვენ ღირსებაზე! **დღეს ბიძინას დაცვა ჩვენი ღირსების საქმეა!** დღეს საქართველოს განადგურების ექსპერიმენტს ტესტავენ **ივანიშვილზე!** გავატარებთ? არა მგონია!

„ალია“

**ემზარ გვენეტაძე**
*ანალიტიკოსი*



საზოგადოებაში **ივანიშვილს ავტორიტეტი და გავლენა აქვს,** ამიტომ მის მიმართ იმხელა შიში აქვთ, რომ ყოველდღე მისი პოლიტიკაში შემობრუნება ელანდებათ. დღევანდელ დღემდე **8 არჩევნებში დამარცხდნენ,** მეტი რაღა უნდათ?!

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ბიძინა მახარაძე**
*მსახიობი*



ცუდი ის არის, რომ **აღარც პური** გვაქვს და **აღარც — სანახაობა.**

„კვირის პალიტრა“

# შვეიცარიის ტანკი, ანუ ერთ დროს გაუტეხელი ბანკის გატეხილი სახელი




***თქვენ გგონიათ, ტანკი მხოლოდ რუსული და ამერიკული არსებობს? არა, ბატონებო, არსებობს შვეიცარიის ტანკიც! და თუ რუსულ -ამერიკულ ტანკებს ცხელი ომის იარაღად იყენებენ, შვეიცარიის ტანკი პოლიტიკური ომის იარაღად გამოიყენება!***

**შვეიცარიის ტანკი** არის **შვეიცარიის ბანკი!**

თუ დავაკონკრეტებთ, **შვეიცარიის ბანკი „კრედიტ სუისი“** უცებ გახდა **შვეიცარიის ტანკი,** რომლის ლულაც საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრს **ბიძინა ივანიშვილს** მიუშვირეს!

თავიდან ისე ჩანდა, თითქოს **შვეიცარიის ბანკი შვეიცარიის ტანკად** საკუთარი ნებით გადაკეთდა და თავის ყოფილ კლიენტს **ბიძინა ივანიშვილსაც** მხოლოდ ფინანსური ინტერესების გამო შეუტია, მაგრამ დროთა განმავლობაში ისეთი სურათი გამოიკვეთა, რომ **შვეიცარიის ბანკის შვეიცარიის ტანკად** ტრანსფორმირება ევროპის პოლიტიკურ წრეებში ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ წამოწყებული ბინძური თამაშის ნაწილია!

კერძოდ, შთაბეჭდილება იქმნება და გონივრული ეჭვი ჩნდება, რომ **შვეიცარიის ტანკი** პოლიტიკურ იარაღს წარმოადგენს იმ ძალების ხელში, რომლებმაც საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის არმიცემით დასაჯეს, რადგან მეორე ფრონტის გახსნაზე უარი განაცხადა და უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარე ნატო-რუსეთის ომში არ ჩაერთო!

ფრჩხილები ბოლომდე რომ გავხსნათ, **შვეიცარიის ტანკი** გახდა პოლიტიკური იარაღი ნაციონალური მოძრაობის მოკავშირე ევროპის სახალხო პარტიისა და იმ ევროპარლამენტართა ხელში, რომლებმაც საქართველოს შესახებ აწ უკვე ყბადაღებული რეზოლუცია შეიმუშავეს და ევროკომისიას მოუწოდეს, ივანიშვილისათვის პერსონალური სანქციები დაეწესებინა.

ნიშანდობლივია, რომ **შვეიცარიის ტანკი** ბიძინა ივანიშვილისათვის კუთვნილი თანხის გაყინვის მიზეზად სწორედ **308 ევროპარლამენტარის რეზოლუციას** ასახელებს. გავიხსენოთ განცხადება, რომელიც **შვეიცარიის ტანკთან** სამართლებრივ დავაში ბიძინა ივანიშვილის ინტერესების დამცველმა იურიდიულმა კომპანიამ გაავრცელა:

> ***„საუბარია ევროპული პარლამენტის იმ რეზოლუციაზე, რომლითაც მან მოუწოდა ევროპულ საბჭოს, განეხილა ბატონი ივანიშვილისათვის სანქციების დაწესება. ბანკი განმარტავს, თითქოსდა ხსენებულმა რეზოლუციამ წარმოშვა ბანკის მხრიდან რეგულატორული ვალდებულებები და ტრასტი თავის მოქმედებას აღარ განახორციელებს სასამართლოს თანხმობის გარეშე. საუბარია სასამართლოს იმ თანხმობაზე, რომლის მისაღებად პროცესის ინიცირება, უკეთეს შემთხვევაში, ამა წლის სექტემბერში თუ მოხდება, ხოლო მისი შედეგის დადგომა, ბანკის მეცადინეობით, უსასრულოდ გაჭიანურდება“.***

მოკლედ და მარტივად რომ ვთქვათ, შვეიცარიის ტანკი აცხადებს — **რადგან 308 ევროპარლამენტარმა ბიძინა ივანიშვილისათვის სანქციების დაწესების რეკომენდაცია გასცა, მე მას არ ჩავურიცხავ 500 მილიონ დოლარს, რომლის გადახდაც ბერმუდის კუნძულების სასამართლომ დამაკისრაო!**

მოგეხსენებათ, აწ უკვე **შვეიცარიის ტანკად** გადაკეთებულ **შვეიცარიის ბანკთან** ბიძინა ივანიშვილის დავა ბერმუდის კუნძულების სასამართლოში ჯერ კიდევ 2011 წელს დაიწყო და მთელი 10 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. ქართველმა მილიარდერმა **„კრედიტ სუისს“** მას შემდეგ უჩივლა, რაც აღმოაჩინა, რომ ბანკის თანამშრომელი **პატრის ლესკადრონი** მისი კონფიდენციალური ანგარიშიდან ფულს წლების განმავლობაში იპარავდა, მაგრამ ბანკმა, შვეიცარიული მარეგულირებელი კომპანიის მხრიდან არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, საკუთარი თანამშრომლის თაღლითობისა და კლიენტის ძარცვის აღსაკვეთად არავითარი ზომა არ მიიღო. ბერმუდის კუნძულების სასამართლოში დავა ივანიშვილის სასარგებლოდ დასრულდა და **შვეიცარიის ტანკად** ტრანსფორმირებულ **შვეიცარიის ბანკს** მისთვის 500 მილიონი დოლარის გადახდა დაეკისრა.

თუმცა, რად გინდა — **შვეიცარიის ტანკი** თავის ყოფილ კლიენტს, რომელიც ერთხელ უკვე გაძარცვა, სასამართლოს მიერ დაკისრებულ თანხას არ ურიცხავს იმ საბაბით, რომ **კუბილიუსმა, ფოტიგამ, ფონ კრამონმა** და კიდევ **305-მა მათნაირმა** ივანიშვილისათვის სანქციების დაწესება მოითხოვა!





## შვეიცარიის ტანკის ლულაში, რომელიც ბიძინა ივანიშვილს მიუშვირეს, კუბილიუსი, ფოტიგა და ფონ კრამონი არიან ჩატენილი!

### კვირგვინოსნები

**ზაზა შათირიშვილი**
*ფილოსოფოსი*



ამერიკელები **ორ კურდღელს** იჭერენ — **თან ივანიშვილს აშანტაჟებენ, თან შვეიცარიის საბანკო სისტემას ანგრევენ!**

„რეზონანსი“

**თორნიკე შარაშენიძე**
*ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში*



ოპოზიციამ **ივანიშვილს** როგორ უნდა დაუმტკიცოს, რომ **ეგ მართავს ქვეყანას,** სახლში კამერებს დაუმონტაჟებენ?

„ახალი თაობა“

**სოსო ცინცაძე**
*პოლიტოლოგი*



**მე არ ველოდები, რომ ივანიშვილს სანქციებს დაუწესებენ.** ევროპა სანქციებს უწესებს იმ ოლიგარქებს, რომლებიც **პირადად პუტინთან არიან დაახლოებული.**

„ახალი თაობა“

**ნუგზარ წიკლაური**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**შეამციარონ აბა პოლარიზაცია,** როგორი შესამცირებელია, ჩვენს ევროპელ მეგობრებს დიდი პატივისცემით მინდა, ვუთხრა, **რატომ ვერ ამცირებენ „ქართულ ოცნებასთან“ პოლარიზაციას?**

„პალიტრანიუსი“

**გია ცაგარეიშვილი**
*პარლამენტარი*



**ევროპის სახალხო პარტია კრიმინალ ნაციონალთა თავშესაფარია!** არავის შეძახილი არ მჭირდება, რომ, თურმე, ჩვენი ეკლესიები რუსებმა კირით გადაღებეს... **საქართველო სუვერენული ქვეყანაა, რომელმაც სისხლით მოიპოვა დამოუკიდებლობა.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

# შვეიცარიის ტანკზე, რომელიც ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ დაქოქეს, 308 ევროპარლამენტარია ამხედრებული!



ითხოვა!

მერე რა, რომ ევროკომისიამ და ევროსაბჭომ არ გაითვალისწინეს **308 ევროპარლამენტარის** მოწოდება ივანიშვილისათვის სანქციების დაწესების შესახებ?

მერე რა, რომ ევროკომისიის მიერ მომზადებულ დასკვნაში, რომელიც თავისი პოლიტიკური წონითა და მნიშვნელობით **308 ევროპარლამენტარის** რეზოლუციას ბევრად აღემატება, არც ივანიშვილის ოლიგარქობაზეა საუბარი და არც მისთვის სანქციების დაწესებაზე?

**შვეიცარიის ტანკი** მაინც ჯიუტად აწვება თავისას!

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ **შვეიცარიის ტანკზე,** რომელიც ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ დაქოქეს, **308 ევროპარლამენტარია** ამხედრებული!

უფრო მეტიც, **შვეიცარიის ტანკის** ლულაში, რომელიც ბიძინა ივანიშვილს მიუშვირეს **კუბილიუსი, ფოტიგა და ფონ კრამონი** არიან ჩატენილი!

ბევრი საუბრობს იმის შესახებ, რომ მავანთა ხელში პოლიტიკურ იარაღად გადაქცევით **შვეიცარიის ბანკი** ზიანს აყენებს არა იმდენად ბიძინა ივანიშვილს, რამდენადაც საკუთარ იმიჯსა და რეპუტაციას! მართლაც ძნელი წარმოსადგენია, რომელმა სერიოზულმა ბიზნესმენმა უნდა ანდოს საკუთარი მილიონები თუ მილიარდები ბანკს, რომელმაც თავისი კლიენტი — მსოფლიოში ცნობილი მილიარდერი და **მეცენატი ივანიშვილი** ჯერ გაძარცვა, ახლა კი, პოლიტიკური მოტივის მოშველიებით, უარს ამბობს 500 მილიონის გადახდაზე, რომელიც მას ივანიშვილის სასარგებლოდ სასამართლომ დააკისრა!

ეს იცით, რას ნიშნავს? **გამოდის, რომ შვეიცარიის ბანკში მხოლოდ იმ მილიონერებისა თუ მილიარდერების ფული იქნება უსაფრთხოდ შენახული, რომლებიც კუბილიუსებს, ფოტიგებსა და ფონ კრამონებს ესიმპათიურებათ, ხოლო მათთვის, ვისაც კუბილიუსები, ფოტიგები და ფონ კრამონები ალმაცერად შეხედავენ, შვეიცარიის ბანკი მყისვე შვეიცარიის ტანკად გადაიქცევა!**

მართლაც ძალიან სამწუხარო და სავალალოა, რომ **შვეიცარიის საბანკო სისტემა,** რომელიც მთელ მსოფლიოში კაპიტალის საიმედოდ დაცვისა და სანდოობის ეტალონს წარმოადგენდა, დღეს **შვეიცარიის სატანკო სისტემად** და პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტად გადაიქცა!

**შვეიცარიის ტანკი** ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ პოლიტიკურ იარაღად რომ არის გამოყენებული, ამაზე კიდევ ერთი გარემოება მეტყველებს — **ერთბაშად ყველა შვეიცარიულმა მედიასაშუალებამ უარი თქვა, „კრედიტ სუისთან" დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილისა და მისი უფლებადამცველების პოზიცია გაეშუქებინა.** არადა, როგორც ივანიშვილის ინტერესების დამცველი იურიდიული ფირმის განცხადებაში ვკითხულობთ:

***„საუბარი არ არის ბატონი ივანიშვილისა და წარმომადგენელთა პოზიციის უპირობო გაზიარებასა და უცვლელად გამოქვეყნებაზე, საუბარია ჩვენს თხოვნასა და შეთავაზებაზე, მედიას თავადაც მოეკვლია საკითხი, დარწმუნებულიყო ჩვენ მიერ მითითებული ფაქტების უტყუარობაში, გადაემოწმებინა თუნდაც სამართლებრივი გამართულობა ბანკის პოზიციისა და მოესმინა ბანკის დამოკიდებულება საკითხისადმი. შესაბამისად, სტატია თუ სიუჟეტი ყოველმხრივ, ობიექტურ მონაცემებს დაეფუძნებინა".***

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ასეთ მოცემულობასთან გვაქვს საქმე:

**შვეიცარიის ბანკი** უარს ამბობს საბანკო ფუნქციების შესრულებაზე და სერიოზული დარტყმის ქვეშ აყენებს საკუთარ რეპუტაციას!

**შვეიცარიული მედია** უარს ამბობს მედიის ფუნქციების შესრულებაზე და სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს თავის მიუკერძოებლობასა და სამართლიანობას!

**შვეიცარიის სახელმწიფო** წარბშეუხრელად უყურებს **შვეიცარიის ბანკისა** და მედიის პოლიტიკურად მოტივირებულ ქმედებებს კონკრეტული ბიზნესმენის, მსოფლიოში ცნობილი მილიარდერის წინააღმდეგ და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საკუთარ ნეიტრალიტეტს!

ყოველივე ეს მიუთითებს, რომ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ **შვეიცარიის ტანკის** დაქოქვა უმაღლეს პოლიტიკურ დონეზეა ორგანიზებული და მხოლოდ ერთი ბანკის ახირებასა და თავგასულობასთან როდი გვაქვს საქმე!

თუ ასე გაგრძელდა, ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ **500 მილიონი დოლარი,** რომელსაც **შვეიცარიის ტანკი** ბიძინა ივანიშვილს უბლოკავს, ერთ მშვენიერ დღეს **კაპიტან გიგაურისადმი** რწმუნებული არასამთავრობო ორგანიზაციისა და სხვა ნაცლიბერასტული „ენჯეოების" ანგარიშებზე აღმოჩნდეს საქართველოში „დეოლიგარქიზაციის" მისაღწევად და ხელისუფლების დასამხობად!

და მაინც, რის მიღწევას ცდილობენ ის ძალები, რომლებმაც **შვეიცარიის ბანკი შვეიცარიის ტანკად** აქციეს და ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ დაქოქეს? ისინი ფიქრობენ, რომ **ივანიშვილს,** რომელსაც საქართველოს არაფორმალურ მმართველად მიიჩნევენ, ფინანსური და პოლიტიკური შანტაჟის გზით აიძულებენ, „ქართული ოცნების" ხელისუფლებას რუსეთისათვის მეორე ფრონტი გაახსნევინოს და ქვეყანა ომში ჩართოს!

როგორც ჩანს, ისინი ივანიშვილს კარგად არ იცნობენ, ტიპური ოლიგარქის პრიზმაში განიხილავენ და ჰგონიათ, ფულის გამო საკუთარ სამშობლოს გაწირავს, მაგრამ **ივანიშვილის ცხოვრებაც და პოლიტიკური მოღვაწეობაც მეტყველებს, რომ იგი ფულის გამო სამშობლოს გამწირავი კაცი არ არის, აი, სამშობლოს გამო საკუთარი კაპიტალისა და უსაფრთხოების სასწორზე შემგდები კაცი კი ნამდვილად გახლავთ!**

ბიძინა ივანიშვილმა ეს 2012 წელს დაამტკიცა, როცა საკუთარი კომფორტის ზონიდან გამოვიდა, ქართულ პოლიტიკაში შემოვიდა და სამშობლოს მკვლელების, მწამებლებისა და გამაუპატიურებლების ბანდა მოაშორა!

ასე რომ,

**ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ დაქოქილი შვეიცარიის ტანკი, ზედ ამხედრებული კოლექტიური კუბილიუსებითა და ბნელეთის სხვა მოციქულებით, განწირულია, აფეთქდეს ნაღმზე, რომელსაც საქართველო და ქართველი ხალხი ჰქვია!**

როგორც დიდი იტალიელი მწერალი **უმბერტო ეკო** წერს, ცხოვრებაში ბოლოს მხოლოდ დამჭკნარი ვარდის სახელიღა რჩება, **შვეიცარიის ტანკის** შემთხვევაში კი დარჩება **ერთ დროს გაუტეხელი ბანკის გატეხილი სახელი!**

**ეგ არის და მოდინახეს ციხე, რომელიც საჩხერეში ამაყად დაჰყურებს ბიძინა ივანიშვილის მშობლიურ სოფელ ჭორვილას!**

*ჯაბა ხუბუა*





**ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ 500 მილიონი დოლარი, რომელსაც შვეიცარიის ტანკი ბიძინა ივანიშვილს უბლოკავს, ერთ მშვენიერ დღეს კაპიტან გიგაურისადმი რწმუნებული არასამთავრობო ორგანიზაციისა და სხვა ნაცლიბერასტული „ენჯეოების" ანგარიშებზე აღმოჩნდეს!**

## კვირგვინოსნები

**ლადო პაპავა**
*ეკონომისტი, აკადემიკოსი*



პრაქტიკულად, ეკონომიკური სანქციები ევროკავშირის ქვეყნებმა სრულად არ გაიზიარეს, რადგან **იძულებული არიან, ჯერ კიდევ იყვნენ დამოკიდებული რუსულ გაზსა და ნავთობზე.** საქართველო სწორად მოიქცა, ეკონომიკურ სანქციებს რომ არ შეუერთდა, რადგან ამით **რუსეთი საერთოდ არ დაზიანდებოდა, საქართველო კი ძალიან დაზარალდებოდა.**

„კვირის პალიტრა"

**დავით უსუფაშვილი**
*„ლელოს" წევრი*



ჟონგლიორობასა და უპასუხისმგებლობაში „ოცნებას" არ ავყვებით. **ივანიშვილის მართლა წასვლით და „ოცნების" დაშლით პრობლემა არ მოგვარდება,** თუ ქვეყანას პროფესიონალებით, კომპეტენტური ადამიანებით დაკომპლექტებული გუნდი არ ჩაიბარებს.

„კვირის პალიტრა"

**გიორგი გუგავა**
*ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი*



გარეთ **სანქციები** და შიგნით **აქციები** — ეს არის ამ ვითარებაში მიზნის მიღწევის ეფექტური საშუალება.

„ალია"

**ეკა ბესელია**
*პარტია „სამართლიანობისთვის" ლიდერი*



ემიგრაციის მასშტაბები იმდენად დიდია, რომ **მეორე საქართველო** ქვეყნის გარეთ არის.

„ალია"

**ლაშა ჩხარტიშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის წევრი*



თუ **ბიძინა ივანიშვილი** დასანქცირდა, რეჟიმის ნგრევა გარდაუვალია.

„ახალი თაობა"

# ჩამოვიდა ჰარცელად,

***საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ელჩმა, შვედმა დიპლომატმა კარლ ჰარცელმა თავისი ოთხწლიანი მისია ამოწურა და გასულ კვირას დაგვემშვიდობა.***







ჩვენს ქვეყანაში ევროკავშირის აწ უკვე ყოფილი ელჩის ოთხწლიანი საქმიანობა შეგვიძლია, ლაკონიურად შევაფასოთ — **ჩამოვიდა ჰარცელად, გაიძურწა ნაცელად!**

ქართულ ენაში ზმნა **„გაძურწვა“** ჩუმად წასვლას, გაპარვას აღნიშნავს და **ჰარცელი მართლაც რომ გაიპარა,** რადგან ოთხი წლის განმავლობაში არაფერი გაუკეთებია, ფერწასული ნაცსექტის ფერზე მოყვანის მცდელობის გარდა.

თქვენ წარმოიდგინეთ, საქართველოში ევროკავშირის ელჩმა **კარლ ჰარცელმა ისიც კი ვერ შეძლო, რომ ოფიციალური ბრიუსელისათვის თბილისიდან ობიექტური ინფორმაცია მიეწოდებინა, რათა 308 ევროპარლამენტარს სიცრუითა და ცილისწამებით გაჯერებული რეზოლუცია არ შეეთითხნა და საქართველოსათვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებაში ხელი არ შეეშალა.**

თუმცა, საკითხავია — ჰარცელმა ეს ვერ შეძლო თუ არ შეძლო?

ჩვენ ვფიქრობთ და გვჯერა, რომ არ შეძლო, რადგან ჰარცელი პოლიტიკურად და იდეოლოგიურად **კოლექტიური კუბილიუსისა** და **კოლექტიური სამადაშვილის** მოკავშირე უფრო იყო, ვიდრე ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის მოკავშირე!

აკი, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძემაც** განაცხადა — **ჰარცელს კულუარებში ხშირად ჰქონდა ქართული სახელმწიფოსათვის შეურაცხმყოფელი პოზიცია, საქართველოსადმი მისი დამოკიდებულება არ იყო ისეთი, როგორიც უცხოელ დიპლომატსა თუ პოლიტიკოსს სუვერენული ქვეყნის მიმართ უნდა ჰქონდეს!**

ეს ნიშნავს, რომ ევროკავშირის **ელჩი ჰარცელი** ამერიკის **ელჩ დეგნანის** მსგავსად საქართველოს უყურებდა არა როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, არამედ როგორც კოლონიას, როგორც უუფლებო ვასალს, რომელსაც ყურში ხელი უნდა წაავლო და ის გააკეთებინო, რაც შენ გნებავს!

**ამიტომაც იქცა ჰარცელი ნაცელად და არამხოლოდ ნაცელად, არამედ ზნაცელადაც, რაიც საქართველოდან გაპარულ და გაძურწულ ნაცელს ნიშნავს!**

## ღამის კლუბ „ხიდში“ ლგბტ ღონისძიებებზე მოსიარულე კარლ ჰარცელმა ქართველი ხალხის გულთან მისასვლელი ხიდი ვერ ააგო!

შესაძლოა, ბევრს არ ახსოვს, რომ საქართველოში ევროკავშირის ელჩად დანიშვნამდე **კარლ ჰარცელი** ევროსაბჭოს პრეზიდენტის **დონალდ ტუსკის** უფროს მრჩევლად მუშაობდა საგარეო პოლიტიკის საკითხებში, ტუსკი კი, რომელიც ევროპაში ნაცბანდის მთავარი მოკავშირისა და ლობისტის — ევროპის სახალხო პარტიის თავმჯდომარე გახლდათ, **სააკაშვილისა და მისი კრიმინალური ხროვისადმი** მეტისმეტი სიმპათიით გამოირჩეოდა. მარტო იმის გახსენება რად ღირს, რომ მან სულ ცოტა ხნის წინათ პატიმარი სააკაშვილი ევროპის სახალხო პარტიის ყრილობაზე მიიწვია, მერე იმავე ყრილობაზე სააკაშვილის მიმართვა საგანგებოდ წაიკითხა და მსჯავრდებული ნაცბელადის სახელზე დარბაზში ცარიელი სკამიც დადგა.

მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ **ტუსკის მრჩეველი ჰარცელი საქართველოში ჩამოსვლამდეც სანახევროდ ნაცელი იყო, ჩამოსვლის შემდეგ კი ბოლომდე ნაცელი გახდა!**

ალბათ, სიმბოლური და ნიშანდობლივია ისიც, რომ საქართველოში **ჰარცელის** ბოლო აქტივობა ლგბტ კვირეულის ეგიდით გამართულ ღონისძიებაში მონაწილეობა იყო, როცა ევროკავშირის ელჩი, სხვა უცხოელ დიპლომატებთან ერთად, ღამის კლუბ „ხიდში“ ლგბტ ფილმის ჩვენებას დაესწრო.

ესეც ერთი მკაფიო დასტურია იმისა, თუ რა იდეოლოგიისა და შეხედულებების დიპლომატი ბრძანდება **ბატონი ჰარცელი,** რომელზეც „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კულისებში დიპლომატივით კი არა, პოლიტიკოსივით იქცეოდა.

**რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ღამის კლუბ „ხიდში“ ლგბტ ღონისძიებებზე მოსიარულე ჰარცელმა საქართველოსა და ქართველი ხალხის გულთან მისასვლელი ხიდი ვერ ააგო!**

**სხვანაირად რომ ვთქვათ, ღამის კლუბ „ხიდში“ ლგბტ ღონისძიებებზე მოსიარულე კარლ ჰარცელი ხიდზე ვერ გავიდა და აზრზე ვერ მოვიდა!**

ჰარცელი რომ ნამდვილ ნაცელად ჩამოყალიბდა, ამაზე მეტყველებს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მისთვის მიწერილი გამოსამშვიდობებელი წერილიც, რომელშიც **კაპიტან ბიბაურის** კანტორა და სხვა **კოლექტიური ლომჯარია-ბიბაურები** ევროკავშირის ვადაამოწურულ ელჩს მადლობას უხდიან იმ მხარდაჭერისათვის, რომელსაც მისგან **„ყოველთვის გრძნობდა სამოქალაქო საზოგადოება“.**

**„სამოქალაქო საზოგადოებაში“,** რა თქმა უნდა, არასამთავრობო სექტორის ის ნაწილი იგულისხმება, რომელიც ევროამერიკული ფონდების დაფინანსებით ფუნქციონირებს და საქართველოში ნეოლიბერა-




## ევროკავშირის ელჩი ჰარცელი, ამერიკის ელჩ დეგნანის მსგავსად, საქართველოს უყურებდა არა როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, არამედ როგორც კოლონიას!

## კვირგვინოსნები



**კელი დეგნანი**
*საქართველოში აშშ-ის ელჩი*

ნებისმიერი განხეთქილება **საქართველოსა და უკრაინას** შორის მხოლოდ **რუსეთის** ინტერესებს ემსახურება.

„ინტერპრესნიუსი“



**გია გაბრიჭიძე**
*ჟურნალისტი*

მედიასთან მიმართებაში ძალიან „საინტერესო ხედვები“ აქვს **კელი დეგნანს** — შეერთებული შტატები კატეგორიულად გმობს ჟურნალისტებზე ძალადობასა და მათ შევიწროებას. **იმედი მაქვს, საჯაროდ დაგმობთ იმ პოლიტიკურ ძალას, რომელმაც 2007 წლის 10 აგვისტოს დაარბია გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობა და იქ მყოფი ასობით ჟურნალისტი.** მართლა გაინტერესებთ საქართველოს მედიაგარემო? მაშინ რაღაც ქარტიებსა და კოალიციებს კი ნუ ხვდებით, **ნამდვილი ჟურნალისტები ნახეთ, ვინც კრიმინალებისგან დაფინანსებულ მედიაში კი არ მუშაობენ, ნამდვილ ჟურნალისტიკას, სიმართლეს ემსახურებიან,** მაგრამ არა მგონია, ეს გააკეთოთ.

„საქართველოს რესპუბლიკა“



**დევიდ კრამერი**
*აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი მაღალჩინოსანი*

„ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს უნდა ესმოდეთ, რომ, **როცა თავს ესხმიან ამერიკის ელჩს, ისინი ესხმიან თავს ამერიკის პრეზიდენტსა და ამერიკის მთელი მთავრობის წარმომადგენელს.**

„ინტერპრესნიუსი“



**ვიოლა ფონ კრამონი**
*ევროპარლამენტარი*

ევროკავშირი მოწადინებულია, საქართველო უახლოეს მომავალში გახდეს კანდიდატი, **ამისთვის უნდა შესრულდეს 12-ვე პუნქტი,** ესაა დამსახურებაზე დაფუძნებული პროცესი, ვაჭრობის ადგილი არ არის.

„პირველი არხი“



**ლევან იოსელიანი**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*

სახელმწიფო დეპარტამენტს პირველად მოუწია საკუთარი ელჩის დაცვა საქართველოში, **დეპარტამენტმა ყვითელი ბარათი ამოუღო „ქართულ ოცნებას“** და ამაზე უნდა დაფიქრდნენ.

„პირველი არხი“

# გაიძურწა ნაცელად!

ლური იდეოლოგიის, ანუ ლგბტ პროპაგანდისა და ერთნაირსქესიანთა ქორწინების მხარდაჭერით, შესაბამისად კი, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან, საპატრიარქოსთან, პატრიარქთან და ეროვნულ ფასეულობებთან გააფთრებული ბრძოლით არის დაკავებული.

**როცა ლგბტ პროპაგანდისა და ერთნაირსქესიანთა ქორწინების მხარდამჭერები, ეკლესიასთან, საპატრიარქოსთან, პატრიარქთან და ეროვნულ ფასეულობებთან მებრძოლები კარლ ჰარცელს მხარდაჭერისათვის მადლობას უხდიან, თავისთავად ცხადი ხდება, თუ რით იყო დაკავებული და რას ემსახურებოდა საქართველოში ევროკავშირის ნაცელი და ან უკვე გნაცელი, ანუ გააპარულ-გაძურწული ელჩი!**

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში დამტკიცებული და ბეჭედდასმული აქსიომაა — ვინც **კოლექტიური ლომჯარია-გიგაურების** მხარდამჭერი და მეგობარია, ის არ შეიძლება, საქართველოსა და ქართველი ხალხის მეგობარი იყოს!

ძალიან სამწუხაროა, რომ საქართველოში გატარებული ოთხი წელიწადი ჰარცელმა **ნაცელად გახდომასა და ლომჯარია-გიგაურებთან მეგობრობას** დაახარჯა!

**ო, ძვირფასო ოთხო წელიწადო, ვაი იმას, ვინც რიგიანად ვერ მოგიხმარა!**

ვაი, ევროკავშირის ელჩს, რომელიც **ჩამოვიდა ჰარცელად და გაიძურწა ნაცელად!**

### ბოლოთქმა

კარლ ჰარცელის შემცვლელის ვინაობა ცნობილია — საქართველოში ევროკავშირის ელჩის პოსტს პოლონელი დიპლომატი **პაველ ჰერჩინსკი** დაიკავებს!



ევროკავშირის ახალი ელჩი საქართველოში პაველ ჰერჩინსკი

## იმედია, ევროკავშირის ახალი ელჩი, პოლონელი პაველ ჰერჩინსკი იმ ძალების მოკავშირედ არ იქცევა, რომლებიც საქართველოში მეორე ფრონტის გახსნასა და ქვეყნის ომში ჩათრევას ცდილობენ!

**იმედი გვაქვს, პან ჰერჩინსკი საკუთარ მისიას ღირსეულად გაართმევს თავს, როგორც მინიმუმ, ჰარცელივით ნაცელი არ გახდება და საქართველოში თავის მოღვაწეობას გნაცელით, ანუ გაძურწვით არ დაასრულებს!**

და კიდევ: იმის მიუხედავად, რომ საქართველოში ევროკავშირის ახალი ელჩი პოლონელია, ხოლო პოლონეთი და პოლონელები რუსეთისადმი განსაკუთრებული რადიკალიზმით გამოირჩევიან, **იმედს ვიტოვებთ, პაველ ჰერჩინსკი იმ ძალების მოკავშირედ არ იქცევა, რომლებიც საქართველოში მეორე ფრონტის გახსნასა და ქვეყნის ომში ჩათრევას ცდილობენ!**

*ჯაბა ხუბუა*

რევოლუციურს – უკვე ნახულს, უკვე გაგონილს!

# ამერიკის ელჩი წალენჯიხის ავტობუსში ჩაჯდა!

***საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ქელი დეგნანი გასულ კვირას საგანგებო და ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა წალენჯიხის დემოკრატიულ მუნიციპალიტეტს, სადაც წალენჯიხის დემოკრატიული მუნიციპალიტეტის დემოკრატიულად არჩეულ ოპოზიციონერ მერს გია ხარჩილავასა და სხვა ოფიციალურ პირებს შეხვდა.***



წალენჯიხის მერისა და ამერიკის ელჩის შეხვედრა წალენჯიხაში

**წალენჯიხის დემოკრატიულ მუნიციპალიტეტში** ოფიციალური ვიზიტით ჩასულ **აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს წალენჯიხის დემოკრატიული მუნიციპალიტეტის დემოკრატიულად არჩეულმა ოპოზიციონერმა მერმა გია ხარჩილავამ** პომპეზური დახვედრა მოუწყო — **ქელი დეგნანს** მერიის შესასვლელში ყვავილების თაიგული მიართვეს, ფოლკლორული ანსამბლის მიერ ცოცხლად შესრულებული სიმღერა მოასმენინეს, საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ფონოგრამა ჩაურთეს და თეთრი ჩოხა აჩუქეს.

მთელ ამ ცერემონიალს სრულყოფილებამდე ერთი დეტალი დააკლდა — საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისათვის **წალენჯიხის დემოკრატიული მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქეობა** უნდა მიენიჭებინათ, თუმცა, როგორც ჩანს, **წალენჯიხის დემოკრატიული მუნიციპალიტეტის დემოკრატიულად არჩეულმა ოპოზიციონერმა მერმა** ამდენი ვერ მოიფიქრა ან ქელი დეგნანისათვის საპატიო მოქალაქეობა, უბრალოდ, ვერ გაიმეტა.




სააკაშვილი წალენჯიხის ავტობუსში

სწორედ ამიტომ, **წალენჯიხის დემოკრატიული მუნიციპალიტეტის დემოკრატიულად არჩეული ოპოზიციონერი მერის გია ხარჩილავას** მიერ დაშვებული შეცდომის გამოსწორებას ჩვენს თავზე ვიღებთ და **ქელი დეგნანს** სახალხოდ ვანიჭებთ კიდევ უფრო დიდ და საპატიო წოდებას — **ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი წალენჯიხის დემოკრატიულ რესპუბლიკაში!**

ჰა, როგორია?

ხომ არის ზედგამოჭრილი!

„ასავალ-დასავალის“ წინა ნომერში ვწერდით, რომ **ქელი დეგნანი, როგორც აშშ-ის ელჩი საქართველოში, აღარ არსებობს!** სამაგიეროდ, არსებობს **მოსამართლე ქელი დეგნანი, პროკურორი ქელი დეგნანი, ოპოზიციის ლიდერი ქელი დეგნანი, არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარე ქელი დეგნანი, ლგბტ აქტივისტი ქელი დეგნანი, გენერალ-გუბერნატორი ქელი დეგნანი და მეფისნაცვალი ქელი დეგნანი!** ჰოდა, სულაც არ იქნება ზედმეტი, ქელი დეგნანის ამ მრავალრიცხოვან და მრა-

*გაგრძელება მე-12 გვერდზე*

## კვირგვინოსნები

**ბენ ჰოჯესი**
*ამერიკის არმიის ყოფილი მთავარსარდალი ევროპაში, თადარიგის გენერალ-ლეიტენანტი*



**რუსეთი რამდენიმე წელიწადში დაშლას დაიწყებს** — საქართველო მზად არის ამ შესაძლებლობისთვის? — **არ ვამბობ, რომ დროა, დაიბრუნოს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი,** მაგრამ ეს შეიძლება იყოს შესაძლებლობა, რომ რუსეთის სახე წარმოჩნდეს.

„ამერიკის ხმა“

**ვაჟა შაქარიშვილი**
*ორგანიზაცია „აი ის“ თანადამფუძნებელი*



**ბენ ჰოჯესის** ინტერვიუ ყურადღებით წაიკითხონ, ვინც **ომში ჩათრევის საფრთხეს** აბსტრაქტულს და „ფეესბეს“ ნარატივს უწოდებს! **პირდაპირ გვიბიძგებენ, ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან სისხლიან დაპირისპირებაში შევიდეთ.**

„იმედინფო“

**მიხეილ სარჯველაძე**
*პარლამენტარი*



ოპოზიციის აქტივობა, **„კაცია ადამიანში“** რომ დარეჯანი ამბობს, **„ცუდად ჯდომას ცუდად შრომა ჯობიაო“,** ამას ჰგავს. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს პოლიტიკოსები ამბობდნენ, **რა მოხდება თუ ქართული ტანკები ცხინვალისა და სოხუმისკენ დაიძვრებიანო!** ამას არ გამოვეპასუხოთ?! თუ ჩამითვლით, რომ ეს ვინმეს მიმართ თავდასხმაა, დაე, ასე იყოს!

„GTMEDIA“

**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



თუ ვინმეს დაავიწყდა, გავახსენებ — **სააკაშვილი დასავლეთს კოლონიური ზრახვების მქონეს უწოდებდა, ნაცმოძრაობა** სტრასბურგის სასამართლოს — კორუმპირებულ რუსულ სასამართლოს და **გვარამია ელჩებს პირდაპირ ესხმოდა თავს.**

„იმედინფო“

# ამერიკის ელჩი წალენჯიხის ავტობუსში ჩაჯდა!


კელი დეგნანს წალენჯიხაში თეთრი ჩოხა აჩუქეს

**„დემოკრატიის შუქურად“ ჰყავდა გამოცხადებული, მისი რეჟიმის მმართველობის დროს საქართველოს არცერთ მუნიციპალიტეტს ოპოზიციონერი მერი და ოპოზიციური საკრებულო არ ჰყოლია!** „დემოკრატიის შუქურა“ სააკაშვილის მმართველობის პირობებში ოპოზიციის კანდიდატის მერად არჩევა და საკრებულოს უმრავლესობაში ოპოზიციური ჯგუფის მოსვლა კი არა, ოპოზიციურად განწყობილი ადამიანის საჯარო სექტორში დარაჯად ან დამლაგებლად დასაქმებაც კი ყოვლად წარმოუდგენელი იყო! მაშ, **ივანიშვილის „ოლიგარქიული მმართველობის“ პირობებში რატომ გვყავს საქართველოში ოპოზიციონერი მერი და ოპოზიციური საკრებულოები?** წალენჯიხის ავტობუსში ჩაჯდომამდე კელი დეგნანი იქნებ ამაზე დაფიქრებულიყო!

**ბოლოთქმის ბოლოთქმა**

## წალენჯიხის ავტობუსი წალენჯიხის ავტორუსი იყო!

დასაწყისი მე-11 გვერდზე

ვალფეროვან ტიტულებს კიდევ ერთი დაემატოს — **ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი წალენჯიხის დემოკრატიულ მუნიციპალიტეტში!**

ალალი და უსაყვედურო, ქალბატონო კელი!

ახლა რაც შეეხება ყველაზე მთავარს — კელი დეგნანის წალენჯიხაში სტუმრობა, თანაც, ოფიციალური ვიზიტის ფორმით, წმინდა წყლის პოლიტიკური გზავნილი და იმ რევოლუციური სცენარის ნაწილი გახლავთ, რომელიც საქართველოში კარგა ხანია, არსებობს, ბოლო დროს კი აქტიურ და გადამწყვეტ ფაზაში შევიდა!

დიახ, ამერიკის ელჩის წალენჯიხაში ვიზიტი იმის დემონსტრირებაა, რომ კელი დეგნანი პირადად ჩაუდგა სათავეში საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ დაგეგმილ **„ფერად რევოლუციასა“** თუ **„ხავერდოვან გადატრიალებას“,** რომელიც ქვეყნის სათავეში ნაც-კოალიციური მთავრობის მოყვანას ისახავს მიზნად!

სხვანაირად რომ ვთქვათ, **ამერიკის ელჩი კელი დეგნანი ჩაჯდა წალენჯიხის ავტობუსში, რომელიც ე.წ. ვარდების რევოლუციის ერთ-ერთ სიმბოლოდ ითვლება!**

ასეც შეიძლება ითქვას, რომ კელი დეგნანმა **წალენჯიხის ავტობუსში** მიხეილ სააკაშვილის ადგილი დაიკავა!

ზოგადად, ნაცსექტას, რომელიც კვლავ 2003 წლის ნოემბრის ილუზიებშია ჩარჩენილი და ჰგონია, რომ ახალ „ვარდების რევოლუციას“ მოაწყობს, წალენჯიხა საკუთარი რევოლუციური მიზანსწრაფვის ციტადელად და ტრამპლინად წარმოუდგენია, როგორც ერთადერთი მუნიციპალიტეტი მთელ საქართველოში, სადაც ოპოზიციონერი, კერძოდ, **ნაციონალი მერი** ზის!

სააკაშვილის რეჟიმის ნარჩენები ლამობენ, გასულ წელს წალენჯიხაში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების უმნიშვნელო უპირატესობით მოგება თავიანთი მხარდამჭერების შესაგულიანებლად, მათში წინააღმდეგობის მუხტის გასაზრდელად გამოიყენონ და დაარწმუნონ ისინი, თითქოს „წალენჯიხის მოდელის“ მთელ საქართველოზე განვრცობა ძალუძთ!

— **თუ წალენჯიხაში შევძელით,** ყველგან შევძლებთ! თუ **წალენჯიხის ადგილობრივ ხელისუფლებაში დავბრუნდით,** საქართველოს ხელისუფლებაშიც დავბრუნდებით! **წალენჯიხა არის პოლიტიკური ბრენდი, რომელიც გამარჯვებას მოგვიტანს!** — ასეთია ნაცსექტის ილუზია და გზავნილი საკუთარი მომხრეებისადმი.

ეს გზავნილი ნაცბანდის ელექტორატისათვის კიდევ უფრო დამაჯერებელი და წონადი რომ გახდეს, სწორედ ამას ემსახურებოდა ამერიკის ელჩის ვიზიტი წალენჯიხაში!

რევოლუციურად აღტყინებულ და ხელისუფლების დამხობაზე მეოცნებე ნაცბანდასა და მის მხარდამჭერებს კელი დეგნანმა წალენჯიხაში ოფიციალური ვიზიტით ნიშანი მისცა — **მე თქვენთან ვარ, მე ვზივარ წალენჯიხის ავტობუსში!**

ამერიკის ელჩის მხრიდან ეს სრულიად გააზრებული და გეგმაზომიერი ნაბიჯი იყო მას შემდეგ, რაც იგი საქართველოს სუვერენიტეტის უგულებელყოფის ყოველგვარ ზღვარს გასცდა და თავს უფლება მისცა, ნიკა გვარამიას დაპატიმრების გამო ქართველი მოსამართლისათვის არამხოლოდ ახსნა-განმარტება მოეთხოვა, არამედ კონკრეტული სანქციით — ამერიკის ვიზის არმიცემით დაესაჯა!

**რით შეიძლება, დამთავრდეს ამერიკის ელჩის ჩაჯდომა წალენჯიხის ავტობუსში?** რა თქმა უნდა, მხოლოდ კრახითა და რევოლუციური სცენარის ჩაფლავებით, რადგან ახლა 2003 წელი კი არა, 2022 წელია, ხოლო ქართველ ხალხს კარგად აქვს ნასწავლი **„ვარდების რევოლუციის“ მწარე გაკვეთილი,** რომელმაც საქართველოს მკვლელების, მწამებლებისა და გამაუპატიურებლების ბანდა დაასვა თავზე!

ერთადერთი, რაც ამ უპერსპექტივო პოლიტიკური თამაშიდან კელი დეგნანს შერჩება ხელში, ეს **წალენჯიხის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ტიტული** იქნება! და კიდევ:





ამერიკის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი ველოსიპედიდან გადმოვარდა. 2022 წლის 18 ივლისი

წალენჯიხის ავტობუსი, რომელშიც თავის დროზე **სააკაშვილი** ჩაჯდა, ახლა კი ამერიკის ელჩი **კელი დეგნანი** მოთავსდა, რეალურად, **წალენჯიხის ავტორუსი** იყო, რადგან „ვარდების რევოლუციით“ მოსული რეჟიმი მთელი 9 წლის განმავლობაში **რუსეთის ინტერესებს** ემსახურა და სულ შხაპაშხუპით ასხა წყალი **კრემლის წისქვილზე.**

დიახ, ნამდვილად არ ყოფილა შემთხვევითი, რომ **წალენჯიხის ავტორუსის „პასაჟირი“ სააკაშვილი** „ვარდების რევოლუციის“ წინაღამეს რუსთაველის გამზირზე ფრონტიდან დაბრუნებული მონატრებული მეგობარივით ეხვეოდა **რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ იგორ ივანოვს,** სულ რამდენიმე საათში კი, **სწორედ ივანოვთან დახურულ კარს მიღმა შეხვედრის შემდეგ,** შევარდნაძემ გადადგომისა და „სახლში წასვლის“ გადაწყვეტილება მიიღო!

**წალენჯიხის ავტორუსით** მოწყობილი რევოლუციის შედეგი იყო ისიც, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ რუსეთს ხონჩით მიართვა ახალგორის რაიონი და კოდორის ხეობა, შემდეგ კი — საქართველოს სტრატეგიული ობიექტებიც!

**წალენჯიხის ავტორუსით** მოწყობილმა რევოლუციამ განაპირობა ქართულ პოლიტიკაში ისეთი პერსონების აღზევება, როგორიც არის, მაგალითად, **ელენე ხოშტარია,** რომელსაც რუსეთის უშიშროების კადრების სამჭედლო — მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტი აქვს დამთავრებული და რომლის ოჯახსაც დღემდე მილიონობით რუბლი ერიცხება რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან. აღარაფერს ვამბობთ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერსა და ხაზინადარზე — **კობა ნაყოფიაზე,** რომელიც რუსეთში გამდიდრდა, დღესაც რუსეთში აგრძელებს ფულის შოვნას და გადასახადებს რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტში იხდის!

ერთი სიტყვით, ეს და კიდევ ბევრი რამ მეტყველებს იმაზე, რომ **წალენჯიხის ავტობუსი** 2003 წელს **წალენჯიხის ავტორუსი** იყო და ემანდ, **წალენჯიხის ავტორუსი** არ აღმოჩნდეს ახლაც, როცა მასში სააკაშვილის ადგილი ამერიკის ელჩმა **კელი დეგნანმა** დაიკავა!

**ჯაბა ხუბუა**

## კელი დეგნანი წალენჯიხის ავტობუსიდან ისევე გადმოვარდება, როგორც მისი პრეზიდენტი ჯო ბაიდენი გადმოვარდა ველოსიპედიდან დელავერის შტატში!

**ბოლოთქმა**

როგორც აღვნიშნეთ, წალენჯიხა საქართველოში ერთადერთი მუნიციპალიტეტია, რომელსაც ოპოზიციონერი მერი ჰყავს! წალენჯიხის საკრებულოს უმრავლესობაშიც ოპოზიცია იმყოფება! საქართველოში კიდევ არის რამდენიმე მუნიციპალიტეტი, რომელსაც ოპოზიციური უმრავლესობა ჰყავს! **მიუხედავად იმისა, რომ კელი დეგნანის სამშობლოს — ამერიკის შეერთებულ შტატებს სააკაშვილის**


კელი დეგნანს ბოლოს შერჩება ტიტული — ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი წალენჯიხის დემოკრატიულ მუნიციპალიტეტში!

# „უკრაინის გამარჯვება რუსეთთან გამორიცხულია!“



## მაია ნიკოლეიშვილი:

# კელი დეგნანმა ამერიკული დიპლომატია მიწასთან გაასწორა!

## „ამერიკაში დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონი არსებობს?“

*— საქართველოს არ აძლევენ მშვიდად ცხოვრების საშუალებას, სურთ, „ქართული ოცნება“ მათი მორჩილი ხელისუფლებით შეცვალონ, რომელიც ყველა პირობაზე თანახმა იქნება, მათ შორის, მეორე ფრონტის გახსნაზეც, —* ***აღშფოთებას ვერ მალავს დამოუკიდებელი ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი და დასძენს:***

— ქართველ კაცს არასოდეს შეშლია ურთიერთობა უცხოელთან. ზოგჯერ დაუმსახურებლად კარგი და გადაჭარბებულიც ყოფილა ჩვენი სტუმართმოყვარეობა, მაგრამ დღეს სულ სხვა სიტუაციაა. მსოფლიოში ძალიან სახიფათო პროცესები მიდის. ჩვენ თვალწინ ხდება უკრაინის დაშლა და ავღანიზაცია. გადადგა კი **კოლექტიურმა დასავლეთმა** ერთი სამშვიდობო ნაბიჯი მაინც? პირიქით, ცდილობს, ომი თავისი ინტერესებისთვის გამოიყენოს, მიუხედავად იმისა, რომ მათაც გადასარევად იციან — **უკრაინის გამარჯვება რუსეთთან გამორიცხულია!** მოდით, პირდაპირ ვთქვათ: ოღონდ რუსეთს ზიანი მიადგეს, მზად არიან, ერი ამოჟლიტონ. **ამხელა სახელმწიფო არ დაინდეს და საქართველოს დაინდობენ?** მათ ხომ ეს არაერთხელ გაახმოვანეს თავიანთი ხელქვეითების პირით?!

**— არადა, კელი დეგნანმა ბრძანა — საქართველოს ომში ჩაბმას არავინ აპირებსო...**

—ერთი მხრივ, აკეთებენ განცხადებებს, საზოგადოების დეპოლარიზაცია უნდა მოხდესო, მეორე მხრივ კი, ქალბატონი დეგნანი საზოგადოებას პირდაპირ პოლარიზაციისკენ უბიძგებს. ეს არის ორმაგი სტანდარტი და სწორედ ამ შერჩევითი სამართლის გამო დაკარგა ქართველი ხალხის დიდმა ნაწილმა ნდობა და პატივისცემა დასავლეთის მიმართ. ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს არ უნდა შევწიროთ საქართველო!

**— ამას ჩვენს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორზე ამბობთ?**

— ამ ურთიერთობას რაც არ უნდა სტრატეგიული პარტნიორობა უწოდონ, ნიღაბი ჩამოიხსნეს. **მათი ხელიდან საქართველოს ხელისუფლება განწირულია. უნდათ, ისეთივე შეშლილები ჰყავდეთ ამ ქვეყნის სათავეში, როგორიც უკრაინაში უზით და ხალხს ახოცვინებს.**

ამ ურთულეს ვითარებაში წამოაყენეს იდეა — საქართველოში სამხედრო წვრთნები უნდა გაიმართოსო და ამის შემდეგ კვლავ სტრატეგიული პარტნიორები არიან? ქვეყნის ომში ჩართვა სტრატეგიული პარტნიორობა კი არა, აშკარა მტრობაა! იმიტომ უნდა დავუკრათ ყველაფერზე თავი, რომ ფულს გვაძლევენ?

თუ შენ საქართველოს მართლა ისე უყურებ, როგორც შემდგარ სახელმწიფოს, როგორ უნდა გაბედო და თქვა, უმრავლესობის მიერ არჩეული დეპუტატის წერილი ბოლომდე არ წავიკითხეო. **შეიძლება, ძალიანაც არ გინდოდეს იმ სიმართლის მოსმენა, რაც იქ წერია, მაგრამ, როგორც დიპლომატი, ვალდებული ხარ, წაიკითხო და უპასუხო.** ეს არის შტატების დიპლომატიის სრული დეგრადაცია საქართველოში! ამით კელი დეგნანმა ამერიკული დიპლომატია მიწასთან გაასწორა!

გეკითხებით, წალენჯიხაში ამერიკის ელჩის ვიზიტი ჰიმნის თანხლებით ნორმალური იყო? ან რომელ დიპლომატიაში ჯდებოდა?! ან, მაგალითად, ვანში და სამტრედიაში რატომ არ ჩავიდა, რითი გვიწუნებს მათ ქალბატონი დეგნანი? არ არის ეს პოლარიზაციის კიდევ უფრო გამძაფრება?!

უფრო მეტიც, კელი დეგნანის წარმომადგენელს ოთახიც კი ჰქონია, სადაც მოსამართლეებს ხვდება და დირექტივებს აძლევს. პირდაპირ ვამბობ — ეს არის საქართველოს კონსტიტუციის დარღვევა!

**მათთვის საქართველოს კონსტიტუცია მხოლოდ ფარატინა ქაღალდია, სტრატეგიული პარტნიორობა კი – მახრჩობელა მეგობრობა!**

**— ამაზეც გააკეთა ამერიკის ელჩმა კომენტარი — მსგავსი რამ არ ხდებაო...**

— რაც არ აწყობს, ყველაფერს ან რუსულ ნარატივს მიაწერს ან გაიძახის, სიცრუეაო.



# «ყოჩაღ, ლაშა ჩხიკვაძეს!»

მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძე

**ლაშა ჩხიკვაძეს** არაერთ სასამართლო პროცესზე შევხვედრივარ და ბევრი საინტერესო გადაწყვეტილება მომისმენია. ის არ არის ხელწამოსაკრავი მოსამართლე, უაღრესად სერიოზული პიროვნება და თავისი საქმის პროფესიონალია. იძულებული გახდა, სიმართლე ხმამაღლა ეთქვა და მისი საქციელი სერიოზულ თანადგომას იმსახურებს. ჩემთვის სრულიად გასაგებია, ამ ნაბიჯით რა რისკის ქვეშ დაიყენა თავი. **საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი „სტრატეგიული მეგობრების“ მუქარა — როგორი გაფრთხილება იციან და როგორი მკაცრები ხდებიან, როდესაც მათი სურვილები არ სრულდება.** ყოჩაღ, ლაშა ჩხიკვაძეს! დარწმუნებული ვარ, მისი ეს გამოსვლა ბევრ რამეს შეცვლის ქვეყნის საკეთილდღეოდ!



კელი დეგნანი წალენჯიხაში

**კელი დეგნანის ადგილზე ნებისმიერი თავმოყვარე ელჩი დატოვებდა საქართველოს, მაგრამ, თუ თავად ვერ დგამს ამ ნაბიჯს, ხელისუფლებამ უნდა გაიწვიოს.**

**— მეტისმეტად ხმამაღალი განცხადება ხომ არ არის?!**

— არათუ ხმამაღალი, აუცილებელია! ეს საზოგადოების უდიდესი ნაწილის მოთხოვნაა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიმშვიდე არ გვექნება. ასეთი ღია გაღიზიანება ქართველ ხალხს ელჩის მიმართ არასოდეს ჰქონია. ის საქართველოს ყოფნაარყოფნის საკითხს ეთამაშება, რისი უფლებაც მას არა აქვს!

სხვათაშორის, სალომე ზურაბიშვილმაც იგრძნო, რომ ლაშა ჩხიკვაძის განცხადება მძიმედ ურტყამდა საელჩოს და იმწუთშივე გამოვარდა, მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძე არადიპლომატიური იყო, ასეთ საკითხებზე ერთი-ერთზე საუბრობენო. **რაზე ქალბატონო სალომე, მოსამართლის ვერდიქტზე მოსამართლესთან?! თქვენ რომ 26 მაისს 3 კილომეტრი ილაპარაკეთ და ტალახში „ათრიეთ“ საქართველოს მთავრობა, მაშინ არადიპლომატიურობაზე „ხსნილი“ იყო?!** სწორედ ეს არის ორმაგი სტანდარტი. მერე რა, რომ საფრანგეთში დაიბადეთ და გაიზარდეთ, ეს არის მონური ფსიქოლოგია! **დიახ, ამას თქვენ გასაგონად ვამბობ!!!** და კიდევ: დარწმუნებული ვარ, **ამჯერად საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა არ დაუშვებს ხელისუფლების კიდევ ერთხელ შეცვლას, რასაც ამერიკელები ბოლო 30 წელია, აკეთებენ.**

**— ფიქრობთ, რომ ზვიად გამსახურდიადან მოყოლებული საქართველოში ამერიკა ცვლის ხელისუფლებას?**

— ეჭვი გეპარებათ ამაში? პირველ პრეზიდენტთან მიმართებაში ამას ანალიზის საფუძველზე ვამბობ, მაგრამ შევარდნაძის ხელისუფლების შეცვლა ჩემ თვალწინ მოხდა. არ მკითხოთ, რატომ იყო მაშინ ჩამოსული ივანოვიო. **იმიტომ, რომ რუსეთი იმ პერიოდში თვითონ იყო ამერიკის პოლიტიკის მსხვერპლი. რასაც ეტყოდნენ, იმას აკეთებდნენ.**

სამმა პარლამენტარმა „ოცნება“ რომ დატოვა, გასაგებად თქვა — კანდიდატობის სტატუსი დაგებული ხაფანგი იყო, რომელშიც საქართველო უნდა შესულიყოო. მადლობა უფალს და მადლობა დღევანდელ ხელისუფლებას, რომ ჩვენ ჯერჯერობით ამ ხაფანგში არ გავებით!

შეუდარებელი და ფასდაუდებელია ის, რაც **ირაკლი ღარიბაშვილმა** გააკეთა — სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობის გაძლიერება და კიდევ უფრო დათბობა. ეს ბრწყინვალე პასუხია იმ დასავლეთისთვის, რომელიც უხმლოდ ცდილობს ჩვენს განადგურებას. თხაკიკინა გოგოებმა, პარლამენტარები რომ ჰქვიათ, რაც არ უნდა ილაპარაკონ სანქციების დაწესებაზე, ხელისუფლება აბსოლუტურად სწორ და თამამ გადაწყვეტილებებს იღებს! **ისე, საინტერესოა, ამერიკაში დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონი არსებობს? რაღაც ეჭვი მეპარება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჰილარი კლინტონის ძმებს საოცარი გავლენები და ბიზნესები არ ექნებოდათ. არც ჰანტერ ბაიდენს ექნებოდა უზარმაზარი ბიზნესები, მათ შორის, უკრაინაში.**

კიდევ ერთხელ ვამბობ — ცდილობენ, ივანიშვილის დაშანტაჟების გზით სისხლისსმელებს გადაულოცონ ხელისუფლება, მაგრამ ბიძინა ივანიშვილმა არ გაგვყიდა, მილიონებზე მაღლა ჩვენი უსაფრთხოება და მშვიდობა დააყენა, ამიტომ ქართველი ერი მას საჯიჯგნად არავის დაუთმობს!

*ესაუბრა* ***ნატო ფოცხიშვილი***

## კვირგვინოსნები

**კორნელი კაკაჩია**
*პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორი*



**„ქართულ ოცნებას“ ეშინია,** რეკომენდაციების შესრულების შედეგად ხელისუფლება არ დაკარგოს, **ოპოზიციას კი ეშინია,** ხელისუფლებამ ბენეფიტებად არ გამოიყენოს შესრულებული რეკომენდაციები და 2024 წლის არჩევნები არ წააგოს. ასეთი **მოჯადოებული წრეა,** რომლიდანაც გამოსვლის გზას ვერ ვხედავ.

„კვირის პალიტრა“

**ლევან სამუშია**
*პარტია „ლელოს“ წევრი*



საპატრიარქო, **მესანთლიდან დაწყებული, პატრიარქის გარემოცვის წევრების ჩათვლით, ყველანი ჩართული ჰყავდა მოსმენებზე „ქართულ ოცნებას“.** უსმენენ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, პოლიტიკოსებს, ჟურნალისტებს. **ჩვეულებრივი ასინეთები არიან და „ასინეთას სამსახური“ აქვთ ჩამოყალიბებული** ამ ადამიანებს.

„ალია“

**ანა დოლიძე**
*პარტია „ხალხისთვის“ ლიდერი*



**რუსებს ქვეყანა მიაქვთ,** რა მნიშვნელობა აქვს, ტანკით წაიღებენ თუ ფულით?! რა დროს დასვენებაა?! **მორალური უფლება არა აქვს საქართველოს პარლამენტს, რომ დასასვენებლად წავიდეს.** ევროკავშირის რეკომენდაციებიც რომ არ იყოს, უამრავი კანონია მისაღები, მათ შორის არის ჩემი ინიციატივა, რომელიც **რუსეთის მოქალაქეებისთვის ქონების მიყიდვაზე მორატორიუმს ეხება.**

„კვირის პალიტრა“

**კობა ხაბაზი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



პოლიტპატიმრები იყვნენ **მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია,** საბჭოთა პერიოდის დისიდენტები. პოლიტპატიმრები არიან **მიხეილ სააკაშვილი, ნიკა გვარამია, რომან შამათავა** და არამც და არამც **ბოგაშვილი!**

„აიპრესი“



# უწმინდური ბერძენიშვილი, იმედია, უახლოეს მომავალში ტელევიზიით არ გამოვა და მწუხარებით არ გვაუწყებს – ჩემი დიდი ბებია აკაკი წერეთელმა გააუპატიურაო!

# ცნობილი ჩამშვებები «დელფინა» აკაკისაც მიახტა!

***რასაც სოსო გოგაშვილის მავანი „ჩიტი" თუ „როჭო" პოლიტიკურ უბორნიაში სჩადის, ზუსტად იმავეს აკეთებს საბჭოთა „კაგებეს" აგენტი ლევან ბერძენიშვილი ლიტერატურისა და ხელოვნების ასპარეზზე, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ, თუ გოგაშვილის „ჩიტებს" ძირითადად ცოცხლებთან აქვს საქმე, რადგან მკვდრები ფულს ვერ იძლევიან, ბერძენიშვილი მიცვალებულებს ერჩის. არ დარჩა კაცი და ავტორიტეტი, მწერალი თუ პოეტი, მეცნიერი თუ საზოგადო მოღვაწე, მდიდარი თუ ღარიბი, რომელსაც ეს პროვოკატორები — ზოგი უმეცარი, ხოლო ზოგი კიდევ მენცარი არ მიადგა და გარშემო ყველაფერი არ მოაქოთა!***

**წერა-კითხვის მცირედ მცოდნე აგენტობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომლებიც „ძ"-სა და „ხ"-ს ერთმანეთისგან ვერ არჩევენ, ბევრი წიგნის წამკითხავმა, მაგრამ მაინც უწიგნურმა ლევან ბერძენიშვილმა** თავი კიდევ ერთხელ გამოიდო და ამჯერად **აკაკი წერეთელს მიახტა,** როცა ერთ-ერთ ლექციაზე განაცხადა:

> ***„ჩვენ გვყავს წმინდანები ლიტერატურაში — ორი კაცი — რუსთაველი და ბარათაშვილი! მეტი წმინდანი არ გვყავს. ზოგიერთი მართლა წმინდანი გვყავს...*** *ჩვენს პატრიარქს უნდოდა აკაკის გაწმინდანება, მაგრამ საქართველოში ოჯახი არ არის, სადაც აკაკი არ შევიდა ხვადაგური მიზნით, რომ ადგილობრივი დიასახლისი გაეუპატიურებინა და არ გამოვიდა მაგის წმინდანობა იმიტომ, რომ მთლად მასეც არ არის, მეგობრებო! ის სიბერეში რომ წაუკითხეს სიკვდილის წინ და — კარგად დამიწერიაო, რომ თქვა! — იმიტომ თქვა, რომ მასზეა, მეგობრებო. საფარ-ბეგი მე არა ვარ. მე წმინდა კაცი ვარ, სხვათაშორის, მაგასთან შედარებით, მართლა წმინდანად გავიზარდე. ვერ გავაწმინდანებთ, მაგრამ აკაკია და თავისი სიდიდე მას აქვს!"*

დავიწყოთ იმით, რომ **უწმინდური ბერძენიშვილი,** რომელმაც შეურაცხყო **ილია, ვაჟა და ლადო ასათიანი, სტალინი** გამოაცხადა **ვაჟა-ფშაველას** ნაბიჭვრად, **ერეკლე მეფეს** უწოდა მოღალატე, ხოლო **დავით აღმაშენებლის** მემკვიდრეებს — კრეტინები, იმედია, უახლოეს მომავალში ტელევიზიით არ გამოვა და მწუხარებით არ გვაუწყებს — **ჩემი დიდი ბებია აკაკიმ გააუპატიურაო!**

სტუდენტებმა, რომლებიც ამ მართლაცდა ძინძგლიანი კაცის ლექციებს ესწრებიან, შესაძლოა, არ იციან, მაგრამ მე ავხსნი, **რატომ ისროლა აკაკის ბოსტანში ფუნაში მოგორებული კენჭი ბერძენიშვილმა, რომელიც იჭიმება, წმინდანი ვარო და ამ დროს ლგბტ აქტივისტ ძმასთან ერთად მთელი თავისი პარტია ჰყავს ჩაშვებული „კაგებეში"!**

საქმე ის გახლავთ, რომ 1898 წლის 26 ივნისს, როცა უბედური **ვანო მაჩაბელი** სახლიდან გაუჩინარდა, იმ ღამეს მასთან ოჯახში **აკაკი წერეთელი** სტუმრობდა. აკაკი ისევე, როგორც ბევრი სხვა, მაჩაბლის ულამაზეს ცოლს **ტასო ბაგრატიონ-დავითაშვილს** ეტრფოდა, მაგრამ ამ ქალს აკაკის გარდა, სხვებიც ეკურკურებოდნენ და კარგა გვარიანად ჰქონდა სახელი შელახული. **მაჩაბლის მდგომარეობას ყველაფერთან ერთად ისიც ამძაფრებდა, რომ დიდი მთარგმნელი, ბანკირი და პუბლიცისტი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მისტიროდა თავის პირველ სიყვარულს ლიზა ქართველიშვილს,** რომელმაც მას ულამაზესი ვაჟიშვილი გაუჩინა, მაგრამ შეიტყო თუ არა მაჩაბლის **ტასო ბაგრატიონ-დავითაშვილზე** დაქორწინების ამბავი, ვანო მაჩაბელს გულის კარი სამუდამოდ ჩაუკეტა და მამას ბავშვის ნახვაც აუკრძალა. საქმე ის გახლავთ, რომ ვანო მაჩაბელი ლიზა ქართველიშვილის ოფიციალურ საქმროდ ითვლებოდა და ოჯახშიც მიღებული იყო, მაგრამ თბილისში ერთ-ერთ წვეულებაზე რაღაც ეშმაკად ულამაზეს ტასო ბაგრატიონ-დავითაშვილს მოჰკრა თვალი, ქალი გულში ჩაუვარდა და სულ მალე მასზე დაქორწინდა კიდეც.

**მოღალატე და უსახელო ცოლისგან თავმოჭრილმა ვანო მაჩაბელმა, რომელიც ილია ჭავჭავაძესაც დაუპირისპირდა და ყველასგან და ყველაფრისგან გაირიყა, ზუსტად იმ დღეს — 26 ივნისს, როცა 55 წლის შემდეგ საკუთარ სახლში ლავრენტი ბერია დახვრიტეს, დაჰკრა ფეხი და გაუჩინარდა.** მისი ასავალ-დასავალი ვერავინ შეიტყო. ერთი ვერსიით, ცოლის რომელიღაც საყვარელმა მოკლა, მეორე ვერსიით, მტკვარში თავი დაიხრჩო და ვერ იპოვეს, ხოლო მესამე ვერსიით — მაჩაბელი ამერიკაში დუხობორებს გაჰყვა!

**აკაკი წერეთელი,** რომელსაც თბილისში სახლი არ ჰქონდა და ღამეს ხან ერთ მეგობართან ათევდა და ხან — მეორესთან, ავხორცობაში არავის შეუნიშნავს! **სულმნათ მგოსანს, რომელსაც ქალები ნამდვილად უყვარდა, შინაური და გარეული ერთმანეთში არასოდეს არევია და ტუტრუცანა ლევან ბერძენიშვილს ვინ მისცა უფლება, თქვას — აკაკი ხვადაგი იყო და ოჯახი არ დარჩენილა, სადაც დიასახლისი არ გააუპატიურაო?!**

კაცი რომ იმას იტყვის — **ლადო ასათიანის „კრწანისის ყაყაჩოები" მკვდრადშობილი ლექსიაო! ილიას, როგორც პოეტს, არ ვიცნობო! ვაჟა-ფშაველამ გორში სწავლის დროს კეკე გელაძე გაიცნო, დააორსულა და სტალინი დაიბადაო!** — იმის წინაპარი აკაკის არა, მაგრამ რომელიღაც ყიზილბაშს მართლაც ჰყავს გაუპატიურებული და სწორედ ის წყეული სისხლია, ბერძენიშვილს რომ არ ასვენებს და გასაქანს არ აძლევს!

**სწორედ ლევან ბერძენიშვილსა და მისთანა ნაძირალებზე აქვს აკაკის დაწერილი ცნობილი ლექსი „ფარისეველი", რომელიც ზუსტად მიესადაგება ამ მართლაცდა აყროლებულ და ხელიდან წასულ პერსონებს!** აი, ამონარიდი ამ ლექსიდან:

**ფარისეველო,**<br>
**გაუტანელო,**<br>
**სხვასთან თავმხრელო,**<br>
**შინ ორმოს მთხრელო,**<br>
**ნაგავის მყრელო,**<br>
**შენ ჭრელო გველო,**<br>
**რამ შეგაძულა,**<br>
**სთქვი, საქართველო?**

**აკაკი წერეთელი** მთელმა ქართველმა ერმა სიცოცხლეში გააღმერთა... ჩვიდმეტი წელი იცოცხლა მან ივანე მაჩაბლის გაუჩინარების შემდეგ და რამე უკეთურობაში რომ შემჩნეული ყოფილიყო, მეფის ხელისუფლება ქართველთა მორალურ ავტორიტეტსა და სახალხო მგოსანს აუცილებლად სამაგალითოდ დასჯიდა და ლაფში ამოსვრიდა. **გამოძიებაც ჩატარდა, მაჩაბლის გაუჩინარების ფაქტზე აკაკი, როგორც ოჯახის სტუმარი, დაიკითხა კიდეც, მაგრამ ყისტი ვერავინ ვერაფერში მოსდო.** რაც შეეხება **ტასო ბაგრატიონ-დავითაშვილს,** კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ **ეს ქალი ყირაზე გადადიოდა და ამორალური ცხოვრებით ცხოვრობდა.**

მადლიერმა ქართველმა ერმა რაჭაში მოგზაურობის დროს აკაკი ხელში აყვანილი ატარა და ასე ააბრძანა მთაწმინდაზეც, სადაც მისი უკანასკნელი ძვალთშესალაგი გაიჭრა...

**ასე მხოლოდ გმირებსა და მამულიშვილებს ექცევიან და არა ლევან ბერძენიშვილის მსგავს ხვადაგებს, რომელთა სამარეც თემურ ალასანიასა და მამუკა ხაზარაძის გაერთიანებულ „უბორნიაში" უკვე გაჭრილია!**

***დიტო ჩუბინიძე***



**სწორედ ლევან ბერძენიშვილსა და მისთანა ნაძირალებზე აქვს აკაკის დაწერილი ცნობილი ლექსი „ფარისეველი", რომელიც ზუსტად მიესადაგება ამ მართლაცდა აყროლებულ და ხელიდან წასულ პერსონებს!**

## ფარისეველო, გაუტანელო, სხვასთან თავმხრელო, შინ ორმოს მთხრელო, ნაგავის მყრელო, შენ ჭრელო გველო, რამ შეგაძულა, სთქვი, საქართველო?

## კვირგვინოსნები

**გურამ მაჭარაშვილი**
*პარლამენტარი*



**ლევან ბერძენიშვილი** ვერ შედგა როგორც პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე და ახლა გადაწყვიტა, ვინც შედგა საზოგადო მოღვაწედ, ისინი ლანძღოს. წარმომიდგენია, **ახლა რომ აკაკი წერეთელი ცოცხალი იყოს, ლექსად როგორ პასუხს გასცემდა ლევან ბერძენიშვილს.**

„იმედინიუსი"

**ლევან ბერძენიშვილი**
*პოლიტიკოსი, ფილოლოგი*



ჩვენ გვყავს **წმინდანები ლიტერატურაში,** ორი კაცი: **რუსთაველი და ბარათაშვილი.** მეტი წმინდანი არ გვყავს. ჩვენს პატრიარქს უნდოდა აკაკის გაწმინდანება, მაგრამ **საქართველოში ოჯახი არ არის, სადაც აკაკი არ შევიდა ხვადაგური მიზნით, რომ ადგილობრივი დიასახლისი გაეუპატიურებინა** და ამიტომ არ გამოვიდა მისი წმინდანობა.

„იმედინიუსი"

**სიმონ მასხარაშვილი**
*ისტორიკოსი*



ვინც **აკაკი წერეთელს** ლანძღავს, მისი მიზანი ქართული თვითმყოფადი კულტურისა და ქართველი ერის ღირსების განადგურებაა.

„იმედინიუსი"

**იგორ კვესელავა**
*პოლიტოლოგი*



ზაფხული შედარებით **მშვიდობიანი** იქნება, თუმცა, შემოდგომიდან **დიდ რყევებს** უნდა ველოდოთ.

„რეზონანსი"

**პაატა მანჯგალაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის" წევრი, პარლამენტარი*



სექტემბრიდან **ფართომასშტაბიანი აქციები უნდა დავიწყოთ** — ვითარება **საგანგებო** და ღონისძიებებიც **საგანგებო** საჭირო.

„ინტერპრესნიუსი"

№12 (136)★ 2022 წლის 25 ივლისი★ გამოდის 2003 წლიდან

# ორჯერ თეირანში!

***წინამდებარე გვერდზე დაბეჭდილ ორ ფოტოს ერთმანეთისაგან დრო — 79 წელი აშორებს, ხოლო ერთმანეთთან გეოგრაფია — ირანის დედაქალაქი თეირანი აკავშირებს.***

**პირველ ფოტოზე,** რომელიც **1943 წელს,** 28 ნოემბრიდან-1 დეკემბრამდე ინტერვალში გადაღებული, **თეირანის კონფერენციის** მონაწილეები — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **იოსებ სტალინი,** ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი **ფრანკლინ დელანო რუზველტი** და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი **უინსტონ ჩერჩილი** არიან აღბეჭდილი. მათ თეირანის კონფერენციაზე ჰიტლერული კოალიციის წინააღმდეგ ევროპაში **მეორე ფრონტის გახსნის საკითხი განიხილეს და ფაშისტების გასანადგურებელი სამხედრო ოპერაციების გეგმები და ვადები შეათანხმეს.**

**მეორე ფოტოზე,** რომელიც **2022 წლის ივლისში** ასევე **თეირანშია** გადაღებული, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინს,** ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტ **ებრაჰიმ რაისის** და თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ **რეჯეპ ტაიპ ერდოღანს** ვხედავთ. სამმხრივ შეხვედრაზე, რომელიც ირანის დედაქალაქში **19-20 ივლისს** შედგა, **სამი ქვეყნის პრეზიდენტმა არაერთი საკითხი განიხილა, რომელთაგანაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო უკრაინული მარცვლეულის ექსპორტისათვის ბლოკის მოხსნა, რუსულ „გაზპრომსა“ და ირანულ ნავთობკომპანია „ნიოკს“ შორის 40 მილიარდი დოლარის ღირებულების გარიგების გაფორმება და სირიაში მიმდინარე ომი, რომელშიც რუსეთი და ირანი პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადს უჭერენ მხარს, თურქეთი კი ამბოხებულებს ემხრობა.**

**თუ 79 წლის წინათ** საბჭოთა კავშირის, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ლიდერებს შორის **თეირანის კონფერენცია** მეორე მსოფლიო ომის ფონზე გაიმართა, **79 წლის შემდეგ** იმავე თეირანში რუსეთის, ირანისა და თურქეთის ლიდერების შეხვედრა ოფიციალურად გამოუცხადებელი, მაგრამ **ფაქტობრივი მესამე მსოფლიო ომის ფონზე** შედგა.

გამოუცხადებელი მესამე მსოფლიო ომის ცხელი ფაზა უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარეობს, მის ცივ ფაზას კი მთელი ევროპის კონტინენტი და ამერიკის კონტინენტის მნიშვნელოვანი ნაწილი აქვს მოცული.

**და რაკი 79 წლის წინათ თეირანში გამართული სამმხრივი შეხვედრისაგან განსხვავებით, რომელიც თეირანის კონფერენციის სახელით არის ცნობილი, 79 წლის შემდეგ თეირანშივე გამართულ სამმხრივ შეხვედრას ოფიციალური სახელწოდება ჯერ არ მიუღია, თამამად შეგვიძლია, მას თეირანის ომფერენცია ვუწოდოთ.**

თეირანის **კონფერენციიდან** თეირანის **ომფერენციამდე!**







## თეირანის კონფერენციამ, რომელსაც ჰიტლერული კოალიციის წინააღმდეგ ევროპაში მეორე ფრონტის გახსნა მოჰყვა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმაში, რომ მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმი დამარცხებულიყო, მაგრამ რა გავლენას მოახდენს თეირანის ომფერენცია ფაქტობრივი მესამე მსოფლიო ომის საბოლოო შედეგზე? ვის დარჩება გამარჯვება – რუსეთსა და მის მოკავშირეებს თუ კოლექტიურ დასავლეთს, რომელიც მზად არის, იბრძოლოს უკანასკნელ ... უკრაინელ ჯარისკაცამდე?

ერთადერთი, რაც ამთავითვე ცხადია, **ფაქტობრივ მესამე მსოფლიო ომში უკვე დამარცხებულია უკრაინა, რომელიც ვეღარასოდეს იქნება ისეთი, როგორიც იყო მანამ, სანამ მისი მიწა რუსეთისა და კოლექტიური დასავლეთის საომარ პოლიგონად გადაიქცეოდა!**

და კიდევ: მეორე მსოფლიო ომში, რომლის ფონზეც **თეირანის კონფერენცია** გაიმართა, **უმცირესმა ბოროტებამ** გაიმარჯვა **უდიდეს ბოროტებაზე,** აი, **ფაქტობრივ მესამე მსოფლიო ომში კი, რომლის ფონზეც თეირანის ომფერენცია შედგა, ბოროტების დიფერენციაციაც ძალიან ჭირს — ცალსახად ვერ იტყვი, რუსეთსა და კოლექტიურ დასავლეთს შორის რომელია უმცირესი ბოროტება ან, საერთოდ, ეს ორი უდიდესი ბოროტების ომი ხომ არ არის?**

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ, ქართველებმა, ზუსტად ვიცით, რომ **საქართველოს ადგილი არც უმცირესი და არც უდიდესი ბოროტების მხარეს არ არის,** ჩვენი ადგილი სიკეთის მხარესაა, მიუხედავად იმისა, რომ ქართული მიწიდან — **გორისა და კასპის მიდამოებიდან** დაძრული სიო 79 წლის წინათ **თეირანის კონფერენციაზეც** ქროდა და 79 წლის შემდეგ **თეირანის ომფერენციასაც** მიელამუნა!

***ჯაბა ხუბუა***

# თეირანის კონფერენციიდან თეირანის ომფერენციამდე

# „ხრუშჩოვმა და მისმა ხროვამ დაშალეს უშიშროება, დაითხოვეს, გაყარეს ან მოკლეს სტალინისა და ბერიას კადრები და ძალოვან უწყებებში კომკავშირელები შეყარეს!“




## ისტორიკოსის თვალით ★

## სვიმონ მასხარაშვილი:

# სტალინი ყველაზე დიდი კონტრ-რევოლუციონერია, რომელმაც პედერასტიზმს ოჯახის კულტი დაუპირისპირა!

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“ №10-11*

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი** ნიკიტა ხრუშჩოვისა და მისი ხროვის მიერ გატარებულ იმ ღონისძიებებზე მოგვითხრობს, რასაც შედეგად სტალინისა და ბერიასეული ძალოვანი სისტემის დანგრევა მოჰყვა. მეცნიერი აცხადებს, რომ 1957 წლის ოქტომბრიდან, როცა ხრუშჩოვმა უკანასკნელი მოწინააღმდეგე — მარშალი გიორგი ჟუკოვი გზიდან ჩამოიშორა, ქვეყანაში სტალინის მიერ შექმნილი ბალანსირებადი პოლიტიკური სისტემის მკვლელობის პროცესი დაიწყო:*

— 1957 წლის ივნისში, როცა ცეკას პრეზიდიუმმა **ნიკიტა ხრუშჩოვი** პირველი მდივნობიდან გადააყენა, **ლაზარ კაგანოვიჩს, ვიაჩესლავ მოლოტოვსა** და **გიორგი მალენკოვს** ჰქონდათ რეალური შანსი, **ხრუშჩოვი** დაეხვრიტათ, მაგრამ ისევ და ისევ არმიისა და პირადად **გიორგი ჟუკოვისა** და **ივან სეროვის** უშუალო დახმარებით, მან მოახერხა პლენუმის მოწვევა და თანამდებობის შენარჩუნება. ეს ფაქტი, დიდი ალბათობით, ადასტურებს იმას, რომ **ჟუკოვი და სეროვი** თავიდან ბოლომდე მონაწილეობდნენ იმ შეთქმულებაში, რომელიც 1953 წლის მარტსა და ივნისში სტალინისა და ბერიას წინააღმდეგ მოეწყო.

**— მაინც რა მოხდა 1957 წლის ზაფხულში, შეთქმულებმა მოქმედება და გადამჭრელი ზომების მიღება დააგვიანეს?**

— მართალია, შეთქმულებმა — **კაგანოვიჩმა, მოლოტოვმა** და **მალენკოვმა** სწრაფად ვერ იმოქმედეს, მაგრამ იყო კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც სიტუაცია აჭრა. საქმე ის გახლავთ, რომ **ნიკიტა ხრუშჩოვი ბოროტებაშეზღუდული და სულელი კი იყო, მაგრამ მშიშარა არ ყოფილა. როგორც კი ცეკას პირველი მდივნობიდან გადააყენეს, არ გაქცეულა, მაშინვე მოქმედებაზე გადავიდა და საშველად საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრს, მარშალ გიორგი ჟუკოვს უხმო.** შეთქმულებმა, თავის მხრივ, გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვეს, როცა თანამდებობიდან გადაყენებული ხრუშჩოვი პრეზიდიუმის სხდომაზევე არ დააპატიმრეს და ადგილზე არ დახვრიტეს! ეს ვითარებას რადიკალურად შეცვლიდა და **ჟუკოვსა და სეროვს** მოტივაცია აღარ ექნებოდათ, რომ სამხედრო თვითმფრინავებით დეპუტატები ჩამოეყვანათ და პლენუმი მოეწვიათ, სადაც ხრუშჩოვი თანამდებობაზე დააბრუნეს.

**— კი მაგრამ, ჟუკოვს რა რჯიდა, რატომ გამოიდო ასე თავი ხრუშჩოვის გადასარჩენად?**

— **ჟუკოვს** თავისი მიზნები ჰქონდა და პირველკაცობა უნდოდა! **როგორც კი გადატრიალება ჩაიფუშა, ჟუკოვმა ხრუშჩოვს თავი პრეზიდიუმში შეაყვანინა, მაგრამ არ გასულა ორი თვე და ხრუშჩოვმა გიორგი ჟუკოვი საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრობიდან გადააყენა.** ეს მოხდა 1957 წლის 26 ოქტომბერს, როცა ჟუკოვი იუგოსლავიაში იყო ჩასული და თვითმფრინავში შეიტყო, რომ თავდაცვის მინისტრობიდან გადააყენეს! მის ნაცვლად დანიშნეს მარშალი **როდიონ მალინოვსკი...** ამ ხერხით ხრუშჩოვმა ჟუკოვის ბონაპარტისტული ტენდენციები ერთხელ და სამუდამოდ გაანეიტრალა და ერთპიროვნული ძალაუფლება აიღო ხელში, ანუ 1957 წლის ოქტომბრიდან, როცა ხრუშჩოვმა უკანასკნელი მოწინააღმდეგე — **ჟუკოვი** გზიდან ჩამოიშორა, სტალინის მიერ შექმნილი ბალანსირებადი პოლიტიკური სისტემის მკვლელობის პროცესი დაიწყო!



**— საინტერესოა, ძალოვან უწყებებს როგორ შეეხო სტალინური სისტემის მკვლელობა?**

— ერთი რამ უნდა ითქვას: **1964 წელს ხრუშჩოვი იმ ხალხმა გადააყენა, რომელიც 1952 წელს სტალინმა პრეზიდიუმში შეიყვანა!** ესენი იყვნენ: **სუსლოვი, ბრეჟნევი, კოსიგინი, პოდგორნი** და სხვები... რაც შეეხება ძალოვან უწყებებს და მათ რღვევას ხრუშჩოვის ხელში, საერთოდ, საბჭოთა კავშირის უშიშროების სისტემამ **ფელიქს ძერჟინსკისა** და **ვიაჩესლავ მენჟინსკის** პერიოდიდან მოყოლებული, რამდენჯერმე განიცადა ტრანსფორმაცია. **ძერჟინსკი, მენჟინსკი და ჰენრიხ იაგოდაც** კი თითქმის ერთი სისტემა იყო, მაგრამ **ნიკოლაი ეჟოვმა,** რომელიც პარტიიდან მოსული კაცი იყო, შექმნა რეპრესიული სისტემა.

1938 წლის 25 ნოემბრიდან, როცა ლავრენტი ბერია საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი გახდა, ხოლო იმავე წლის 17 დეკემბერს თბილისიდან გადმოყვანილი თავისი უერთგულესი კადრი — **ვსევოლოდ მერკულოვი** სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშნა, დაიწყო საბჭოთა ძალოვანი უწყებების დიდი რეფორმა. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ **ლავრენტი ბერიამ ციხეებიდან გაათავისუფლა ეჟოვისა და მისი ბანდის მიერ სრულიად უმიზეზოდ დაპატიმრებული და ნაწამები არაერთი უნიჭიერესი ოფიცერი და რიგითი ადამიანი.** მათ შორის გახლდათ საბჭოთა კავშირის მომავალი მარშალი, სტალინის უსაყვარლესი პიროვნება **კონსტანტინე როკოსოვსკი,** რომელსაც აწამებდნენ და ეს ულამაზესი კაცი **ეჟოვის ჯალათებმა** ლამის დააინვალიდეს. მოკლედ, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე შინაგან საქმეთა სამინისტრო და უშიშროება ერთ უწყებაში იყო გაერთიანებული და ამ ყველაფერს ხელმძღვანელობდა **ლავრენტი ბერია,** თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტრო და უშიშროება ბერიას დროს არაერთხელ შეერთდა და გაიყო. ასე, მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი გაყოფა მოხდა 1943 წელს. ცალკე იყო მთავარი სადაზვერვო სამმართველო — **„გრუ“,** რომელსაც ხელმძღვანელობდა მარშალი **ფილიპე გოლიკოვი;** ცალკე იყო სტალინის პირადი უშიშროების სამსახური; ცალკე იყო ე.წ. **სმერში, ანუ კონტრდაზვერვის მთავარი სამმართველო,** რომელიც 1943 წლის 19 აპრილს საიდუმლო დადგენილებით შეიქმნა და ცალკე იყო **შინაგან საქმეთა სამინისტრო.** „სმერშ“ იშიფრება ასე — **„სმერტ შპიონამ!“** და მის ხელმძღვანელად დაინიშნა **ვიქტორ აბაკუმოვი.** ომი რომ დამთავრდა, სტალინმა „სმერში“ გააუქმა და მთელმა აპარატმა უშიშროების სამინისტროში გადაინაცვლა. შესაბამისად, აბაკუმოვი გახდა უშიშროების მინისტრი.

**— მაინც რა რეფორმები გაატარა ბერიამ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში?**

— უპირველეს ყოვლისა, **ბერიამ სისტემიდან დაიფრინა ეჟოვის „კასტალომები“ — მწამებლები და გზა გაუხსნა პროფესიონალებსა და ინტელექტუალებს!**



**— სხვათაშორის, ჰენრიხ იაგოდასაც და ნიკოლაი ეჟოვსაც დაკითხვაზე აღიარებული აქვთ, რომ პედერასტები იყვნენ! ეს წამებით აღიარებინეს თუ ნამდვილად იყვნენ ასეთები?**

— რა წამება, კაცო, ეგენი ამაყობდნენ ამით! **ბოლშევიკები გაქანებული ლიბერალები იყვნენ და ჰომოსექსუალიზმი მათ პარტიაში ყვაოდა!** საგარეო საქმეთა მინისტრი **გიორგი ჩიჩერინი** ამაყობდა და არც მალავდა, რომ სოდომისტი იყო და თანაშემწე და მდივან-რეფერენტი ბიჭები საყვარლებად ჰყავდა. ეჟოვი სწორედ ამას ამბობს დაკითხვაში — **ჩვენ რომ ხელისუფლებაში მოვედით, ბოლშევიკებში ჰომოსექსუალიზმი კარგ ტონადაც ითვლებოდა!** ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **სტალინი ყველაზე დიდი კონტრრევოლუციონერია, რომელმაც პედერასტიზმს ოჯახის კულტი დაუპირისპირა. ასე რომ, ეჟოვისა და იაგოდას ჰომოსექსუალობა მოგონილი კი არა, სინამდვილეა!**

**— როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირში კიდევ არსებობდა ე.წ. კართოტეკის სამსახური!**

— დიახ, **კართოტეკის სამსახური** სტალინის დავალებით შექმნა **გიორგი მალენკოვმა.** სისხლის ჯგუფით დაწყებული, აბსოლუტურად ყველა მონაცემი იქმნებოდა თითოეულ პიროვნებაზე და ასე ყალიბდებოდა კართოტეკა. **ჰუვერის** შემდეგ მსგავსი რამ მსოფლიოში პირველად სწორედ საბჭოთა კავშირში შეიქმნა, რამაც სპეცსამსახურების საინფორმაციო უზრუნველყოფის მაღალი დონე მნიშვნელოვნად განსაზღვრა.

**— ხრუშჩოვი და მისი ხროვა რომ მოვიდნენ, ძალოვან უწყებებში რა მოხდა?**

— **ხრუშჩოვმა და მისმა ხროვამ** დაშალეს უშიშროება, დაითხოვეს, გაყარეს ან მოკლეს **სტალინისა და ბერიას კადრები** და ძალოვან უწყებებში კომკავშირელები შეყარეს, რომლებმაც ყველაფერი თავდაყირა დააყენეს! **სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო საბჭოთა მზვერავების გაუჩინარება და უცხოეთის სპეცსამსახურების მიერ მათი გადაბირება.** ხრუშჩოვი ძალოვან უწყებებში შეყრილ კომკავშირელებს ერთადერთ რამეს სთხოვდა — არ მოგვისმინონ, არ გვისმენდნენო! მას მოსმენების პანიკური შიში ჰქონდა, ანუ **ხრუშჩოვმა ქაღალდზე „კაგებე“ კი დატოვა, მაგრამ მთელი სისტემა დალეწა! ეს რომ არ მომხდარიყო, შესაძლოა, საბჭოთა კავშირი არც დაშლილიყო.** უფრო მეტიც,

**1958 წელს ხრუშჩოვმა შინაგან საქმეთა სამინისტრო საერთოდ გააუქმა და 1966 წლამდე ამოდენა იმპერიას შინაგან საქმეთა მინისტრი არ ჰყოლია!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

*გაგრძელება იქნება*


ნიკოლაი ეჟოვი

## «ეჟოვისა და იაგოდას ჰომოსექსუალობა მოგონილი კი არა, სინამდვილეა!»


ჰენრიხ იაგოდა

# ★ გიორგი ბეჟირგანის პასუხები მკითხველს

## იყვნენ თუ არა ებრაული წარმოშობის ლენინი და ჰიტლერი?



პირველი მინიშნება ლენინის ებრაული წარმოშობის შესახებ 20-იანი წლების ბოლოს საბჭოთა მწერალმა **მარიეტა შაგინიანმა** გააკეთა თავის წიგნში **„ულიანოვების ოჯახი“.** მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის საგვარეულო ნუსხის შესწავლის შემდეგ შაგინიანმა დაწერა, რომ ლენინის ბებია (**მამის — ილია ულიანოვის** მხრიდან) „წარჩინებული ყალმუხური გვარიდან“ იყო, ხოლო **ლენინის დედა — მარია ალექსანდრეს ასული ბლანკი** — შვედ ხელოსანთა ოჯახიდან. მამამისი წარმოშობით უკრაინის პატარა დაბიდან იყო. სწორედ სიტყვა **„დაბა“** მიანიშნებდა ლენინის ებრაულ წარმომავლობაზე. პირადად სტალინის განკარგულებით, აღნიშნული წიგნი დაუყოვნებლივ ამოიღეს ქსელიდან და ბიბლიოთეკებიდან, ხოლო მის ერთ-ერთ ეგზემპლარზე ბელადმა საკუთარი ხელით წააწერა: **„გადაეცით იმ სულელ დედაკაცს, რომ ლენინი ბიოლოგიური კი არა, ისტორიული პიროვნებაა“.**

**მარია ალექსანდროვნას** გვარში დედამისის მხრიდან ნამდვილად იყვნენ შვედი ხელოსნები, **ილია ულიანოვის** საგვარეულოში კი — ყალმუხები. **რაც შეეხება ლენინის დედის მამას, იგი ნამდვილად ებრაელი გახლდათ — ისრაელ ბლანქი, რომელიც 20 წლის ასაკში მონათლეს და ნათლობის სახელი ალექსანდრ დმიტრიევიჩი მიანიჭეს.** ალექსანდრე საკმაოდ ცნობილი ექიმი იყო, რომელმაც „სტატსკი სოვეტნიკის“ ჩინამდე მიაღწია, რაც გენერლის წოდებას უტოლდებოდა. ამგვარად, **ლენინი** სისხლის ერთი მეოთხედით **ებრაელი** იყო, ხოლო დანარჩენი სამი მეოთხედი შვედებს, ყალმუხებსა და რუსებს ერგოთ.

ახლა — რაც შეეხება **ჰიტლერს.** ცნობილია, რომ „ათასწლოვანი“ რაიხის ფიურერის მამა ნაბუშარი იყო და 40 წლამდე დედის — **შიკლგრუბერის** გვარს ატარებდა. შემდეგ იგი ოფიციალურად იშვილა ვინმე **გეორგ ჰიტლერმა (ჰიდლერი),** რომელსაც რაიხის ბიოგრაფები **ფიურერის ბაბუად** მიიჩნევდნენ. იმავდროულად, არსებობდა ვერსია, რომ **ალოიზ ჰიტლერის** ნამდვილი მამა **გრაცელი** ებრაელი **ფრანკენბერგერი** იყო, რომელთანაც ჰიტლერის ბებია — **ანა-მარია შიკლგრუბერი** დიდი ხნის მანძილზე „ეკონომკად“ მუშაობდა. თუმცა, აღნიშნული ვერსია, რომელმაც პირველად ნიურნბერგის პროცესზე ერთ-ერთი სამხედრო დამნაშავის — **ჰანს ფრანკის** ბაგეებიდან გაიჟღერა, დოკუმენტურად არ დასტურდება.



**გიორგი ბეჟირგანის პასუხები მკითხველთა შეკითხვებზე აქტუალობას არ კარგავს ისევე, როგორც მისი პუბლიცისტური შედევრები:** „წერილები მკვდარი სახლიდან“, „სიკვდილი ფსევდონიმით“, „დიდი მეგრელის“ აღსასრული“, „პირსისხლიანი მაიმუნების ჟამი“, „იაკობი, ძე იოსებისა“, „საუკუნის მკვლელობის ქრონიკა“, „მესამე ქართველი“, „თბილისი, 1937 წელი“, „ცინკის სასახლეთა“ საიდუმლო“, „როგორ იმსხვრეოდა ფოლადი“, „მკვდარი სახლის მეტამორფოზები“, „კობა და სამყაყეთი“, „მერხეულიდან კრემლამდე“, „უცნობი სტალინი“, „წყეული ტახტები“, „კრემლის აბლაბუდა“, „დანა ბელადის ზურგში“, „ჩიბუხდარტყმულები, ანუ ლილიპუტები გულივერის წინააღმდეგ“, „სახელისუფლო თამაშები სასიკვდილო შედეგით“, „ფლიგერის“ საქმე“ და „ფელდმარშალზე არგაცვლილი“. **ცნობილი პუბლიცისტი და მწერალი, საუკეთესო ადამიანი და ღირსეული მოქალაქე გიორგი ბეჟირგანი მუდამ ჩვენ გვერდითაა!**

## მართალია, რომ ლავრენტი ბერიამ ჩეკას ჯურღმულებში დიდ ქართველ მუსიკოს ევგენი მიქელაძეს დაკითხვისას შამფური გაუყარა?



**ევგენი მიქელაძე** 1937 წლის ნოემბერში პირდაპირ **ფალიაშვილის ოპერა „ლატავრას“ რეპეტიციაზე** დააპატიმრეს. მისი შემდგომი ბედიღბალი საიდუმლოების ბურუსით არის მოცული. **ლეგენდა შამფურზე, რომლითაც ავაზაკურად იქნა მოკლული გენიალური მუსიკოსი, 30-იანი წლებიდან მოდის, თუმცა, მისი დოკუმენტური მტკიცებულებანი არ მოიპოვება.** აღნიშნული ლეგენდის ერთ-ერთი „რედაქცია“ ასეთია: წამებისგან თვალდავსილი დირიჟორი **ბერიასთან** მიჰყავთ. მიქელაძე კითხვებზე პასუხს სცემს და სახელით მიმართავს. **„როგორ მიცანი,** — ეკითხება ბერია, — **შენ ხომ ბრმა ხარ?“ „თქვენ გავიწყდებათ, რომ აბსოლუტური სმენა მაქვს“** — მიუგებს მუსიკოსი.

ლეგენდის მიხედვით, სწორედ ამ პასუხის გამო ბერიას თანაშემწე **ბახჩო ქობულოვმა** შამფურით მხეცურად აწამა მიქელაძე. **ასეა თუ ისე, დანამდვილებით მხოლოდ ის გახლავთ ცნობილი, რომ დიდმა ევგენი მიქელაძემ შინსახკომის ჯურღმულებში წამებით დალია სული და ეს დანაშაული ბერიასა და მისი სატრაპების სინდისზე დარჩა.**

## მართალია თუ არა, რომ სერგო ორჯონიკიძის თვითმკვლელობის მიზეზი მისი უფროსი ძმის პაპულიას დაპატიმრება გახდა?



ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ძნელია. სავარაუდოდ, „რკინის სახკომის“ გადაწყვეტილებაზე ზეგავლენა არამხოლოდ უფროსი ძმის, არამედ მძიმე მრეწველობის დარგში მისი მოადგილის **პიატაკოვის** დაპატიმრებამაც იქონია. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში სერგო შესამჩნევად გაუუცხოვდა **პაპულიას,** რომელიც იმ დროს რკინიგზის პარტორგანიზაციის მდივნად მუშაობდა. **ძმების დაშორების მიზეზი კი პაპულიას გამუდმებული ლოთობა და თავშეუკავებლობა გახდა, რაც ანტისაბჭოთა საუბრებსა და პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მისამართით შეურაცხმყოფელ გამოთქმებში გამოიხატებოდა.** პაპულია განსაკუთრებით ლანძღავდა **სტალინსა და ძმას,** რომელთაგან ერთს — **„ულვაშა ღორს“,** ხოლო მეორეს **„ნაძირალასა და გადაგვარებულს“** უწოდებდა. ამ ანტისაბჭოური ლაყბობის გამო იგი დააპატიმრეს და შემდეგ დახვრიტეს.

**სერგოსა და პაპულიას დაძაბულ ურთიერთობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ თბილისში ჩამოსული სერგო ღვიძლი ძმის კი არა, ბერიას ჭერქვეშ ათევდა ღამეს.**

ამდენად, ვარაუდი, რომ მხოლოდ **პაპულიას** დაპატიმრებამ უბიძგა **სერგოს** თვითმკვლელობისაკენ, მთლად სწორი არ იქნება. იმ გადარეულ დროში მსგავსი საქციელი სრულებით ბუნებრივი გახლდათ. **კაგანოვიჩის ერთი ძმა რეპრესიებს შეეწირა, მეორემ კი თავი მოიკლა. კალინინს, მოლოტოვის მსგავსად, ცოლი დაპატიმრებული ჰყავდა.** თუმცა, ეჭვგარეშეა, რომ იმ წლებში არსებულმა ვითარებამ მკაფიო ზეგავლენა მოახდინა **ორჯონიკიძის** საბედისწერო გადაწყვეტილებაზე, მკვეთრად გაუუარესა სტენოკარდიული დაავადება და გაუხშირა კარდიოასთმის შეტევები. **1937 წლის თებერვალში სერგომ დაასწრო ერთ-ერთ ასეთ აუტანელ შეტევას და საკუთარი ხელით მოისწრაფა სიცოცხლე.**



## ბუდუ მდივანთან ერთად მუსრი მის ახლო და შორეულ ნათესავებსაც გაავლეს?

ნაციონალ-უკლონიზმში დადანაშაულებული პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე **ბუდუ (პოლიკარპე) მდივანი** 1936 წლის ოქტომბერში დააპატიმრეს. მის საქმეს სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი **ბახჩო ქობულოვი** იძიებდა. **ბუდუს კვალდაკვალ დააკავეს მისი მეუღლეც. მოკლე ხანში კი საქართველოს შინსახკომის საპყრობილეში აღმოჩნდნენ მისი შვილები — გიორგი, ვანო, დავითი, არჩილი** (ცნობილი ჩოგბურთელი, ქვეყნის ჩემპიონი), **რომელიც პირდაპირ კორტებზე აიყვანეს.** ბუდუ მდივნის ქალიშვილი და **პიერ კობახიძის** მეუღლე **მერი** ჩეკისტებმა ერთი წლის ავადმყოფი შვილის საწოლს ძალით ააგლიჯეს...

**ერთადერთი, ვინც „საკუთარი სიკვდილით“ აღესრულა, ბუდუს შვილი შალვა გახლდათ. იგი მფრინავ-გამომცდელი იყო და 1933 წელს ავიაკატასტროფაში დაიღუპა.**

**ბუდუ მდივანი** 1937 წლის 9 ივლისის ღამეს დახვრიტეს. არავინ იცის, სად მოუსწრაფეს სიცოცხლე მის ქვრივსა და ვაჟიშვილებს. შეგვიძლია, მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ყველა მათგანი საპყრობილეში აღესრულა ისე, რომ გადასახლებულთა ბანაკში არც მოხვედრილა. მერი მდივანი სოლიკამსკში, კატორღელთა ბანაკში, გაამწესეს და 1939 წელს „გაქცევის მცდელობისთვის“ დახვრიტეს...

შორეულ ბანაკებში აღმოჩნდნენ და იქვე დაიღუპნენ ბუდუს დანარჩენი ნათესავებიც. სიკვდილს მხოლოდ გიორგის ქვრივი — **თამარ ნასყიდაშვილი** და ბუდუს მეუღლის ნათესავი **ნინო წულუკიძე** გადაურჩნენ. 50-იანი წლების შუა ხანებში ისინი თბილისში დაბრუნდნენ.

## კიროვის მკვლელი, როგორც ხრუშჩოვი ირწმუნებოდა, შეიძლება, მართლაც სტალინი ყოფილიყო?

სერგეი კიროვის მკვლელი ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მუშაკი, 30 წლის **ლეონიდ ნიკოლაევი** გახლდათ, რომელიც ტერაქტამდე მცირე ხნით ადრე პარტიიდან გარიცხეს. **1934 წლის 1 დეკემბერს სმოლნის კორიდორში მან რევოლვერის ორი გასროლით მოკლა ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, სკპ(ბ) ცეკას მდივანი სერგეი კიროვი, მესამე გასროლით კი საკუთარი სიცოცხლის ხელყოფა სცადა.** რაც შეეხება შემკვეთებს, 30-იან წლებში, ღია სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას, ისინი ათობით და ასობით სახელდებოდნენ. მათ შორის მოიხსენიებოდნენ **ზინოვიევი, კამენევი, ბუხარინი, აბელ ენუქიძე** და სხვანი. თუმცა, შემკვეთთა ჩამონათვალი, რა თქმა უნდა, **ტროცკით** იწყებოდა. მოკლედ, **კიროვის მკვლელობაში მაშინ ავტომატურად ადანაშაულებდნენ თითქმის ყველა დაპატიმრებულ „ხალხის მტერს“.**

სმოლნში განხორციელებულ ტერაქტთან დაკავშირებულმა ბაქჰანალიამ ისეთი სახე მიიღო, რომ ჩეკისტების მიერ ღამით გაღვიძებული ადამიანი შეკითხვაზე — **„შენ მოჰკალი კიროვი?“** უყოყმანოდ პასუხობდა — **„დიახ. ეს მე ჩავიდინე!“** და მაშინვე ასახელებდა მკვლელობის „თანამონაწილეთა“ ვინაობასაც.

**50-იანი წლების შუა ხანებში ხრუშჩოვმა განავითარა ვერსია მკვლელობაში სტალინის მონაწილეობის შესახებ. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც სათავეში საბჭოთა პროფკავშირების ხელმძღვანელი შვერნიკი ჩაუდგა.** კომისიას უნდა გამოეკვლია „1 დეკემბრის საქმის“ გარემოებანი. თუმცა, ამ კომპეტენტური ორგანოს მასალები და დასკვნები არ გამოქვეყნებულა, რაც არც არის გასაკვირი. **ხრუშჩოვის მხრიდან ზეწოლის მიუხედავად, მკვლელობასთან სტალინის კავშირის დამტკიცება კომისიამ ვერ შეძლო.** 1990 წლის ნოემბერში გაზეთმა „პრავდამ“ გამოაქვეყნა ამონარიდები ცნობიდან, რომელსაც კომისიის ყველა წევრი აწერდა ხელს. მასში ნათქვამი გახლდათ, რომ **„ნიკოლაევი დამოუკიდებლად მოქმედებდა, ხოლო „სტალინმა ეს ტერაქტი თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის გამოიყენა“.**

მართლაც, როგორც „კაგებეს“ გასაიდუმლოებული მასალებიდან გაირკვა, **ნიკოლაევი** არავის შეკვეთას არ ასრულებდა და კიროვზე შური იძია პარტიიდან თავისი გარიცხვისა და შელახული ღირსების გამო. საქმე ისაა, რომ **ნიკოლაევის ლატვიელი ცოლი მილდა დრაულე, რომელიც ლენინგრადის საოლქო კომიტეტში ტექნიკურ მდივნად მუშაობდა, კიროვის დიდი ხნის საყვარელი გახლდათ.** სხვათაშორის, თავად **ნიკოლაევი** ყველა დაკითხვაზე ირწმუნებოდა, რომ მკვლელობა მარტომ, მასზე გაპიროვნებული იარაღით ჩაიდინა. სხვა საქმეა, რომ სტალინმა მართლაც გამოიყენა ეს მკვლელობა პოლიტიკური მიზნებისათვის და ანგარიში გაუსწორა თავის აშკარა და ფარულ მტრებს, რაც 1937 წლის ცნობილ რეპრესიებში გადაიზარდა.



# სტალინმა იცოდა კიევის ფასი!

**★ დღეს იყო გუშინ!**

## სატელეგრაფო მიმოწერა სტალინსა და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მეთაურ, გენერალ კირპანოსს შორის.

**„აპარატთან სტალინია. ჩვენამდე მოაღწიეს ცნობებმა, რომ ფრონტმა გადაწყვიტა, გულგრილად ჩააბაროს კიევი მტერს, ვითომცდა იმ სამხედრო ნაწილების უკმარისობის გამო, რომლებსაც კიევის დაცვა შეუძლიათ. მართალია თუ არა ეს?“**

**ჟუკოვს** შემოაქვს წინადადება, გაყვანილ იქნენ საჯარისო ფორმირებები დნეპრს გადაღმა, მაგრამ სტალინისათვის კიევის დაკარგვა კატასტროფის ტოლფასია: **არ იქნება კიევი — მოსკოვიც აღარაა მოსკოვი!**

იყო თუ არა მცდარი უმაღლესი მთავარსარდლისა და **გენერალ კირპანოსის** გადაწყვეტილება, რომ კიევი ნებისმიერ ფასად შენარჩუნებულიყო? ამის თაობაზე ისტორიკოსები დღემდე ბჭობენ, თუმცა, 1941 წლის 19 სექტემბერს კიევი მაინც დაეცა და სამხრეთ-დასავლეთი ფრონტიც განადგურებულ იქნა, რამაც მოწინააღმდეგეს საშუალება მისცა, განეხორციელებინა შეტევა აღმოსავლეთ უკრაინაზე, კერძოდ, **დონბასის** მიმართულებით. **მეორე მხრივ, ვერმახტის მე-2 სატანკო დაჯგუფების იძულებითმა გადასროლამ ცენტრიდან კიევისაკენ, შესაძლებელი გახადა, საბჭოთა არმიას მოეგო დრო მოსკოვის სერიოზული დაცვის უზრუნველსაყოფად.** ასეთია არცთუ შორეული წარსული, რომელიც დღესაც ჩვენთან არის!


ТЕЛЕГРАФ — ТЕЛЕГРАММА

В

У АППАРАТА ГЕНЕРАЛ ПОЛКОВНИК КИРПАНОС

Принята 8/9 го 1941 г.

от Бровары №

Принял Павлищев

Разр. / Сим слов / Подана

Служебные отметки

У АППАРАТА СТАЛИН=

ДО НАС ДОШЛИ СВЕДЕНИЯ ЧТО ФРОНТ РЕШИЛ С ЛЕГКИМ СЕРДЦЕМ СДАТЬ КИЕВ ВРАГУ ЯКОБЫ В ВИДУ НЕДОСТАТКА ЧАСТЕЙ СПОСОБНЫХ ОТСТОЯТЬ КИЕВ ВЕРНО ЛИ ЭТО?

ЗДРАВСТВУЙТЕ ТОВ СТАЛИН ВАМ ДОЛОЖИЛИ НЕВЕРНО МНОЙ И ВОЕННЫМ СОВЕТОМ ФРОНТОМ ПРИНИМАЮТСЯ ВСЕ МЕРЫ


ფაშისტების მიერ დანგრეული კიევის ცენტრი კრეშჩატიკი

---

# აფხაზები პუტინს ბიჭვინთაში სტალინის აგარაკს არ აძლევენ!

**★ აჯანყების ზღვარზე**

***გასულ კვირას აფხაზეთში ვითარება უკიდურესად დაიძაბა: გულრიფშში მოსახლეობასთან შეხვედრაზე ეგრეთ წოდებულ პრეზიდენტ ასლან ბჟანიას ხალხი მას შემდეგ დაუპირისპირდა, რაც მან განაცხადა, რომ, კრემლის თხოვნით, ბიჭვინთის ფიჭვნარის 184 ჰექტარის რუსეთისთვის გადაცემას აპირებს. ეს სწორედ ის ტერიტორიაა, სადაც სტალინის ცნობილი სამთავრობო აგარაკია განთავსებული, ზედ ულამაზეს სანაპიროზე!***

სეპარატისტების ლიდერი **ასლან ბჟანია** ამ მოთხოვნას უკავშირებს პირადად რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის სურვილს, ხშირად დაისვენოს აფხაზეთში! მან გულრიფშის კულტურის სახლში შეკრებილ 500-მდე აფხაზს პირდაპირ ამცნო: რუსეთი კი გაძლებს ბიჭვინთის აგარაკის გარეშე, მაგრამ ჩვენ, აფხაზები, რუსეთის გარეშე ვერ გავძლებთო! **მაგრამ ხალხზე არც პუტინის სურვილმა იმოქმედა და არც ურუსეთოდ დარჩენის შიშმა და ბჟანიას სულ „აფხაზეთის გამყიდველი“ და „ერის მოღალატე“ უძახეს!** დარბაზში ვითარება ისე დაიძაბა, რომ ბჟანიას პირად დაცვასა და აღშფოთებულ ხალხს შორის ხელჩართული ჩხუბიც გაიმართა! დაპირისპირება გაგრძელდა ქუჩაშიც, სადაც ბჟანიას გარემოცვასა და პროტესტანტებს შორის შეხლა-შემოხლისას პოლიციელებმა რამდენიმე პირიც დააკავეს!

**ბიჭვინთის ტერიტორიის 184 ჰექტარის რუსეთისთვის გადაცემას ყველაზე მეტად თავად ბიჭვინთელები აპროტესტებენ.** ისინი უკმაყოფილონი არიან, რომ სამთავრობო აგარაკებზე 1992-1993 წლების აფხაზეთის ომის შემდეგ ჩამდგარი რუსეთის ფედერალური დაცვის სამსახური მათ აიძულებს, მიმდებარე ტერიტორიაზე მხოლოდ სპეცსაშვებით, პასპორტებით და წინასწარი შეთანხმებით გადაადგილდნენ. პრობლემები ექმნებათ სასწრაფო დახმარების და სახანძრო სამსახურის მანქანებსაც, რომლებსაც რუსები ასევე არ ატარებენ.

**აღსანიშნავია ისიც, რომ ბიჭვინთის ულამაზეს კონცხს რუსებმა უკვე მოაკლეს 45 ჰექტარი. ეს ტერიტორია, რომელიც ინკითისა და გველების ტბების სიახლოვეს მდებარეობს, მოსკოვის ზეწოლით, რუსეთის კრასნოდარის მხარის ექსგუბერნატორ ალექსანდრე ტკაჩოვს ანკლავში სასტუმრო კომპლექს „მოსკოვი რიზორტის“ ასაშენებლად 2021 წლის ბოლოს გადაეცა. თუმცა, უკრაინაში რუსეთის არმიის შეჭრისა და საერთაშორისო სანქციების შემდეგ პროექტი გაურკვეველი ვადით შეჩერდა!**

ბიჭვინთის 184 ჰექტარი ტერიტორია, რომელზეც რუსეთი აცხადებს პრეტენზიას, მრავალმხრივ უნიკალურია! აქ, ენდემური ბიჭვინთის ფიჭვნარში, პირველი აგარაკი ჯერ კიდევ სტალინმა ააშენებინა, სადაც სამი ყოფილი საბჭოთა სახელმწიფო აგარაკი — № 8, 9 და 10 მდებარეობს, ასევე დამხმარე ნაგებობები, მათ შორის, აუზები, რესტორნები, მიწისქვეშა კომპლექსიც, რომელთაც ლიფტი აკავშირებთ და ერთ-ერთ აგარაკზე ზღვიდან შეყვანილია გვირაბი, საიდანაც წყალქვეშა ნავი შედის!

**ბიჭვინთის კონცხზე ტერიტორიის ათვისება და მასშტაბური სახელმწიფო აგარაკების აშენება ნიკიტა ხრუშჩოვის სახელს უკავშირდება.** მშენებლობის დაწყების გადაწყვეტილება ხრუშჩოვმა 1959 წლის იანვარში მიიღო. სახელმწიფო აგარაკების მშენებლობა 1962 წელს უნდა დასრულებულიყო, თუმცა, რამდენიმე წელი გაიწელა. **ბიჭვინთა ხრუშჩოვის საყვარელ ადგილად იქცა, სადაც ის ქართველ და აფხაზ კომუნისტებსაც მასპინძლობდა. 1964 წელს, როცა ბრეჟნევმა ხრუშჩოვი ხელისუფლებას ხავერდოვნად ჩამოაშორა, ეს უკანასკნელი სწორედ ბიჭვინთაში ისვენებდა.** ყველაზე მაღალი რანგის სტუმარს ბიჭვინთის სახელმწიფო აგარაკმა 1974 წელს უმასპინძლა, მაშინდელმა საბჭოთა ლიდერმა **ლეონიდ ბრეჟნევმა** აქ მიიღო საფრანგეთის პრეზიდენტი **ჟორჟ პომპიდუ!**

**მოკლედ, ამ კვირაში სოხუმში უნდა შეიკრიბოს პარლამენტი, რომელმაც უნდა განიხილოს ბიჭვინთის აგარაკების რუსეთისთვის გადაცემის საკითხი! ეს სხდომა პარლამენტის წინ ოპოზიციის მასშტაბური საპროტესტო აქციის ფონზე წარიმართება და, როგორც პროტესტანტები აცხადებენ, თუ დეპუტატები „სამშობლოს გაყიდვას“ დაუჭერენ მხარს, პარლამენტს შტურმით აიღებენ.**

ისე, ასლან **ბჟანიაც** ხელისუფლებაში წინა პრეზიდენტის — **ანქვაბის** საპრეზიდენტო რეზიდენციის შტურმის შედეგად მოვიდა! **ასე რომ, ახალი შტურმი და ხელისუფლების დამხობა სულაც არ არის შეუძლებელი! ამ ყველაფრის მორალი კი ეს არის: აფხაზები, იმედია, უკვე კარგად ხვდებიან, რომ მათი, როგორც ეთნოსის გადარჩენა რუსეთთან გამორიცხულია — ეს მხოლოდ ერთიან საქართველოში დაბრუნებით არის შესაძლებელი!**

*გიორგი გიგაური*


საქართველო. აფხაზეთი. ბიჭვინთა.


პუტინი ბიჭვინთის აგარაკზე. 2017 წელი


გენერალისიმუსი
2022 წლის 25 ივლისი. № 12 (136)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com
ფეისბუქი: www.facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.



## ჯემალ დავლიანიძე

# მიგვიშვით მეფეთმეფე დავითთან!



### ფიქრები მოახლოებული დიდგორობის წინ

სააკაშვილმა აღასრულა რა ბნელეთის დაკვეთა — ქალაქიდან მოშორებით გადაეტანა **დავით აღმაშენებლის ძეგლი —** გზა გაუხსნა **ათასი ჯურის ლევან ბერძენიშვილებს,** რომ დღეს თუ არა ხვალ თვით **დავით მეფეს** წაუყენონ ბრალდება:

**1.** ყივჩაღების საქართველოში ჩამოსახლებისა და განსახლების გამო;

**2.** რუის-ურბნისის საეკლესიო კრების გამო;

**3.** დიდგორში თურქ-სელჯუკთა ამოწყვეტის გამო;

**4. ყველა მეფეს, ვინც კი მაჰმადიანობა მიიღო ერის გადასარჩენად** — რჯულის შეცვლის გამო;

**5. ვახტანგ მეექვსეს** რუსეთში ჩასვლის გამო;

**6. ვახტანგ გორგასალს** — ოსების ბელადის მდინარეში მოკვლის გამო;

**7. გიორგი ბრწყინვალეს** — ქართლიდან ოსების გარეკვის გამო;

**8. გიორგი სააკაძეს** ტაშისკარში მტრის გაჟუჟვის გამო;

**9. ყველა თერგდალეულს** — რუსეთში სწავლის გამო;

**10. პეტრე პირველსა** და **პეტრე ბაგრატიონს** — რუსეთში მოღვაწეობის გამო;

**11. მეორე მსოფლიო ომში მებრძოლ რამდენიმე ათეულ ქართველ გენერალს** — საბჭოთა კავშირის ჯარში სამსახურის გამო;

**12. ყველა ქართველ ჯარისკაცს, ვინც კი პირველ და მეორე მსოფლიო ომებში მიიღო მონაწილეობა და, რა თქმა უნდა, უპირველესად, გიორგი მაზნიაშვილს** — მანჯურიაში რუსეთის მხარეზე სამსახურის გამო.

საქართველოში ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ვულკანივით ამოიფრქვა პოლიტიკური ცოფი, რასაც დროთა განმავლობაში ზედ დაერთო ფარული შიზოფრენიის აშკარა ნიშნები.

**თვალნათელია — ყოველივე ჭეშმარიტი ქართულის, ეროვნულის წამლეკავ ლავას მთელ მსოფლიოში გამოუჩნდნენ ხელშემწყობნიც და ქვეყანა მუდმივი, მართვადი არეულობის პოლიგონად გადააქციეს.**

ყოველივე წმინდა ქართულის დათრგუნვა დაიწყო **შევარდნაძემ** და წარმატებით გააგრძელა **სააკაშვილმა**. შეეცადნენ, შეჭრილიყვნენ ქართულ ოჯახში, განეკარგათ მამული, შეებღალათ ენა და თავს დასხმოდნენ სარწმუნოებას.

ღირსება-ზნეობისგან თითქმის მთლად დაცლილმა სააკაშვილმა და მისმა ნაციონალურმა მოძრაობამ **თავისუფლებისათვის გამართულ სისხლისმღვრელ ომებში ჭაბუკობიდან თავშეწირულს, დიდგორის გრანდიოზული, საბედისწერო ბრძოლის, „ძლევაი საკვირველის“ გმირს, წმინდა გიორგის მხედარს, მტერთაგან იავარქმნილი ქვეყნის ფეხზე წამომყენებელს და საუკუნეების მანძილზე სახელმწიფოებრიობის ჩამდუღაბებელს,** ადგილი მიუჩინეს იქ, **სადაც ადამიანის ახლოს მისვლაც კი წარმოუდგენელია.**

ამ მართლაც შლეგური ჩანაფიქრის გასამართლებლად გაავრცელეს ბრიყვული ჭორი, თითქოსდა ამით თბილისში შემომსვლელთა და თბილისიდან გამსვლელთა გულის გახარება სურდათ.

როგორც მრავალი უბედურება დაიჯერა გულუბრყვილოდ ზოგიერთმა, ნაცმოძრაობის ეს მზაკვრული ნაბიჯიც დიდ მიღწევად ჩათვალა, მაგრამ არავინ დაფიქრებულა — **მეფეებს, მითუმეტეს, დავით აღმაშენებელს, მგზავრების, მოგზაურების, სირაჯების, სოვდაგრების დასახვედრად სათანადო მომსახურე პერსონალი ჰყავდათ.**

ნაცმოძრაობას არ დასცალდა, თორემ თბილისის დედაქალაქად გამომცხადებელი მეფის — **ვახტანგ გორგასლის** ძეგლს სოღანლუღში ან ფონიჭალაში მიავლენდა და მიტინგზე დაიღრიალებდა: **საქართველოს ორ სასიქადულო მეფეს თბილისის კარიბჭენი ჩავაბარეთო!**

აღმაშფოთებელია, რომ სააკაშვილმა თითქმის ოთხასწლიანი მონობიდან დედაქალაქის გამომხსნელი მეფე თბილისის გულს მოსწყვიტა. ამ დროს საქართველოში არსებობს პარტია **„სტრატეგია აღმაშენებელი“,** რომელიც დღემდე კრინტს არ ძრავს და არ ანაღვლებს, სად იქნება დავით აღმაშენებლის ძეგლი.

### როგორც ჩანს, სულ მალე ამგვარი ვნებებით შეპყრობილები დავით აღმაშენებელს დიდგორში მტრის მუსვრას არაადამიანურ მოპყრობად ჩაუთვლიან და ბრალს დასდებენ

### ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის დარღვევაში.

ამ დღეებში კიდევ ერთხელ მოვინახულე დიღმის მასივში მდგარი **„დავით აღმაშენებელი“,** მაგრამ ახლოს, დიდი სურვილის მიუხედავად, ვერც კი მივეკარე. ვისაც არ ახსოვს, შევახსენებთ: ქანდაკების ორივე მხარეს ავტომაგისტრალია, ავტომობილების ინტენსიური მოძრაობა, და თუ სცადე ამ რიგის გარღვევა, მძღოლები აუცილებლად იფიქრებენ — ვიღაც იდიოტი ანდა თავზეხელაღებულიაო.

**ასევე შეუძლებელია, იქ მივიდეს ტურისტი ანდა ადამიანი, ვისაც მოესურვება, საქართველოსთან ყოველმხრივ ვალმოხდილ დიდ მეფეს, ერთი-ორი მინდვრის ყვავილით მიაგოს პატივი.** ვერც ახლადდაქორწინებულები მივლენ ახლოს და ვერც რომელიმე საპატიო სტუმარი უცხო ქვეყნიდან.

ჰოდა, სწორედ ამიტომ გამოასახლა სააკაშვილმა მეფეთმეფე თბილისის ერთ-ერთი თვალწარმტაცი ადგილიდან, რომ მიუკარებელი იყოს. და, რაოდენი ცინიზმია, როცა მაგონდება გელათში, დავითის საფლავთან, ყალბად მოფიცარი სახელმწიფო მეთაური, რომელმაც გორთან, მიწაზე ლაჩრულად გაწოლილმა, ლაფი მიირთვა. **მჯერა, რომ ვახმოვანებ ყველა ჭეშმარიტი ქართველის სურვილს —**

### დავით აღმაშენებლის ბრწყინვალე ძეგლი დაუბრუნდეს დედა-თბილისის გულს და მისი ასლი დაიდგას დიდგორში, სადაც ხერხემალში გადაიმსხვრა თურქ-სელჯუკთა უზარმაზარი კოალიცია.

მივმართავ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას: **თუ გადაწყვეტთ და დიდ დავითს დააბრუნებთ ძველ ადგილზე, თუ გააკეთებთ ასლს და დადგამთ დიდგორში, ეს გადაწყვეტილება აუცილებლად გადაიქცევა საერთო-სახალხო ქართულ დღესასწაულად, რაც შინაური თუ გარეული მტრებისადმი გულში ჩაცემული ქართული მახვილი იქნება!**

# ვინ არის დღეს საქართველოში ოლიგარქი?



**ელიზბარ ჯაველიძე,** ***აკადემიკოსი:*** — დიდი ხნის წინათ ვფიქრობდი ამ საკითხზე, წიგნიც გამოვეცი, სადაც, პლატონის ფილოსოფიის მიხედვით, ორი ოლიგარქი დავასახელე — **შევარდნაძე და სააკაშვილი.** ორივემ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ იშოვა ფული და ქვეყნის ნგრევას მოახმარა. დღეს ოლიგარქს სხვა განმარტებას აძლევენ, სულ სხვა ადამიანისკენ იშვერენ ხელს. რეალურად ოლიგარქები არიან **მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე,** რომლებმაც ხალხის ფული ჯიბეში ჩაიდეს და დღეს პოლიტიკაში არიან! ოლიგარქია **ჭუტა წერეთელი,** რომელიც არაკანონიერი გზით ნაშოვნი ფულით ტელეკომპანიას მართავს. ტიპური ოლიგარქია **დავით კეზერაშვილი.** კარგად მახსოვს, ეს ნაძირალა ბიჭი როგორ შემოიჭრა პარლამენტში და ცეკვავდა მაგიდაზე. მერე ხელისუფლებაში ყოფნისას იმდენი მოიპარა, რომ ახლა მილიარდერია.

მიხეილ სააკაშვილს დღეს უფრო მეტი ფული აქვს, ვიდრე ივანიშვილს და ერთი სიკეთეც არ გაუკეთებიათ ქვეყნისთვის, არც დედამისს და არც მას... ყველაფერს ნუ მალაპარაკებთ!



**სოსო შატბერაშვილი,** ***„მემარცხენე ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერი:*** — დავასახელებ ოლიგარქებს, თუმცა, ვშიშობ, არ იქნება სრული სია. შესაძლებელია, ვინმე გამომრჩეს. ოლიგარქები არიან — **თემურ ჭყონია, დავით კეზერაშვილი, ბადრი ჯაფარიძე, მამუკა ხაზარაძე, კობა ნაყოფია, ჭუტა წერეთელი, მიხეილ სააკაშვილი, გიული ალასანია,** არ მინდა გამომრჩეს **გიგი უგულავაც,** რომელმაც 50 მილიონის მოპარვა აღიარა.

გიული ალასანიამ ამაყად განაცხადა, ჩემი შვილის პრეზიდენტობით არ მისარგებლია, პირიქით, ძალიან შეზღუდული და დაჩაგრული ვიყავიო. **აი, ამ დაჩაგრულმა ქალბატონმა იმ დროს ტექნიკური უნივერსიტეტის კორპუსები სიმბოლურ ფასად მიითვისა და იქ საკუთარი უნივერსიტეტი გახსნა, რომელიც 80 მილიონ დოლარად არის შეფასებული.**

სააკაშვილი ნომერ პირველი ოლიგარქია, ვიცნობდი მის ოჯახს, სხვებისგან არაფრით იყო ფინანსურად გამორჩეული. უზარმაზარი ფული მან ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ იშოვა.



**გია ხუხაშვილი,** ***პოლიტოლოგი:*** — ოლიგარქი არის ადამიანი, რომელიც საკუთარ კეთილდღეობას ხელისუფლების კონტროლით ან მასზე ზეგავლენით მოიპოვებს და ამ მოპოვებული კეთილდღეობის გარკვეული ნაწილის ინვესტირებას, გავლენის გასაძლიერებლად, პოლიტიკაში ახდენს.

რაც შეეხება **ბიძინა ივანიშვილის** ოლიგარქობაზე აპელირებას, როდესაც კანონი დაიწერება, გამოჩნდება — ბიძინა ივანიშვილი არის თუ არა ოლიგარქი. ერთი რამ ნათელია, ხელისუფლებაზე გავლენის შედეგად ის შემოსავალს არ მოიპოვებს, პირიქით, **ივანიშვილი ზუსტად იმით არის ცნობილი, რომ უფრო მეტს ხარჯავს ამ ქვეყანაში, ვიდრე შოულობს. მაგრამ ბიძინა ივანიშვილს შეიძლება, მიუდგეს სხვა კრიტერიუმი, რასაც ჰქვია გავლენა ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე, მოსამართლეების, მინისტრების დანიშვნაზე და ა.შ.**



**გურამ სალარაძე,** ***ვეტერანი მოქიდავე:*** — გაოცებული ვარ, **ბიძინა ივანიშვილს** ოლიგარქს რომ უწოდებენ. **კაცი აშენებს, აკეთებს, უამრავ ფულს ხარჯავს ქველმოქმედებაში და, რანაირი ოლიგარქია?! პირიქით, ამ ქვეყნის პატრონი და ერთ-ერთი ყველაზე დიდი გულშემატკივარია.** ბიძინა ივანიშვილი რომ არა, არც კი ვიცი, დღეს სად ვიქნებოდით — საშინელი განსაცდელი და სიბოროტე აარიდა ქვეყანას.

**ოლიგარქებიც არიან და ბანდიტებიც ის ნაციონალები, რომლებიც ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გამდიდრდნენ.** ბიძინა ივანიშვილს რომ ამოიღებ მიზანში და გვერდით **კობა ნაყოფია** გეყოლება, ეს უკვე ცინიზმიც აღარ არის. **ხაზარაძეც** კაი ნაძირალაა — რა დღეში ჩაყარა მეანაბრეები და სხვის ოლიგარქობაზე საუბრობს. და მაინც, ყველაზე დიდი და ნაღდი ოლიგარქი **ედუარდ შევარდნაძეა,** რომელმაც სამშობლო გაყიდა, გახდა მილიონერი, მასონი და მთელი საქართველო გააუბედურა. მისი დამსახურებაა ეს ყველაფერი, რაც დღეს გვჭირს.



**პეტრე მამრაძე,** ***პოლიტოლოგი:*** — ჩვენთან ოლიგარქია კი არა, **პლუტოკრატიაა.** ძალიან მდიდრები, მილიონერები, მულტიმილიონერები და შეიძლება ფარული მილიარდერებიც არიან. შემთხვევითი არ არის, პარლამენტში ამდენი მილიონერი რომ ზის. **ოქრიაშვილებს, ნაყოფიებს, ჩოჩელებს, ხაზარაძე-ჯაფარიძეებს** და სხვებს **სჭირდებათ პოლიტიკური იმიჯის შექმნა და ამით თავიანთი ბიზნესის დაცვა.** პოლიტიკა საუკეთესო თავშესაფარია იმისთვის, რომ თავიანთი ქონებაც გაზარდონ, ბიზნესიც გააფართოონ და ა.შ.

პირდაპირ ვამბობ — **ბიძინა ივანიშვილი ანტიოლიგარქია. მისი ოლიგარქად მოხსენიება, იგივეა, ქათქათა თეთრზე რომ თქვა, შავიაო, მეტიც, ის ყველაზე დიდი ქველმოქმედი გახლავთ, ვინც კი საქართველოს ისტორიაში ოდესმე გვყოლია.** სხვათაშორის, სააკაშვილის მმართველობის დასაწყისში, თუკი რაიმე წარმატებული რეფორმა ჩატარდა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მაღალ დონეზე შეფასდა, ესეც მისი დამსახურებაა. **აი, ასეთ ადამიანს დღეს ოლიგარქობას ის პლუტოკრატები, კოლექტიური ოქრიაშვილები, ჩოჩელები, წერეთლები და ხაზარაძეები აბრალებენ, რომლებიც ქართველი ხალხის ძარცვის შედეგად გამდიდრდნენ, მონოპოლიები შექმნეს და დღემდე აგრძელებენ ხალხის დაყაჩაღებას.**

*ესაუბრა*

***ნატო ფოცხიშვილი***

*საინფორმაციო სააგენტო „იქს-ნიუსის“ დამფუძნებელი, ანალიტიკოსი* ***მირიან ყარაულაშვილი*** *ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს ეხმიანება და აცხადებს, რომ მთელი იმ ორომტრიალის უკან, რომელიც საქართველოში პოლიტიკური სივრცის არევას ემსახურება, არა დასავლეთი, არამედ რუსეთი დგას. ჩვენი რესპონდენტის ბევრი მოსაზრება შესაძლოა, საკამათოა, მაგრამ ამავდროულად — საინტერესო, რაშიც წინამდებარე საგაზეთო ინტერვიუს გაცნობის შემდეგ დარწმუნდებით:*





**„დეოლიგარქიზაციის“, ანუ ბიძინა ივანიშვილის გაღატაკების მცდელობის უკან, რაც სააკაშვილის სანუკვარი ოცნებაა, დგას არა დასავლეთი, არამედ მხოლოდ და მხოლოდ რუსეთი და მისი აგენტურა!“**

## *მირიან ყარაულაშვილი:*

# 2024 წლის არჩევნებში ხელისუფლება სწორედ ირაკლი ღარიბაშვილის მეთაურობით გაიმარჯვებს!

— იმ ქვეყნებში, რომლებსაც საქართველოს მსგავსი გეოპოლიტიკური სიტუაცია აქვთ, გადატრიალების საფრთხე სულ არსებობს და კვლავაც იარსებებს.

**უკანასკნელი სამასი წლის განმავლობაში კავკასიაში, პოსტსაბჭოთა სივრცესა და ე.წ. ვარშავის ხელშეკრულების წევრ ქვეყნებში პოლიტიკური წესრიგის შეცვლას ახორციელებს მხოლოდ და მხოლოდ რუსეთი.**

ახლაც საქართველოში არსებული პოლიტიკური წესრიგის შეცვლა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ინტერესებში შედის!

**— ბატონო მირიან, ე.ი. ზვიად გამსახურდია და ედუარდ შევარდნაძე მხოლოდ რუსეთმა დაამხო?**

— დიახ, რა თქმა უნდა! **პირველ რიგში, ზვიადი დაამხო საკუთარმა გარემოცვამ,** თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ მათგან ვიღაცები დამოუკიდებლად დაკავშირებული იყვნენ რუსეთთანაც!

**— აკი, ზვიადი ამბობდა, საქართველოში გადატრიალება ოკეანის გაღმიდან დაიგეგმა ბეიკერისა და ბუშის ლოცვა-კურთხევითო?!**

— არა, გამსახურდიას ეს არასოდეს უთქვამს!

**— ეს ზვიადის სიტყვებია!**

— ეტყობა, შეცდა, ან სჭირდებოდა ამის თქმა! ასე რომ გაყვე, ზვიადის ცოლ-შვილი ათითორმეტი წლის განმავლობაში რუსეთში ცხოვრობდა.

**იარაღი და ინსტრუქტორები, რომელთა საშუალებითაც გადატრიალება მოხდა და ზვიადი დაამხეს, იყო მხოლოდ და მხოლოდ რუსული!**

**— გეთანხმებით, მაგრამ პოლიტიკური შეფუთვა ამ ყველაფერს ვინ გაუკეთა?**

— ესეც რუსეთმა გააკეთა! თქვენ თუ შევარდნაძის ჩამოსვლას გულისხმობთ, გეტყვით, რომ ეს იყო სულ სხვა პროცესი. **ჯაბას, სიგუას და კიტოვანს გაუჭირდათ პროცესების მართვა და ამ ძიებაში მივიდნენ შევარდნაძემდე.**

**— ანუ შევარდნაძე რუსეთმა დასვა?**

— არა, შევარდნაძე ე.წ. სამხედრო საბჭომ მოიწვია.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ შევარდნაძის საქართველოში ჩამოსვლა დასავლეთთან შეთანხმებული არ ყოფილა?**

— თავიდან არ ყოფილა, მაგრამ, როცა **ჯაბა იოსელიანი და დანარჩენები** მასთან სათხოვნელად მივიდნენ, შევარდნაძემ დასავლეთთან გამართა შესაბამისი კონსულტაციები. ეს ყველაფერი ძალიან კარგად აქვს აღწერილი ჯაბა იოსელიანს წიგნში **„ლიმონათის ქვეყანა“.**

**— 2003 წელს შევარდნაძე რუსეთმა დაამხო?**

— აბსოლუტურად ასეა!

**— გამოდის, რომ სააკაშვილი რუსული პროექტია?**

— სააკაშვილი თავიდან ბოლომდე რუსული პროექტია და თუ ვინმე ამას დღემდე ვერ ხვდება, მაპატიეთ, მაგრამ ძალიან მეცოდება!

**— როგორ, რანაირად, როცა დასავლეთი სააკაშვილს „დემოკრატიის შუქურას“ უწოდებდა?**

— ეგ პროცესები დაიწყო მას შემდეგ, რაც შევარდნაძე ხელისუფლებაში აღარ იყო... მიმაჩნია, რომ შევარდნაძეს უღალატეს მეგობრებმა და ზოგიერთმა მასთან დაახლოებულმა პერსონამ, შევარდნაძემ კი შესაბამისად „უღალატა“ როგორც თანამშრომლებს, ასევე თანამოაზრეებს და დაკარგა ხელისუფლება, რომელიც დამოუკიდებლობის აღიარებიდან 2003 წლამდე იყო აბსოლუტურად **პროდასავლური ორიენტაციის დემოკრატია!**

**— თუ სააკაშვილი რუსული პროექტია, მაშ, რატომ ჩამოვიდა კოლინ პაუელი მის კორონაციაზე, ხოლო მოგვიანებით — ბუში, რომელმაც ჭრელი აბანოს წინ „ბუშური“ იცეკვა? თვალს გვიხვევდნენ და რუსეთის მიერ დასმული კაცის წინაშე ცეკვავდნენ?**

— ბუშმა **„ბუშური“ იცეკვა უგანდაშიც, სენეგალშიც და ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაშიც...** დასავლეთი საქართველოში ყოველთვის ატარებდა და დღესაც ატარებს თავის პოლიტიკას, მიუხედავად იმისა, თუ ვინაა ხელისუფლებაში!

**— თუ სააკაშვილი რუსეთის პროექტია, ცხრა წელი კრემლის აგენტი დაგვასვეს თავზე და დასავლეთმა ხმა არ ამოიღო?**

— როგორც ოპონენტს, გეტყვით, რომ თქვენ, ეტყობა, არ იცნობთ დასავლეთის პოლიტიკას! **დასავლეთის ხელწერა არ არის მისთვის არასასურველი პრეზიდენტების ან მმართველების ძალისმიერი დამხობა! დასავლეთი ამას არც იტყოდა და ვერც იტყოდა!**

**— ისტორიკოსი და საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი ვარ და დასავლეთის პოლიტიკური ისტორია რომ არ ვიცოდე, ჩემი სირცხვილი იქნება! როცა დასავლეთს ხელისუფლების შეცვლა სურდა, ყველგან სისხლის ტბები დააყენა. არც საქართველოში მომხდარა გადატრიალება დასავლეთის გარეშე!**

**— ეგ თქვენი აზრია, მე კი ვრჩები ჩემს აზრზე და კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ხელწერაა საქართველოში ხელისუფლების ძალისმიერი ცვლილება!**

**— თუ სააკაშვილი რუსეთის აგენტია, რატომ ერთხელ მაინც არ გაკეთდა განცხადება ვაშინგტონიდან, რომ ეს კაცი არის პუტინის პროექტი და ეწინააღმდეგება დასავლეთის ინტერესებს?**

— კიდევ გიმეორებთ: **ამ განცხადებას დასავლეთი არ და ვერ გააკეთებდა, რადგან სააკაშვილი არის ძალიან კარგი მოთამაშე, „პოლიტიკური ცხოველი“, რომელიც ყნოსვით გრძნობს პოლიტიკურ სიტუაციას და ცვლის საკუთარ პოლიტიკურ გეგმებს შექმნილი სიტუაციის შესაბამისად!** როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ის, რომ რუსეთ-საქართველოს ომი უნდა დაეწყოთ და რუსეთისთვის დღევანდელი ოკუპირებული ტერიტორიების ლეგალიზაცია მოეხდინათ, სააკაშვილს ხელისუფლებაში მოსვლამდე პირადად შეთანხმებული ჰქონდა **რუსეთის სპეცსამსახურებთან,** რის სანაცვლოდაც მოიყვანეს საქართველოს ხელისუფლების მეთაურად.

**— თუ ქართველი ერი ისეთი დაბნეული იყო, რომ კრემლის აგენტი პროდასავლეთელ ლიდერში აერია, ამერიკასა და ევროპას არ შეეძლოთ, ერ-**

## „გამოვრიცხავ, რომ უკრაინას ოდესმე იმ ფორმით ვიხილავთ, როგორიც გვახსოვს!“

## კვირგვინოსნები

**ანდრანიკ მიგრანიანი**
*პოლიტოლოგი, „მგიმო“-ს პროფესორი*



Не ведут все дороги в Вашингтон! Мы становимся свидетелями постамериканского мира!

რუსეთის „I არხი“

**ანდრეი კასიანოვი**
*საქართველოში უკრაინის საქმეთა დროებითი რწმუნებული*



დღეს, როცა რუსეთი უკრაინის მშვიდობიან მიწაზე ომს აწარმოებს, **გვქონდა მოლოდინები, რომ საქართველო უკრაინას უფრო ეფექტურ დახმარებას გაუწევდა,** სამწუხაროდ, ეს არ ხდება.

„იმედინიუსი“

**დიმიტრი მედვედევი**
*რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე*



**„ქალაქის გიჟები“,** რომლებიც საკუთარ თავს ევროკავშირის ხელმძღვანელობას უწოდებდნენ, აიძულებენ უბედურ უკრაინელებს, სიცოცხლე შესწირონ — **უკრაინამ შეიძლება დაკარგოს სუვერენიტეტის ნარჩენები და გაქრეს მსოფლიო რუკიდან.**

„ინტერპრესნიუსი“

**დიანა ღურწკაია**
*რუსეთის სახალხო არტისტი*



მინდა, მადლობა გადავუხადო **რუსეთს,** სადაც **გერმანელი** ქალი შეიძლება გახდეს დიდი რუსი იმპერატრიცა, **ებრაელი** შეიძლება გახდეს დიდი რუსი მეცნიერი, **სომეხი** შეიძლება გახდეს საყვარელი კომპოზიტორი, **აზერბაიჯანელი** შეიძლება იყოს ეპოქის ხმა და უსინათლო **ქართველ** გოგონას შეუძლია რუსეთის სახალხო არტისტი გახდეს.

„ალია“

**გიორგი გახარია**
*პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერი*



ქვეყნის **ფორმალური და არაფორმალური მმართველები** ოკუპანტს ტკბილად ესაუბრებიან და პარტნიორებს თავს ესხმიან.

„რეზონანსი“

# „სააკაშვილი თავიდან ბოლომდე რუსული პროექტია და თუ ვინმე ამას დღემდე ვერ ხვდება, მაპატიეთ, მაგრამ ძალიან მეცოდება!“



**თი სიტყვა მაინც ეთქვათ და სააკაშვილი პოლიტიკურად გაეშიშვლებინათ?**

— პოლიტიკა არ არის შეყვარებულების ურთიერთობა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ დასავლეთი ამას ვერ და არ იტყოდა! რაც შეეხება ერს, ერი ახლაც დაბნეულია. **ვინმე მაქარაშვილის დაძახილზე ხუთასი კი არა, ხუთი კაციც რომ ქუჩაში გავა, ის ერი დაბნეულია, აბა, რა არის?!** გიგა მაქარაშვილი წარმოშობით თელაველია და როგორც თელავში ამბობენ, მისი ნამდვილი გვარი არუთინოვია! დასავლეთის პოლიტიკა არ არის ისე მოწყობილი, რომ ჩემნაირად, კახურად, პირდაპირ თქვან სათქმელი!

**— ანუ დასავლეთი გვეთამაშება?**

— არ გვეთამაშებიან, პოლიტიკას აკეთებენ!

**— რომელსაც ქართველი ერის ინტერესები ეწირება!**

— არამარტო ქართველი ერის, ხშირად მათი საკუთარი ინტერესებიც ეწირება! დასავლეთი სულ ასე მოქმედებს და ვიდრე ეს ცივილიზაცია იარსებებს, სულ ასე იქნება!

**— მაშინ რა გამოდის, იმ 308 ევროდეპუტატმა, რომელმაც საქართველოს შესახებ უბინძურესი რეზოლუცია მიიღო, სინამდვილეში პუტინის საქმე გააკეთა?**

**– დარწმუნებული ვარ, იმ 308 დეპუტატიდან ნაწილი არის რუსეთის მიერ დაფინანსებული აგენტი, ნაწილი – მათი გავლენის აგენტი, ნაწილი – უწიგნური და უცოდინარი, რომელმაც საქართველო სად არის, არც იცის და არც აინტერესებს, ნაწილი – სააკაშვილისა და მისი ლობისტების მიერ მოსყიდული!**

ერთადერთი, რაც ასე თუ ისე ხარისხიანად გამოსდის რუსეთს, ეს სპეცსამსახურების მოქმედებაა ბოლო სამი საუკუნის მანძილზე. **ეკატერინე მეორემ**, რომელიც წარმოშობით და მენტალიტეტით გერმანელი იყო, შექმნა რუსეთის სახელმწიფო უშიშროებისა და უსაფრთხოების სისტემა, რომელიც არ იცვლება საზოგადოებრივი ფორმაციების ცვლილების დროსაც კი და თქვენ წარმოიდგინეთ, მაშინდელი სპეცსამსახურების სისტემა რუსეთს დღემდე მართავს, ანუ **რუსეთის უშიშროება, ფაქტობრივად, შექმნეს ანგლოსაქსებმა და შემდგომ განვითარება პოვა უკვე სხვა იმპერატორებისა და სხვა საზოგადოებრივი ფორმაციის პირობებში.**

დააკვირდით იმასაც, რომ ევროკავშირის ქვეყნებიდან, ვისაც საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩართვა სურს, უმეტესობა **ვარშავის ხელშეკრულების ყოფილი წევრი ქვეყნების** წარმომადგენლები არიან, სადაც რუსეთის სპეცსამსახურების გავლენა დღემდე ძალიან ძლიერია.

**დღეს რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს ომში ჩაბმა მხოლოდ რუსეთისა და უკრაინის ხელისუფლებებს აწყობთ და სურთ! მაგრამ არა მგონია, რომ უკრაინის ხელისუფლება ამას რუსეთის გარეშე აკეთებდეს...**

## „საქართველოში გადატრიალების მოწყობა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ინტერესებში შედის!“

**— სოსო გოგაშვილი ვინ მოიყვანა ქვეყნის სპეცსამსახურის სათავეში?**

— არ დავმალავ, სოსო გოგაშვილს ვიცნობ და პირველად 2016 წელს შევხვდი, როცა ის სუს-ის უფროსის მოადგილე იყო. შეხვედრა მომიწყვეს და საუბარი ეხებოდა სისტემურ საკითხს. უკვე სპეცსამსახურიდან მისი წამოსვლის შემდეგ, როცა ის გადადგა და არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნას გეგმავდა, 2018 წლის სექტემბრიდან უფრო ინტენსიური შეხვედრები გვქონდა, მაგრამ, როცა გოგაშვილი **ნოდარ მელაძის** ეთერში დაჯდა, ჩვენი პირადი ურთიერთობაც იქ დასრულდა!



**— მაინც რას გეუბნებოდათ, როცა ერთმანეთს ხვდებოდით?**

— ამბობდა, რომ საჭირო იყო ისეთი უსაფრთხოების სისტემის შექმნა, რომელიც გააძლიერებდა ქვეყანას, რისთვისაც ის აპირებდა იმ გამოცდილების გამოყენებას, რომელიც სპეცსამსახურში ყოფნისას მიიღო და რომლის განხორციელებაც იქ ვერ შეძლო. **სხვათაშორის, ჩვენ თავის დროზე შევარდნაძესაც ვთავაზობდით ასეთი სისტემის შექმნას, მაგრამ მან სხვადასხვა მიზეზის გამო ასეთი სისტემა ვერ შექმნა!**

**— მე თუ მკითხავთ, შევარდნაძემ შექმნა უძლიერესი ფინანსურ-პოლიტიკური სისტემა, რომელიც ოცდაათი წელიწადია, მართავს საქართველოს!**

— ასეთი სისტემა რომ ყოფილიყო, ანუ შევარდნაძეს კლანი რომ შეექმნა, სააკაშვილი, ჟვანია და ბურჯანაძე ხელისუფლებაში ვერ მოვიდოდნენ! **შევარდნაძე აბსოლუტურად დემოკრატი მმართველი იყო...**

**— თუ დემოკრატი იყო, „ვარდების რევოლუციის“ დროს ბეიკერის სატელეფონო ზარს რატომ არ უპასუხა?**

— იქ გარემოცვამ იმუშავა ცუდად და მათ მიერ მიწოდებული ცრუ ინფორმაციის საფუძველზე შევარდნაძემ ჩათვალა, რომ ამერიკელებმა „გადააგდეს“. როგორც თვითმხილველები ამბობენ, შევარდნაძე სამჯერ არ მივიდა ყურმილთან და ბეიკერის ზარს არ უპასუხა!

**— შევარდნაძეს გარემოცვამ უღალატა?**

**— დიახ, უღალატა!**

**— ბიძინა ივანიშვილს რატომ უჩხიკინებენ?**

**— ისევ და ისევ ამ ყველაფრის უკან დგას რუსეთი!**

**— „სვის კაპიტალიც“ რუსეთია?**

— შვეიცარიული, ანუ გლობალური ბანკი **„სვის კაპიტალი“** ცდილობს, ეს და ნებისმიერი მსგავსი სიტუაცია სათავისოდ გამოიყენოს, ბიძინას ფული არ დაუბრუნოს და ჩაიჯიბოს! მხოლოდ ეს ამბავია, თორემ ამ **„დეოლიგარქიზაციის“**, ანუ ბიძინა ივანიშვილის გაღატაკების მცდელობის უკან, რაც სააკაშვილის სანუკვარი ოცნებაა, დგას არა დასავლეთი, არამედ მხოლოდ და მხოლოდ რუსეთი და მისი აგენტურა!

**— დაბრუნდება თუ არა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში და ემუქრება თუ არა მას რაიმე საფრთხე?**

**– ბიძინა პოლიტიკაში არ დაბრუნდება, რადგან ქვეყანას ჰყავს ისეთი მდგრადი მმართველი პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის სახით, რომელიც სახელმწიფოს ბრწყინვალედ უძღვება!**

**რაც შეეხება საფრთხეს, ბიძინას ვერაფერს დააკლებენ!** დღეს ირაკლი ღარიბაშვილი არის ჩამოყალიბებული პოლიტიკოსი, რომელიც უზრუნველყოფილია განათლებით, ცოდნით, პოლიტიკური გამოცდილებით და პოლიტიკური პარტნიორებით როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ. **ეჭვი არ მეპარება, რომ 2024 წლის არჩევნებში ხელისუფლება სწორედ ირაკლი ღარიბაშვილის მეთაურობით გაიმარჯვებს!**

**— უკრაინის ომი როგორ დასრულდება?**

— სამწუხაროდ, ძალიან ცუდად! გამოვრიცხავ, რომ უკრაინას ოდესმე იმ ფორმით ვიხილავთ, როგორიც გვახსოვს. ხომ ხედავთ, რუმინეთმა, პოლონეთმა და ყველა სხვა მათმა მსგავსმა ქვეყნებმა როგორ მოიხელთეს დრო და ყველა თავისას ცდილობს?! მიკვირს, თურქეთი რატომ არის გაჩერებული და არ ითხოვს ყირიმს?

**— საქართველოს რა პერსპექტივა აქვს?**

**— საქართველოს ბრწყინვალე პერსპექტივა აქვს და მის გაერთიანებას და შემდგომ განვითარებას მეც კი მოვესწრები!**

## „ეკატერინე მეორემ, რომელიც წარმოშობით და მენტალიტეტით გერმანელი იყო, შექმნა რუსეთის სახელმწიფო უშიშროებისა და უსაფრთხოების სისტემა, რომელიც არ იცვლება საზოგადოებრივი ფორმაციების ცვლილების დროსაც!“

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები



**თეა მარტყოფლიშვილი**
*სოსო გოგაშვილის მეუღლე*

იყო დრო, აღმერთებდნენ **სოსო გოგაშვილს**, ატალახებულო მქონდა სახლი. **უმადური ადამიანები ღმერთსაც არ უყვარს** და ყველა იმ ადგილს დაუბრუნდება, საიდანაც მოვიდნენ.

„ალია“



**მეუფე ანტონი**
*ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტი*

**სოსო გოგაშვილი** მინდა, მოვინახულო და ვკითხო: **რატომ სოსო, რატომ?** უცებ როგორ აუჯანყდა იმ სისტემას, რომელსაც ემსახურებოდა? ასე მგონია, ვიღაცამ „შეუჩხიკინა“.

„რუსთავი-2“



**გოგიტა დალაქიშვილი**
*უსაფრთხოების ექსპერტი*

**გოგაშვილი** თუ გამოუშვეს **ციხიდან,** პირობითი მიუსაჯეს ან რაღაც ამგვარი, მაშინ შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ **მართლა აქვს მასალები, მათით ივაჭრა და მიაღწია რაღაც სახის გარიგებას.** თუ გაუშვეს ციხეში, მაშინ გამოვა, **გოგაშვილი ბლეფობს და არაფერი ჰქონია ხელში.** ერთი წელი გავიდა არჩევნების შემდეგ და რატომ არ ამხილა „ქართული ოცნება“ არჩევნების გაყალბებაში? სად იყო აქამდე? გამოდის, რომ **დაჭერის საფრთხე როცა იგრძნო, მაშინ გადაიტანა ყველაფერი პოლიტიკურ ჭრილში,** რომ თუ დაიჭერდნენ, პოლიტდევნილად თუ პოლიტპატიმრად გამოჩენილიყო.

„ალია“



**დათო ლომთათიძე**
*ყოფილი პარლამენტარი*

**გოგაშვილმა** თქვა, მასალებს 10 დღეში გავასაჯაროებო. **საკმაოდ საინტერესო დღეები გველოდება.**

„ახალი თაობა“



**ნინო ჯანგირაშვილი**
*ტელეკომპანია „კავკასიის“ დირექტორი*

ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რომ **მედიის დიდ ნაწილს გოგაშვილი ამარაგებს რაღაცა ტიპის კომპრომატებით.** ეს „ოცნებამაც“ კარგად იცოდა, მედიამაც ძალიან კარგად ვიცით.

„ფეისბუქი“




# რატომ გააქრო შევარდნაძემ წერილი, რომელშიც ჟიული შარტავას წამება დეტალურად იყო აღწერილი?

## მაყვალა ბერიანიძე:

## ჟიული შარტავას გარდაცვალების წლისთავზე რუსთაველის თეატრში შევარდნაძეს ისეთი რამ ვუთხარი, ადგა და დარბაზი დატოვა!

***ცნობილი ჟურნალისტი მაყვალა ბერიანიძე ჟიული შარტავას სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს იხსენებს და აცხადებს, რომ საქართველოს ეროვნული გმირი დახვრეტის წინ სასტიკად აწამეს. ჩვენი კოლეგა იმ დეპეშასაც ასაჯაროებს, რომელიც ზვიად გამსახურდიამ ჟიული შარტავას ოჯახს გაუგზავნა და ირწმუნება, რომ საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ჟიულის გაფრთხილება ყურად არ იღო:***

— იმ ვიდეოჩანაწერში, სადაც ჟიული შარტავამ შევარდნაძეს ყურმილი მიაწოდა და უთხრა — **ლოთი ქობალიას ელაპარაკეთო!** — არის ასეთი კადრები: ჟიულის დიდხანს უჭირავს ყურმილი და ხელი აქვს გაშვერილი შევარდნაძისკენ, რომელსაც არ სურს ქობალიასთან ლაპარაკი. ჩამოვარდება სამარისებური სიჩუმე, ყველა დაძაბულია და ელოდება, რა მოხდება. **ბოლოს და ბოლოს, შევარდნაძე ჟიულის ყურმილს გამოართმევს და ყურმილში ამბობს ერთადერთ სიტყვას** — ალო! იმ მომენტში ლოთი ქობალია მას რას ეუბნება, ეს არავინ იცის ლოთი ქობალიას გარდა. ყოველ შემთხვევაში, შევარდნაძეს ამ თემაზე არასოდეს ულაპარაკია... **აი, ეს კადრები აკლია იმ ვიდეოს, რომელიც ყველგან არის გავრცელებული.**

**— ქალბატონო მაყვალა, მაინც რა იყო ის მთავარი, რის გამოც ჟიული შარტავა შევარდნაძემ გაწირა და მთავრობის სასახლეში სასკლაოზე გაგზავნა?**

— მივალთ მანდამდე, მაგრამ ჯერ მინდა, ერთი ძალიან მნიშვნელოვანი დეტალი გავიხსენო, რომელიც სწორედ ლოთი ქობალიას უკავშირდება. **ზვიადი რომ მოკლეს, ყველაფერი დამთავრდა და შევარდნაძემ ხელისუფლება შეინარჩუნა.** როგორც ცნობილია, ლოთი ქობალია კიევში დაიჭირეს, სადაც თავს აფარებდა. დაპატიმრებული ქობალია აეროპორტიდან პირდაპირ „ბეტეერში“ გადმოსვეს და უშიშროების სამინისტროსკენ წამოიყვანეს. **აი, სწორედ მაგ დროს შევარდნაძემ დაურეკა იგორ გიორგაძეს და ჰკითხა — ქობალია რით მოგყავთ?** გიორგაძემ შევარდნაძე გამოსცადა და ტყუილი უთხრა — თეთრი „გაზ-24“-ით მოგვყავსო! უშიშროების მინისტრმა ედუარდს მანქანის ნომერიც დაუსახელა... **ის თეთრი „გაზ-24“, რომელიც კორტეჟში ნამდვილად შედიოდა, მაგრამ ლოთი ქობალია მასში არ იჯდა, გზაში ააფეთქეს.** აქედან დასკვნა — შევარდნაძეს ცოცხალი **ლოთი ქობალია** არ სჭირდებოდა, რადგან მან აფხაზეთის ომზე ყველაფერი იცოდა. სხვათაშორის, როცა ცხონებულმა **მზია ჭანტურიამ, აკო აბაშიძემ, რობერტ ღარიბაშვილმა** და მე ჟიულის ვთხოვეთ — არაფერი გვინდა, სოხუმში ჩამოვალთ და შენ გვერდით ვიქნებითო, მან თავი შეიკავა. **ჟიული ძალიან აჭიანურებდა სოხუმში ჩვენს ჩაყვანას, რადგან კარგად გრძნობდა, რაც ხდებოდა და არ უნდოდა, ჩვენც გავეწირეთ.**

მახსოვს, 1993 წლის აპრილში ჩემი ბიჭი რომ დაიბადა, სოხუმიდან დაგვირეკა და მე და ჩემს მეუღლეს მოგვილოცა. დაახლოებით სამი თვის შემდეგ ისევ დარეკა, ჩემს ქმარს ელაპარაკა და მერე მითხრა — **მაყვალა, ბავშვი გაზარდეთ. როგორც ჩანს, აფხაზეთს ვაბარებთ, შენ არ იცი, აქ რა ჯოჯოხეთი ტრიალებს, არ ჩამოხვიდეთ!**

მიმუშავია ჟიული შარტავას ჩანაწერებზე, რომელსაც ის აკეთებდა და წავაწყდი წერილს შვილებისადმი, რომლებსაც უბარებს, რომ, თუ ოდესმე რამე გაუჭირდეთ, მიმართონ მის მეგობრებს. ჩემთვის იყო სასწაული და უდიდესი სიურპრიზი, როცა იმ მეგობრებს შორის **ანზორ კიკალიშვილთან** და კიდევ სხვა ცნობილ ადამიანებთან ერთად ჩემი გვარი და სახელიც ამოვიკითხე. ვერასოდეს გავბედავდი, მეთქვა, რომ ჟიული ჩემი მეგობარი იყო, მაგრამ, თურმე, ასეთად მთვლიდა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას და იმას, **მაინც რა იყო ის მთავარი, რის გამოც შევარდნაძემ ჟიული გაწირა, დადასტურებული ფაქტია, რომ სოხუმის დაცემამდე ორი დღით ადრე, 1993 წლის 25 სექტემბერს, გვიან ღამით, ჟიული შარტავა ელაპარაკა ბორის პასტუხოვს და ამ საუბარში მან შევარდნაძე აუგად მოიხსენია.** უშიშროებამ ეს საუბარი ჩაწერა და ჩანაწერი შევარდნაძეს მაგიდაზე დაუდო. სავარაუდოდ, სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ის უკანასკნელი წვეთი, რომელმაც შევარდნაძეს უბიძგა იმის გასაკეთებლად, რაც მან ჟიულის გაუკეთა! სხვათაშორის, ჟიული შარტავას გარდაცვალების წლისთავზე რუსთაველის თეატრში შევარდნაძეს ისეთი რამ ვუთხარი, ადგა და დარბაზი დატოვა!

**— მაინც რა უთხარით?**

— გამოვედი და პირდაპირ სცენიდან ვუთხარი — **ბატონო ედუარდ, ჟიული შარტავა თქვენი მსხვერპლია!** რომ ზიხართ ახლა აქ ჩაჰალსტუხებულები და ვითომ არაფერი მომხდარა აფხაზეთში, ვითომ არ დაუხვრეტიათ მთავრობის თავმჯდომარე და ვითომ 300 ათასი დევნილი არ გვყავს, რა ბედნიერი სახეები გაქვთ-მეთქი? ან **თქვენ, ბატონო ედუარდ, რა ამბავში ხართ-მეთქი?** შევარდნაძე ადგა და დატოვა დარბაზი...

**— როგორ დახვრიტეს ჟიული შარტავა და ვინ დახვრიტა?**

— როგორც ჩემთვის ცნობილია, **ბორის პასტუხოვმა,** რომელიც ჟიულის კომკავშირიდან იცნობდა და მასთან მეგობრობდა, არძინბა ლამის ტირილამდე მიიყვანა — **როგორ გაბედეთ და შარტავა დახვრიტეთო?!** 25 სექტემბერს ჟიულიმ მართლაც დაურეკა პასტუხოვს და დახმარება სთხოვა, რადგან აშკარა იყო, სოხუმი ეცემოდა. **პასტუხოვი მართლაც ჩაფრინდა სოხუმში, მაგრამ დააგვიანა და ჟიული დახვრეტილი დახვდა.** ამის გამო დიდი ამბები ატყდა. ბორის პასტუხოვის წინაშე ატირებული არძინბა თავს იმართლებდა — **ჩვენ არ დაგვიხვრეტია, არცერთი აფხაზის ხელი შარტავას დახვრეტაში არ ურევიაო!**

**— აბა, ვინ დახვრიტა?**

— იყო საუბრები ვინმე **აფხაზ პაპასკირზე,** მაგრამ ჩემი ინფორმაციით, ჟიული შარტავა უფრო ყაბარდოელების ან ბალყარელების დახვრეტილი უნდა იყოს!

**— აწამეს?**

— დიახ, მე ყველაფერს ვერ ვიტყვი, რადგან ვიცი, ამას ოჯახი წაიკითხავს და ჭრილობები განუახლდებათ. **ჟიული შარტავა დახვრეტის წინ აწამეს. რომ ვერ დააჩოქეს, დაუხვრიტეს ფეხები.** მოკლედ, იქ საშინელებები დატრიალდა. თავის დროზე რუსი პოლკოვნიკი **მაქსიმოვი,** რომელიც **ჯიმი სხირტლაძეს** ესაუბრა, ამბობს —

> *„როცა მინისტრთა საბჭოს შენობიდან ჟიული შარტავა გამოვიდა, თავზეხელაღებულმა ბანდიტებმა იგი თავიანთ ხელმძღვანელობასთან წაიყვანეს. ახალ ათონთან მანქანიდან გადმოსვეს და დაჩოქება უბრძანეს. ჟიულიმ არ დაიჩოქა... ვიღაცამ ხელი მოუქნია... ამაყი კაცი ამას როგორ მოითმენდა და შეაფურთხა. ახალგაზრდა ბიჭმა, რომელიც ჯერ ბობოქრობდა, შემართა ავტომატი. ვიღაც პაპაშუა თუ პაპასკუა, ეგებ პაპასკირიც იყო ის თავზეხელაღებული... შარტავა გმირულად მოიქცა, არ დაემორჩილა, ვერ გა-*




### კვირის ფოსტა

## მცირე დაზუსტება

**პატივცემულო რედაქციავ, ბატონებო! ქ-ნი მაყვალა ბერიანიძის** მეტად საინტერესო წერილებიდან ერთ-ერთში, კერძოდ, **„ასავალ-დასავალის“ 11-17 ივლისის ნომერში, მე-20 გვერდზე,** მას რამდენიმე არასრული ცნობა აქვს მოტანილი. იგი წერს: ***„მე ზუსტად მაქვს დადგენილი ის ფაქტი, რომ აფხაზეთის ომის დროს ავთანდილ იოსელიანს სოჭიდან სისტემატურად უკავშირდებოდა ქართველი, გვარად ქომოშვილი, რომელიც მას მოსალოდნელი პროცესების შესახებ საქმის კურსში აყენებდა. ქომოშვილმა იოსელიანს ამცნო, თუ როგორ დაიწყებოდა სოხუმზე შტურმი და როგორ ჩაბარდებოდა სოხუმი. როგორც ვიცი, ქომოშვილის შვილი ალიკა ქომოშვილი ავთანდილ იოსელიანის უწყებაში, საქართველოს უშიშროების სამინისტროში მუშაობდა. ქომოშვილი სოჭში სწორედ იმ დროს დახვრიტეს, როცა ავთანდილ იოსელიანს ტელეფონით ელაპარაკებოდა და აფხაზეთის მოსალოდნელი დაცემის შესახებ ინფორმაციას აწვდიდა“.***

მოკლედ გეტყვით: ეს ქართველი იყო 1925 წელს დაბადებული, **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე** (1978-1990 წლებში), **გენერალ-მაიორი გრიგოლ (გრიშა) ქომოშვილი,** რომელიც მოკლეს არა სოჭში, არამედ სოხუმში. იგი თავის ბინაში დაატყვევეს სოხუმის დაცემის დღეს, 1993 წლის 27 სექტემბერს **(მეზობლად მცხოვრებ სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის ლექტორთან კარლო ჩხენკელთან ერთად),** მოულოდნელად შემოჭრილმა აფხაზ-ჩეჩენ-სომხების მებრძოლებმა და ორივენი, როგორც ამბობენ, წამებით დაკითხვის შემდეგ გამოასალმეს სიცოცხლეს.

როგორც გადარჩენილი ქალები ყვებიან, ეს თავდასხმა მოულოდნელი იმიტომ ყოფილა, რომ შევარდნაძის მიცემული სიტყვა — **არსად წახვიდეთ, სოხუმი დაცულია, მეც თქვენთან ერთად აქ ვარ და ფეხს არ მოვიცვლიო** — ბევრმა ირწმუნა. **ქომოშვილისა და ჩხენკელის ოჯახები** მეორე დილით აპირებდნენ სოხუმის დატოვებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ვეღარ მოასწრეს.

***პატივისცემით, იაკობ ლეჟავა***

### კვირგვინოსნები



**გიგა ბოკერია**
*„ევროპული საქართველოს“ ლიდერი*

კანონებში ცვლილებებით დღევანდელი **რეჟიმის დემონტაჟი** ვერ მოხდება.

„ახალი თაობა“



**ლევან ბეჟაშვილი**
*„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი*

როგორც **ასლან აბაშიძე აფეთქებდა ხიდებს** საქართველოს წინააღმდეგ, **ისე აფეთქებს „ოცნება“ ხიდებს ევროპასთან.**

„GTMEDIA“



**ჰერმან საბო**
*„გირჩის“ წევრი*

თავის მოტყუება, ფარისევლობა იქნება, ჩვენ რომ სერიოზული სახეებით დავდგეთ და ვიწუწუნოთ, როგორ ჩაერია აშშ რაღაც გადაწყვეტილებაში, **ზუსტად ისე გვექცევიან, როგორი სასამართლოც გვაქვს.**

„პირველი არხი“

# „წერილში ხაზგასმით ეწერა, რომ ჟიული შარტავას წამებასა და დახვრეტას ქართველებიც ესწრებოდნენ!“



*ტეხეს და ამიტომ მოკლეს. ჩვენები გაოგნებულები დარჩნენ ასეთი ვაჟკაცის ხილვით!“*

სხვათაშორის, წლების შემდეგ **საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს** ერთმა რუსმა ოფიცერმა, რომელიც ჟიული შარტავას წამებასა და დახვრეტას შეესწრო, წერილი გამოუგზავნა, რომელშიც ეწერა, რომ საქართველო იარსებებს მანამ, სანამ ჟიული შარტავას მსგავსი გაუტეხელი გმირები ეყოლება! ის ბოდიშს იხდიდა იმის გამო, რომ აფხაზეთში ჩვენ წინააღმდეგ იბრძოდა და იმასაც წერდა, რომ შინაგანი პროტესტის გამო აფხაზეთი დატოვა. ეს წერილი უწმინდესმა საპატრიარქოში გაგვაცნო ჟიული შარტავას მეუღლეს — **ქალბატონ ლიას** და მე. საპატრიარქოდან რომ გამოვედით, ლიას ვუთხარი — **წერილი ხომ არ წამოგველო-მეთქი?!** — რა ვიცი, მერიდება უკან მიბრუნება და პატრიარქის შეწუხებაო! — ისეთი შეგრძნება მაქვს, გამოართვი, ასლი მაინც გადავიღოთ-მეთქი! ვერ იკადრა, ვერ სთხოვა ქალბატონმა ლიამ წერილი პატრიარქს. **გამოხდა ხანი, მე დავწერე ამ წერილის შესახებ და ვთქვი, რომ ასეთი და ასეთი შინაარსის წერილი ბუნებაში არსებობდა. ამის შემდეგ გავბედეთ და წერილი საპატრიარქოში მოვიკითხეთ. საპატრიარქოში გვითხრეს, რომ მათ ეს წერილი გადააგზავნეს შევარდნაძის სამდივნოში. მივედით შევარდნაძის სამდივნოში და მოვითხოვეთ წერილი, მაგრამ გვითხრეს, რომ წერილი დაიკარგა!**

**— კიდევ რა ეწერა იმ წერილში?**

— რუსი ოფიცრის მიერ გამოგზავნილ წერილში დეტალურად იყო აღწერილი, თუ როგორ აწამეს ჟიული შარტავა! **წერილში ხაზგასმით ეწერა, რომ ჟიული შარტავას წამებასა და დახვრეტას ქართველებიც ესწრებოდნენ!** გამოხდა ხანი და ქართულ პრესაში გაჩნდა ბინძური და ცილისმწამებლური წერილები იმის შესახებ, რომ თითქოს **ასლან აბაშიძე** ჟიული შარტავას დახვრეტას ესწრებოდა!

**— კი, ავანტიურისტი და ელისტრაკო კილაძის მსგავსი ცილისმწამებელი ჟურნალისტი კლარა აბრამია ამკვიდრებდა ამ აზრს!**

— დიახ, ეს იყო აშკარა ცილისწამება! პირადად დავინტერესდი ამ საკითხით და დავიწყე მოკვლევა, თუ სად იყო ასლან აბაშიძე 1993 წლის 27 სექტემბერს. ასლანი იმ დღეებში საერთოდ არ ყოფილა იმ არემარეზე... **ქალბატონი კლარა აბრამიასი რა მოგახსენოთ, მაგრამ ავთანდილ იოსელიანი, რომელიც შევარდნაძემ დაზვერვის შეფად დანიშნა, ამ ჭორს ნამდვილად ავრცელებდა და ასლან აბაშიძეს ჩირქს სცხებდა.** სწორედ ამ ცილისწამების გამო იოსელიანი აჭარაში ვერ ჩადიოდა, ასლანი მას ბათუმში არ უშვებდა!

**— შეგიძლიათ, დაასახელოთ, რომელი ქართველები ესწრებოდნენ ჟიული შარტავას დახვრეტას?**

**— პირდაპირ გეტყვით, რომ ვერ დავასახელებ!** ერთხელ, ერთი მათგანის შესახებ დავწერე და ისეთი ამბავი ატყდა, მესროლეს. **საგაზეთოდ არა, მაგრამ თქვენთვის რომ იცოდეთ, გეტყვით, თუ ვისზეა ლაპარაკი!**

ჟიული შარტავას შესახებ დოკუმენტური ფილმი გადაიღეს და ერთი ყოფილი მაღალჩინოსანი, რომელსაც ძალიან უნდოდა შევარდნაძისთვის სკამის მოლოკვა, იმ ფილმში ასეთ რამეს ამბობს — **ჟიული შარტავას მკვლელობა ინტელექტუალური დახვრეტა იყო და ხელს წამებაზე ნუ იშვერთო!** გენიალური **თემიკო ჩირგაძის** კინოგმირის **ვაჟა ზაზაევიჩისა** არ იყოს, ყველაფერი გამიგია, მაგრამ ეს **„ინტელექტუალური დახვრეტა“** რა ჯანდაბაა, დღემდე ვერ გავიგე! რა, ჟიული შარტავა არ დაუხვრეტიათ, არ უწამებიათ და „ინტელექტი დაუხვრიტეს“? კაცს მუხლები დაუხვრიტეს, ყურები, ყელი, ენა... **მიწა შეჭამეო! — ეუბნებოდნენ.**

**— ყელი გამოჭრეს და ენა მოაჭრეს?**

— არა, ყელი არ გამოუჭრიათ! **არ ვიცი, არ მინდა ამაზე ლაპარაკი...** დადასტურებული ფაქტია, რომ აფხაზებს ჟიული შარტავასთვის არც უსვრიათ და არც უწამებიათ!

**— აბა, ვინ აწამა და დახვრიტა?**

— **იქ იყვნენ ყაბარდოელები, ბალყარელები, რუსები, ჩეჩნები და უკრაინელები...** ის ვიდეოკასეტა, სადაც ჟიული შარტავა უკანასკნელად ჩანს, ჩვენებმა ყაბარდო-ბალყარელებისგან იყიდეს! ვფიქრობ, ჟიული, დიდი ალბათობით, სწორედ მათი დახვრეტილი და ნაწამებია.

**— ჟიული შარტავას ბოლოს როდის ელაპარაკეთ?**

— **ჟიულის ბოლოსველაპარაკე 1993 წლის 24 სექტემბერს!** ფაქტობრივად, გამოგვემშვიდობა, როცა გვითხრა — ყოველ ნაბიჯზე ღალატია, თავს გაუფრთხილდით, ბავშვი გაზარდეთო! **გია ყარყარაშვილის** ყოფილი სიმამრისგან — **რამაზ აბაშიძისგან,** რომელიც ჟიულის უახლოესი მეგობარი იყო, ვიცი, რომ **1993 წლის 23 სექტემბერს ჟიულიმ გროზნოში დაურეკა ზვიად გამსახურდიას და უთხრა — ბატონო ზვიად, თქვენ ესენი გაიძულებენ, რომ საქართველოში ჩამოხვიდეთ, მაგრამ არ დათანხმდეთ, ისედაც გახლეჩილი და გაყოფილი ერი კიდევ უფრო გაიყოფაო! ზვიადმა არ დაუჯერა და მეორე დღეს, 24 სექტემბერს, სენაკში ჩამოფრინდა.**



## „1993 წლის 23 სექტემბერს ჟიულიმ გროზნოში დაურეკა ზვიად გამსახურდიას და უთხრა – ბატონო ზვიად, თქვენ ესენი გაიძულებენ, რომ საქართველოში ჩამოხვიდეთ, მაგრამ არ დათანხმდეთ...“

**— საინტერესოა, ზვიად გამსახურდიას რა რეაქცია ჰქონდა ჟიული შარტავას ტრაგიკულ აღსასრულზე?**

— ზვიად გამსახურდიამ ჟიული შარტავას ოჯახს სამძიმრის დეპეშა გამოუგზავნა, რომელშიც ვკითხულობთ —

**„თბილისი, ყიფშიძის ქუჩა №18, ჟიული შარტავას ოჯახს! ღრმა მწუხარებას გამოვხატავ ჟიული შარტავას დაღუპვის გამო. აფხაზეთში მას იცნობდნენ, როგორც უკომპრომისოს და საქმის ერთგულს. შეეწირა მოღალატურ პოლიტიკას საქართველოში. თანაგრძნობას ვუცხადებ ჟიული შარტავას ოჯახს! პატივისცემით, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. ზუგდიდი, 1 ოქტომბერი, 1993 წელი.“**




## „სოხუმის დაცემამდე ორი დღით ადრე, 1993 წლის 25 სექტემბერს, გვიან ღამით, ჟიული შარტავა ელაპარაკა ბორის პასტუხოვს და ამ საუბარში მან შევარდნაძე აუგად მოიხსენია!“

*ესაუბრა* ***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## კვირგვინოსნები

**ემზარ საბანაძე**
*იურისტი*



თუ **გოგაშვილმა** სიმართლე არ თქვა, მას ძალიან სერიოზული პრობლემები შეექმნება. მადლობა უნდა თქვას, თუ მარტო ამ ინფორმაციებთან დაკავშირებით წაუყენებენ ბრალს. **შეიძლება მის წინააღმდეგ არაერთი ახალი სამხილიც გაჩნდეს და ბრალი ახალ ფაქტებთან დაკავშირებითაც წაუყენონ.** მან იცოდა, დღეს თუ ხვალ დააკავებდნენ და იმიტომ ახმაურდა, რომ მერე ეთქვა, ჩემი აქტიურობის გამო დამაკავესო. **მე მის დაკავებას 7-8 წლის წინ ველოდი.**

„კვირის პალიტრა“

**დავით კუხალაშვილი**
*უსაფრთხოების საკითხების ექსპერტი*



მე **გოგაშვილის** მოადგილეობის პერიოდში მომიწია იმ უწყებაში მუშაობა, **მნიშვნელოვანი ინფორმაციაც მაქვს და შემიძლია ვითანამშრომლო გენერალურ პროკურატურასთან, მივაწოდო მას მეტი და მნიშვნელოვანი ინფორმაცია** იმის შესახებ, რამაც დააზიანა როგორც საზოგადოებრივი ინტერესები, ისე — ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება. თუ ამ ფაქტებს გავახმაურებთ, საზოგადოებას ბევრი კითხვაც აღარ ექნება. ამ ნაბიჯის გადადგმა სჭირდება სახელმწიფოს, რომ **გოგაშვილმაც პოლიტიკური პატიმრის სტატუსი არ მოირგოს და არ წარმოჩინდეს, როგორც დემოკრატიისთვის მებრძოლი ყოფილი სპეცსამსახურის თანამშრომელი.**

„კვირის პალიტრა“

**გიორგი კოზერიძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი*



**ასეთ მაღალ თანამდებობაზე დასანიშნ პირს,** რომელსაც ქვეყნის უსაფრთხოება უნდა ჩააბარონ, ყველა ნორმალურ ქვეყანაში საფუძვლიანად შეამოწმებდნენ. ვეკითხები ხელისუფლებას — **ვინც გოგაშვილი უსაფრთხოების სამსახურში მიიყვანა, მისი პასუხისმგებლობის საკითხი არ უნდა დადგეს?**

„კვირის პალიტრა“

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



ის, რაც დღეს **გოგაშვილის** გარშემო ხდება, ფარსია. **ეგ არ არის ის კაცი, კარგ შეთავაზებას არ დათანხმდეს.**

„ახალი თაობა“

პატიმარ სააკაშვილის ციხეში საკითხავი

# სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!

***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!***

მიხეილ სააკაშვილი თავის მემუარებში შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, რომ თავი მსოფლიო მნიშვნელობის ლიდერად წარმოაჩინოს! ამ მიზნით ის არაერთ ამბავს იხსენებს, საქართველოს პრეზიდენტობისას თუ როგორ მეგობრობდა სხვადასხვა სახელმწიფოს ლიდერთან! მაგალითად, **თურქეთის პრეზიდენტ ერდოღანთან** თავის ურთიერთობებს სააკაშვილი ასე აღწერს:

***„მე-18 საუკუნიდან მე-19 საუკუნის სამოცდაათიან წლებამდე ბათუმი შედიოდა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. როდესაც დავოსში გავიცანით ერთმანეთი, პირველი, რაც ერდოღანმა მითხრა, იყო: „ბებია მიყვებოდა, რომ ბათუმში თეთრი მარმარილოს კედლებია. ძალიან მინდა ბათუმში ჩამოსვლაო“. რა თქმა უნდა, „ჩამობრძანდით“, — ვუთხარი მე“*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 145).*

როგორც ხედავთ, მემუარისტი ისე ნეიტრალურად გვამცნობს — ბათუმი რაღაც პერიოდის განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდაო — გეგონებათ, ერთი სადავო ქალაქი იყო და არა საქართველოს კუთვნილი ძირძველი მიწა! და **თითქოს მთელი აჭარა ოსმალეთს სამასი წელი არ ჰქონდა მიტაცებული და ტაო-კლარჯეთი დღემდე თურქეთს არ ჰქონდეს წართმეული!**

თუმცა, ისევ „სააკაშვილის მეგობარ“ **ერდოღანს** დავუბრუნდეთ:

***„დაახლოებით ხუთი თვის შემდეგ ერდოღანმა დამირეკა, საქართველოში მინდა ჩამოსვლაო, მითხრა: „შენ წინააღმდეგი ხომ არ იქნები, ბათუმში რომ ჩამოვიდე?“ „პირიქით, ძალიან მოხარული ვიქნები“ — ვუპასუხე. იმ დროს ბათუმი ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო. როდესაც აეროპორტიდან წამოვედით, ერდოღანი აქეთ-იქით იყურებოდა და გაოცებული კითხულობდა: „აქ რა, რაიმე სტიქიური უბედურება მოხდა, თუ რაშია საქმე?“ „რატომ უბედურება?“ — „მე ბებია რაღაც გრანდიოზულზე მიყვებოდა, აქ კი...“*** *(იქვე, გვ. 145).*

რა თქმა უნდა, მემუარისტი ცრუობს: ერდოღანს მსგავსიც რომ გაეფიქრებინა, ელემენტარული ტაქტის გამო სააკაშვილს არ ეტყოდა, ეს რა სტიქიური უბედურების ზონასავით ქვეყანა გაქვსო! მაგრამ სააკაშვილი თავად იგონებს ამ ყველაფერს საკუთარი სამშობლოს დასამცრობად და კიდევ იმის აღსანიშნავად, **აი, ერდოღანის გაოგნების შემდეგ როგორ ავაღორძინე ბათუმიო!**

არადა, ერდოღანი ბათუმში სწორედ იმისთვის ჩამოვიდა, რომ თურქულ ბიზნესს აეთვისებინა ეს ქართული ქალაქი. აკი, თავად სააკაშვილი წერს მომდევნო აბზაცშივე:

***„თურქებმა ინტენსიურად დაიწყეს ჩამოსვლა და ბათუმის აღმშენებლობაში ფულის ჩადება. საზღვრის ჩვენი მხრიდან ბევრად უფრო მეტია ნებადართული, ვიდრე მათი მხრიდან. თურქები ჩამოდიან გასართობად — კაზინოში სათამაშოდ, რესტორნებში სასიარულოდ, უბრალოდ, დასალევად. მათთვის ეს ევროპის გასაგები ნაწილია. ამასთან არის დაკავშირებული ბათუმის განვითარების ფანტასტიური ტემპები. თურქებისთვის ბათუმი ფინანსური ოფშორი გახდა: ჩვენთან გადასახადები ნაკლებია, ტრანსაქცია უფრო ადვილია, იმიტომ, რომ***




***არ არის კორუფცია. თურქებისთვის ამ ორი მაჩვენებლის — პირადი და ეკონომიკური თავისუფლების — შეხამება მეტად მიმზიდველი აღმოჩნდა“*** *(იქვე, გვ. 146).*

ანუ უფრო მარტივად რომ გადმოვთარგმნოთ სააკაშვილის ნათქვამი, ეს არის: **თურქებს ბათუმი „შავი ფულის სამრეცხაოდ“ და კაზინო-ბორდელებად გადავეციო!** თან, ამას ისიც დავამატოთ, რომ მთელი ეს ფინანსური ექსპანსია პირადად ერდოღანის შორსმიმავალი პოლიტიკური გეგმის ნაწილია, **„დიდი თურანის იმპერიის აღდგენა“** რომ ჰქვია!

მიხეილ სააკაშვილი იმასაც ყვება, ზემოაღნიშნული **თურქული ექსპანსიის** კვალობაზე, როგორ მიანიჭა ათიათასობით თურქეთის მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობა:

***„ჩვენ მივიღეთ კანონი, რომელიც ამარტივებდა ორმაგი მოქალაქეობის მიღების პროცედურას. საზღვარგარეთ მცხოვრებმა დაახლოებით 78 000 ქართველმა პრეზიდენტის ხელიდან საქართველოს მოქალაქეობა მიიღო. არაქართველებსაც მივეცით საქართველოს მოქალაქეობა, ოღონდ სხვა პროცედურით. ეს უფრო მეტად ინვესტიციებთან იყო დაკავშირებული. ძალიან ვწუხვარ, უფრო მეტი პასპორტი რომ არ გავეცით. საერთო ჯამში, მინიმუმ მილიონზე მეტი პასპორტი უნდა გაგვეცა უცხოეთში მცხოვრებ ქართველებზე. ხელი ბიუროკრატიამ შეგვიშალა. ეს კანონპროექტი კონტრდაზვერვის სამსახურმა ძალიან ნეგატიურად შეაფასა. მე დიდი შეცდომა დავუშვი, მათ რომ დავუჯერე“*** *(იქვე, გვ. 153).*

ანუ, კიდევ კარგი, **სააკაშვილის რეჟიმისას კონტრდაზვერვაში** მაინც იყვნენ საღად მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც კარგად ხვდებოდნენ, რა უბედურება იქნებოდა ქვეყნისთვის პრეზიდენტად წოდებულის აბსოლუტურად უპასუხისმგებლო, რომ არ ითქვას, **მოღალატეობრივი გეგმების** განხორციელება!

და რაც მნიშვნელოვანია, სააკაშვილი იქვე საკუთარი პირით ამბობს, რა პოლიტიკურ ავანტიურებშიც ჩაჰყვა **ერდოღანს:**

***„როდესაც ერდოღანს არჩევნები ჰქონდა, მთხოვა, ქართველებით დასახლებულ რეგიონში ჩავსულიყავი და მის საარჩევნო კამპანიაში მიმეღო მონაწილეობა. მიტინგზე, რომელზეც მან მიმიყვანა, 20 000 ქართველი შეიკრიბა. ეს, რა თქმა უნდა, უნიკალური შემთხვევაა — თურქები რომ უცხოელ ლიდერს საარჩევნო კამპანიაში დახმარებას სთხოვენ. მაშინ ერდოღანმა ამ რეგიონში პირველად გაიმარჯვა (ბოლო არჩევნებზე მან ეს რეგიონი პირწმინდად წააგო)“*** *(იქვე, გვ. 153).*

აი, ამიტომაც უნდოდა სააკაშვილს **მილიონამდე პასპორტის დარიგება უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის,** რომ შემდეგ მათი ქვეყნის ლიდერებთან შეთანხმებით ეს ხალხი თავის საარჩევნო აქტივისტებად გადაექცია!

აღარაფერს ვამბობ იმაზე, საკუთარი თავის ქების მიზნით, როგორ გამოაჭენა და „ჩაუშვა“ სააკაშვილმა **ერდოღანი,** არჩევნების მოგებაში დავეხმარეო!

შემდეგ სააკაშვილი ყვება, როგორ ეცადა ქართული დიასპორის წარმომადგენლების საქართველოს ხელისუფლებაში ჩაბმას! და მემუარისტი პირველსავე მაგალითად იხსენებს, როგორ აღმოჩნდა **სალომე ზურაბიშვილი** საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე:

***„დიასპორას ყოველთვის განვიხილავდი, როგორც საკადრო რეზერვს. ჩვენ ამ კუთხით გვქონდა როგორც წარმატებები, ასევე მარცხიც.***

*ვიდრე* ***სალომე ზურაბიშვილს*** *საგარეო საქმეთა მინისტრად დავნიშნავდით, მას საქართველოში საფრანგეთის ელჩის პოსტი ეკავა. ძალიან ლამაზი, არისტოკრატი ქალბატონი,* ***ნიკო ნიკოლაძის*** *შვილიშვილი...*

***როდესაც ერთმანეთი გავიცანით, ქალბატონ სალომეს ხმა არ ამოუღია, სულ დუმდა და იღიმოდა, მაგრამ განსაცვიფრებლად გამოიყურებოდა. მე მას გავესაუბრე და გადავწყვიტე, დამენიშნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე. საფრანგეთის ოფიციალური ვიზიტის დროს ამის თაობაზე ვესაუბრე ჟაკ შირაქს და ნებართვა ვთხოვე. ბუნებრივია, მე გამოვიყენე მოქალაქეობის მინიჭების ჩემი, პრეზიდენტის, უფლება. შირაქმა მას გზა შემდეგნაირად დაულოცა: მთავარია, შენ განავითარო კარგი ურთიერთობა რუსეთთან“*** *(იქვე, გვ. 154).*

როგორც ჩანს, ან სააკაშვილი ისევ იტყუება, ანდა **სალომე ზურაბიშვილმა** საფრანგეთის პრეზიდენტს აშკარად არ დაუჯერა, რადგან თავის რუს კოლეგას **სერგეი ლავროვს,** ალბათ, მწარედ ახსოვს საგარეო საქმეთა მინისტრი ზურაბიშვილის ძალიან ხისტი მოლაპარაკებები საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის თემაზე!

მემუარისტი კი იქვე ერთობ საინტერესოდ აღწერს **სალომე ზურაბიშვილის** ერთობ მძიმე ხასიათს:

***„საქმეში თავიდან ზურაბიშვილი ცოტა უცნაური მეჩვენა, შემდეგ ძალიან უცნაური. მან დაიწყო სამინისტროდან იმ თანამშრომლების გათავისუფლება, ვისი გვარიც არ მოსწონდა. ამ გვარის ადამიანმა, მიხსნიდა ქალბატონი სალომე, ოციან წლებში ჩემი ნათესავები დახვრიტა.*** *გაუგებარი იყო, რა კავშირი ჰქონდა ამას 2004 წელთან. შემდეგ მომთხოვა, თანამდებობიდან გამეთავისუფლებინა ჩვენი ელჩი მოსკოვში. ვეკითხები — რატომ?* ***„ჩემი მოწამვლა სცადა მოსკოვში ოფიციალური ვიზიტის დროს, ყავაში რაღაც ჩამიყარა“.*** *ის პიროვნება, ჩვენი პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი* ***კოტე კემულარია*** *— წესიერი, სოლიდური ადამიანი იყო. სრულიად გაუგებარ სიტუაციაში აღმოვჩნდით“ (იქვე, გვ. 154).*

მოკლედ, სააკაშვილი ამ ყველაფერს თავის საკადრო პოლიტიკის ერთ-ერთ დიდ შეცდომად მიიჩნევს და არც იმას მალავს, რომ ძალიან არ მოსწონს **სალომე ზურაბიშვილი:**

***„ზურაბიშვილმა მინისტრის პოსტზე ერთ წელზე ცოტა მეტი იმუშავა. დროთა განმავლობაში ყველამ შეამჩნია მისი უცნაური ხასიათი. პარლამენტმა მის წინააღმდეგ ბუნტი მოაწყო და თანამდებობიდან გაათავისუფლა. შემდეგ ქალბატონი სალომე ქუჩის აქციებზეც საკმაოდ ექსცენტრიულობით გამოირჩეოდა“*** *(იქვე, გვ. 154).*

სააკაშვილი ისევ ცრუობს: ნაცების მიერ სათავისოდ გადაკეთებული საქართველოს კონსტიტუციით დამკვიდრებული სუპერსაპრეზიდენტო მმართველობისას საგარეო საქმეთა მინისტრს პარლამენტი ვერ გაათავისუფლებდა! **უბრალოდ, პარლამენტის ნაცურმა უმრავლესობამ, სააკაშვილის დავალებით, სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ მთელი კამპანია წამოიწყო და სააკაშვილმაც, აბა, რა ვქნაო და ზურაბიშვილი მინისტრის თანამდებობიდან დაითხოვა!**

ჰოდა, მგონი, **სალომე ზურაბიშვილს** აშკარად წაკითხული აქვს სააკაშვილის მემუარების ეს ნაწილი და, ამდენად, ადვილი გასაგებია, რატომაც გაიძახის ტუსაღი სააკაშვილის შეწყალებაზე: **არა და არასოდესო!**




## როგორ დაუთმო სააკაშვილმა ბათუმი ერდოღანს და თურქეთს!



***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***

# ალმოაჩნდება თუ არა სოსო გოგაშვილს „ღრმა ხახა“ უოტერგეიტის სკანდალიდან 50 წლის შემდეგ



მარკ ფელტი, იგივე „ღრმა ხახა“



***შესაძლოა, იყოს რაღაც სიმბოლური იმაში, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილი პირველი მოადგილის სოსო გოგაშვილის დაპატიმრება უოტერგეიტის სკანდალის 50 წლისთავზე მოხდა.***

მაინც რა კავშირი შეიძლება, ჰქონდეს საქართველოს უშიშროების ყოფილი მაღალჩინოსნის დაკავებას ამერიკის შეერთებულ შტატებში **50 წლის წინათ დატრიალებულ უოტერგეიტის სკანდალთან,** რომელიც 1972 წლის 17 ივნისს უოტერგეიტის საოფისე კომპლექსში, კერძოდ, დემოკრატიული პარტიის შტაბ-ბინაში შეჭრისათვის 5 პირის დაკავებით დაიწყო და 1974 წლის 9 აგვისტოს პრეზიდენტ **რიჩარდ ნიქსონის გადადგომით** დასრულდა?

უოტერგეიტის სკანდალის ფარგლებში **აშშ-ის რესპუბლიკელი პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი და მისი ადმინისტრაცია** ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაში, კორუფციაში, **თავისუფალი საარჩევნო სისტემის დანგრევის მცდელობასა და დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ პოლიტიკურ საბოტაჟში** იქნენ მხილებული, თუმცა, **უოტერგეიტის სკანდალის** ერთ-ერთ საკვანძო წახნაგი გახლდათ **პრეზიდენტ ნიქსონის** მხილება **უკანონო ფარულ მიყურადებაში. აღმოჩნდა, რომ თეთრ სახლში გამართული საუბრების ფარული ჩაწერა სწორედ მისი უშუალო მითითებით ხდებოდა.**

**უოტერგეიტის სკანდალიდან 33 წლის შემდეგ** — 2005 წელს — **ცნობილი გახდა, რომ კონფიდენციალური წყარო, რომელიც „ვაშინგტონ პოსტის“ ჟურნალისტებს პრეზიდენტ ნიქსონისა და მისი ადმინისტრაციის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ უტყუარ ცნობებს აწვდიდა,** ამერიკული სპეცსამსახურების მაღალჩინოსანი — გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორის მოადგილე **მარკ ფელტი** იყო, მეტსახელად — **„ღრმა ხახა“.**

საინტერესოა, სწორედ ამერიკის გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორის მოადგილე **მარკ ფელტი, იგივე „ღრმა ხახა“** ხომ არ იქცა ინსპირაციის წყაროდ **საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილის სოსო გოგაშვილისათვის,** რომელიც, როგორც გაირკვა, ოპოზიციურ ტელეარხებთან ფარულად თანამშრომლობდა და **„მთავარ არხსა“ და „ტვ პირველს“** ხელისუფლების საწინააღმდეგო ინფორმაციებს აწვდიდა?

თუმცა, **უოტერგეიტის სკანდალიდან 50 წლისთავზე** საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი პირველი მოადგილის დაკავებას **უოტერგეიტის სკანდალის** მსგავსი პოლიტიკური აფეთქება ჯერ არ გამოუწვევია და ბევრი მიზეზის გამო, ალბათ, ვერ გამოიწვევს!

ჯერ ერთი, **ამერიკის გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორის მოადგილე მარკ ფელტმა ისეთ სერიოზულ და სანდო მედიასაშუალებასთან გააბა ფარული თანამშრომლობა, როგორიც „ვაშინგტონ პოსტი“ გახლავთ,** საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე **სოსო გოგაშვილმა კი „ტვ პირველისა“ და „მთავარი არხის“ სახით სიცრუის მანქანასთან და ე.წ. ფეიკ-ნიუსების ქარხანასთან დაიჭირა საქმე.**

ცხადია, სააკაშვილის ნაცში მოხვანცალე ვაი-ჟურნალისტები **ნოდარ მელაძე და გიორგი გაბუნია,** რომლებსაც, როგორც ირკვევა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ექსმოადგილე **გოგაშვილი** საიდუმლო ინფორმაციებს აწვდიდა, ვერასოდეს გააკეთებენ იმას, რაც **„ვაშინგტონ პოსტის“ ჟურნალისტებმა ვუდვორდმა და ბერნსტაინმა** ამერიკის გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორის მოადგილის **მარკ ფელტის** მიერ მიწოდებული ინფორმაციების საფუძველზე შეძლეს!

**მოკლედ, 50 წლის წინათ ამერიკის გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორის მოადგილე მარკ ფელტის, მეტსახელად „ღრმა ხახის“ ფარულმა თანამშრომლობამ ამერიკელ ჟურნალისტებთან უოტერგეიტის სკანდალი შვა,** ხოლო 50 წლის შემდეგ **საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილის სოსო გოგაშვილის ფარული თანამშრომლობა ქართველ ნაცჟურნალისტებთან პოლიტიკურად ბერწი და უნაყოფო ჩანს!**

დიახ, ამერიკის გამოძიების ფედერალური ბიუროს უფროსის მოადგილემ **მარკ ფელტმა,** რომელსაც **„ღრმა ხახას“** ეძახდნენ, 50 წლის წინათ **ამერიკის პრეზიდენტი ნიქსონი** და მისი ხელისუფლება გადაყლაპა, მაგრამ საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე **სოსო გოგაშვილს ექნება კი ისეთი „ღრმა ხახა“,** რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება გადაყლაპოს?

**უოტერგეიტის სკანდალიდან 50 წლისთავზე ეს კითხვა პასუხის მოლოდინშია!**

## ბოლოთქმა

**50 წლის წინათ — 1972 წელს** — ამერიკაში **უოტერგეიტის სკანდალის** დაწყებიდან ცოტა ხნით ადრე, საქართველოშიც მოხდა საეტაპო მნიშვნელობის მოვლენა, რომელმაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ბედი მომდევნო 50 წლის განმავლობაში.

საუბარია **1972 წლის 22 თებერვალს მიღებულ და 1972 წლის 7 მარტს გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ დოკუმენტზე,** რომელსაც ძალიან გრძელი და ენის გასატეხი სახელწოდება ჰქონდა — **„სკკპ 24-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“.** ეს დოკუმენტი, რომელსაც შემოკლებით და გამარტივებულად მოიხსენიებენ, როგორც **„პოსტანოვლენიე პო ტბილისკომუ გორკომუ“** ან კიდევ უფრო ლაკონიურად — **„პოსტანოვლენიე პო გორკომუ“,** მიჩნეულია ერთგვარ პოლიტიკურ შეთქმულებად **ვასილ მჟავანაძის წინააღმდეგ** და **ტრამპლინად შევარდნაძის თავბრუდამხვევი პოლიტიკური კარიერისათვის.**

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, **50 წლის წინათ,** ამერიკაში **უოტერგეიტის სკანდალის** დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე და თბილისში **„პოსტანოვლენიე პო გორკომუს“** გამოცემიდან რამდენიმე თვის შემდეგ საქართველოში კეთილი კაცის — **ვასილ მჟავანაძის მმართველობა** დამთავრდა და დაიწყო ბოროტი კაცის — **ედუარდ შევარდნაძის მმართველობა,** რომელიც, თუ კარგად დავაკვირდებით და განვსჯით, **დღემდე გრძელდება!**



„სისხლიანი პარასკევი“ ბელფასტში



КОМУНИСТИ —

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

7 მარტი სამშაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 56 (15269)

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ

## ბოლოთქმის ბოლოთქმა

**50 წლის წინათ, 1972 წლის 21 ივლისს,** ირლანდიის რესპუბლიკური არმიის ნაციონალისტურმა დაჯგუფებებმა **ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქ ბელფასტში სისხლიანი ტერაქტების სერია მოაწყვეს.** ქალაქის სხვადასხვა რაიონში 80 წუთის განმავლობაში 20 აფეთქება მოხდა, რასაც დიდი ნგრევა მოჰყვა და 10 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ეს მოვლენა ისტორიაში **„სისხლიანი პარასკევის“** სახელით დარჩა და ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ეპიზოდია ისედაც სასტიკი კონფლიქტისა, რომელიც დიდი ბრიტანეთისაგან ჩრდილოეთ ირლანდიის გამოყოფის მოტივით დაიწყო და მთელი 40 წლის განმავლობაში გრძელდებოდა.

**პოლიტიკური კატაკლიზმები, თავისი სასტიკი და სისხლიანი ეპიზოდებით, მსოფლიოში დღესაც — 50 წლის შემდეგაც გრძელდება!**

**50 წლის წინათ მომხდარი სამი მოვლენა – უოტერგეიტის სკანდალი ამერიკაში, „პოსტანოვლენიე პო გორკომუ“ საქართველოში და „სისხლიანი პარასკევი“ ჩრდილოეთ ირლანდიაში მუდამ შეგვახსენებს, რომ ბოროტებას არ სძინავს მაშინაც კი, როცა სიკეთემ შეიძლება, თვალი თუნდაც წამიერად მილულოს!**

*ჯაბა ხუბუა*

# შაჰ აივაზოვი:
# ომი შავ-თეთრია,
## „სოხუმიდან გაგრაში ფრენისას შევარდნაძემ ფანჯრიდან გადაიხედა, მოტრიალდა და მითხრა – შაჰ, გადაიღე, შეიძლება, ეს ბოლო კადრიაო!“

***30 წელზე მეტია, რაც თბილისელი ფოტოჟურნალისტი შაჰ აივაზოვი ამერიკული საინფორმაციო სააგენტოს „ასოშეიტედ პრესის“ ამიერკავკასიის ბიუროს საკუთარ კორესპონდენტად მუშაობს. ავღანეთიდან დაწყებული, გადაღებები აწარმოა შვიდ ომში, ექსტრემალურ პირობებში ფირზე აღბეჭდა როგორც პრეზიდენტების, ასევე უბრალო მოქალაქეების სახეები. მისი ბევრი ნამუშევარი ლონდონის არქივში ინახება და მრავალმნიშვნელოვნად გვაფრთხილებს: „მემენტო მორი!“***





**— ბატონო შაჰ, რუსეთ-უკრაინის ომის ამსახველი ფოტოები არ გადაგიღიათ?**

— ჩვენი სააგენტოდან ფოტორეპორტიორები უკრაინაში მუშაობენ, ისინი პოლონეთიდან ახერხებენ შესვლას, ამიტომ ჩემი იქ გამგზავრება აუცილებელი აღარ იყო.

**— ომის ფოტოჟურნალისტს გიწოდებენ...**

— ომის თემაზე პირველად გასული საუკუნის 80-იან წლებში ავღანეთში ვიმუშავე. ტაჯიკეთიდან ჩავედით, რუსული ჯარის ცხოვრება უნდა გადამეღო. მახსოვს, სანამ ჩემს საქმეს დავიწყებდი, სადილზე წამიყვანეს. თავიდან სუფრაზე ნახშირიანი ჭიქები მოიტანეს, წყალი დაასხეს, ნახშირი გახსნეს და დალიეს. რა თქმა უნდა, მეც დავლიე. ეს იყო ორგანიზმის გაწმენდის ერთგვარი საშუალება. შემდეგ მოიტანეს სითხით სავსე სამლიტრიანი ქილა, რომელშიც ჩემთვის უცხო სამი თეთრი ნაყოფი იყო მოთავსებული. კომპოტი მეგონა, მაგრამ მითხრეს — არაყია, შიგნით კი ხახვის თავები ყრია, ავღანელები ტყვიით რომ ვერ გვჯობნიან, არყით გვწამლავენ, ამიტომ არაყში ხახვს ვათავსებთ და თუ გაშავდა, ესე იგი, მასში საწამლავია, თუ არადა, დალევა შეიძლებაო. მას შემდეგ შვიდი ომი გამოვიარე, ვიყავი აფხაზეთში, სამაჩაბლოში, ყარაბაღში, 9 თვე ჩეჩნეთში. სახლში 2-3 თვეში ერთხელ ჩამოვდიოდი. ამას გარდა, ვიღებდი მიტინგებს საქართველოშიც, აზერბაიჯანშიც. სომხეთში არ მიშვებდნენ, რადგან იქ სხვა ფოტორეპორტიორი მუშაობდა.

**— ომში, ძირითადად, რისი გათვალისწინება გიწევდათ?**

— ინსტრუქტაჟს უნდა მიჰყვე, არ უნდა გეცვას ჯარისკაცის ფორმის მსგავსი ტანსაცმელი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ გაგარჩევენ, სნაიპერი ხარ თუ ფოტორეპორტიორი. პრესცენტრში უნდა მიხვიდე და დააფიქსირო, რომელი სააგენტოდან ხარ, ეს აუცილებელია. თუკი სადმე წერია, რომ ობიექტი დანაღმულია, არ უნდა შეხვიდე, თორემ შეიძლება, ტრაგედია მოხდეს. მახსოვს — ჩეჩნეთში შენობის ერთ მხარეს ეწერა, დანაღმულიაო, მეორე მხრიდან კი წარწერა არ იყო და მეც ამ მხრიდან შევედი თუ არა, რუპორით გამაფრთხილეს — მთლიანი შენობა დანაღმულია და უკან გამობრუნდიო. კიდევ კარგი, ზედა სართულზე არ ავედი, თორემ ვერ გადავრჩებოდი. ტანსაცმლის გულის ჯიბეში ყოველთვის მქონდა ჩემი ოჯახის ფოტო, როცა მიჭირდა, დავხედავდი და ძალა მეძლეოდა — აკი სახლში ცოლ-შვილი მელოდებოდა და აუცილებლად ცოცხალი უნდა ჩამოვსულიყავი.

**— აფხაზეთის ომში ედუარდ შევარდნაძეს ახლდით...**

— ედუარდ შევარდნაძე სოხუმიდან გაგრაში უნდა გაფრენილიყო. უთხრეს — ახლა აფრენა არ შეიძლებაო, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია, თვითმფრინავის ტრაპთან მივიდა და თქვა — ვისაც უნდა, ამოვიდესო. საერთოდ, არაფრის ეშინოდა, სახეზე შიში არასოდეს ეტყობოდა. ავედით. ფრენის დროს შევარდნაძეს ფანჯრიდან ყურება უყვარდა, მაშინაც გადაიხედა, მერე მოტრიალდა და მითხრა — **შაჰ, გადაიღე, შეიძლება, ეს ბოლო კადრიაო. გადავიღე და ეს ფოტო ისტორიაში დარჩა.**



ფრენა ყველაზე საშიში მაშინ მეჩვენა, როდესაც პილოტმა თქვა — ბორტზე 100 კაცზე მეტი არ ამოვიდესო და ხალხი მაინც ლამობდა ამოსვლას. ის კი არა, ჯერ თვითმფრინავი არც კი ჩანდა აეროპორტში, მაგრამ ისინი უკვე ტრაპზე იდგნენ. როცა ავფრინდით, ჩემი ყურით გავიგონე პილოტის ნათქვამი — ჰაერში კი ავედით, მაგრამ როგორ დავეშვებითო?!

სოხუმში გადავიღე ომით გაუბედურებული ადამიანები, ერთ ჰოსპიტალში შევედი, ქალი ტიროდა, ქმარი მომიკლესო. იქვე, დერეფნის სიღრმეში საკაცეზე მამაკაცი იწვა — ამ ქალის ქმარი აღმოჩნდა, ამოძრავდა, ესე იგი, ცოცხალი იყო. ქალმა სიხარულისგან ხელი შუბლზე იტკიცა და ეს კადრი გადავიღე. ყველას მოტირალი ქალი ეგონა, არადა, გახარებულმა სწორედ იმ წამებში გაიგო, რომ ქმარი ცოცხალი ჰყავდა. გადავიღე ჩეჩენი ქალბატონი, რომელსაც ჯარისკაცმა, ჯერ კიდევ 9 თვის ორსულს, მუცელი გაუჭრა, ბავშვი ამოკვეთა, გადააგდო და უთხრა — ეს არ უნდა დაიბადოსო!



„გადავიღე ჩეჩენი ქალბატონი, რომელსაც...“

სოხუმის აეროპორტი, თვითმფრინავის მოლოდინში



ომი საშინელებაა, იქ არ არსებობს გამარჯვებული და დამარცხებული, ხალხი იღუპება, სახლ-კარს ტოვებს და ლტოლვილი ხდება. ვისაც ომში შვილი ეღუპება, ის უკვე აღარ ფიქრობს, რომელმა მხარემ გაიმარჯვა. **ახლა რომ ამბობენ, ომში ჩავებათ, ბრძოლა რატომ არ გინდათო, ვისი შვილების იმედად უნდათ ომი?!** გვანახონ, რომ მათი შვილები ფრონტის წინა ხაზზე დგანან. ერთხელ მაინც ავიდნენ მუხათგვერდის სასაფლაოზე, იხილონ, რა დღეში არიან ის მშობლები, ვისაც 2008 წელს შვილი ომში დაეღუპათ...

**— პრეზიდენტებს იღებდით...**

— დიახ, ვიღებდი. შეხვედრებზე შევარდნაძეს ვერ შეატყობდი ემოციას. იშვიათად, რომ ან ხელი აეწია, ან რაიმე



„კარგად მახსოვს, კანცელარიასთან მიტინგის დროს ზვიადმა ფანჯრიდან რომ გადმოიხედა და ფოტო გადავუღე!“

ემოქმედა. **ზვიად გამსახურდიასთან** დაცვა ახლოს არ გვიშვებდა, თუმცა, მისი არაერთი ფოტო მაქვს გადაღებული. კარგად მახსოვს, კანცელარიასთან მიტინგის დროს ზვიადმა ფანჯრიდან რომ გადმოიხედა და ფოტო გადავუღე.

ყველაზე ადვილი გადასაღები იყო **მიხეილ სააკაშვილი,** საუბრის დროს ხელებს იშველიებდა, მოძრაობდა, ემოცია ეტყობოდა. დამთავრდებოდა თუ არა შეხვედრა, ხელებს ჩამოუშვებდა. **გიორგი მარგველაშვილიც** იძლეოდა საშუალებას, ნაყოფიერად გემუშავა. მახსოვს, დუშეთში მივედი გადასაღებად, გადმოიღო ხერხი, შრომის იარაღები და საოჯახო ვითარებაში გადავიღე.

**— 2008 წელს ომის დროს სააკაშვილი გორში თუ გყავთ გადაღებული?**

— არა, იმ დროს იქ არ ვიყავი...

**— თქვენი ფოტოების უმრავლესობა შავ-თეთრია...**

— დიახ, ომი შავ-თეთრია, ფერადი ვერ იქნება! მახსოვს, როდესაც გამოფენა უნდა მომეწყო, წინა დღეს სოხუმიდან ლტოლვილი ქალბატონი მოვიდა, იტირა და მითხრა: თქვენს ფოტოებში ჩემი ქალაქის ქუჩები ვნახე, ვინც ამ ფოტოებთან დადგება და იტირებს, ეს ომი მხოლოდ იმათ სტკივათო...

**— ეს ყველაფერი, ალბათ, მხოლოდ მოსაყოლად არის ადვილი...**



# ფერადი ვერ იქნება!





„სწორედ იმ წამებში გაიგო, რომ ქმარი ცოცხალი ჰყავდა...“

— ომმა მიჩვევა იცის, თავიდან ძნელია, მერე პროფესიული ინტერესი გიჩნდება, მნიშვნელოვანი და საინტერესო კადრი გადაიღო. მახსოვს, რა საშინელი ემოცია დამეუფლა რამდენიმე რიგად გაჭრილი საფლავებისა და შიგ ჩასვენებული უამრავი მიცვალებულის დანახვაზე. მაგრამ, როგორც კი ხელში აპარატი ავიღე, ის ემოცია სადღაც გაქრა და ვცდილობდი, ეს შემზარავი სინამდვილე ფირზე აღმებეჭდა. ომი საშინელებაა და ადამიანის კვლას გამართლება არა აქვს. სხვათაშორის, ომს თავისი იუმორიც ახლავს, ერთი ქალბატონი გადავიღე, ირგვლივ ბომბები ცვიოდა, ტანკები მოძრაობდნენ, ის კი იჯდა და სიგარეტს ყიდდა.

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***





„ომს თავისი იუმორიც ახლავს...“





# კახა საბახტარიშვილი: ყველა ადამიანს, რომელსაც ინსულტი ემუქრება, ყოველთვის თან უნდა ჰქონდეს გლიცინი!



## ფარული და უჩვეულო ნიშნები, რომელთა მეშვეობითაც საშიშ დაავადებათა წინასწარმეტყველება შესაძლებელია

***ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი იმ ფარული სიმპტომების შესახებ გვესაუბრება, რომლითაც არაერთი საშიში პათოლოგიის პროგნოზირებაა შესაძლებელი. მეცნიერი მიიჩნევს, რომ წინასწარ ზოგიერთი სახის სიმსივნეც კი შესაძლოა, გამოვიცნოთ:***

— არცერთი დაავადება უეცრად და მყისიერად არ წარმოიშობა. ყველა პათოლოგიას თავისი ფარული და უჩვეულო ნიშნები გააჩნია და თუ ადამიანს ამ ნიშნების შესახებ კომპეტენტური ცოდნა აქვს, მაშინ ის ადვილად მოახერხებს უამრავი საშიში დაავადების თავიდან აცილებას. აღიარებული ფაქტია, რომ მსოფლიოში ადამიანების სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი პროცენტი გულ-სისხლძარღვთა დაავადებებზე მოდის. ინსულტითა თუ ინფარქტით დედამიწაზე ყოველწლიურად ათეული მილიონობით ადამიანი იღუპება. არადა, **ელემენტარული დაკვირვებაა საჭირო იმისათვის, რათა ინსულტი და ინფარქტი თავიდან ავიცილოთ.** გავრცელებულია მითი, თითქოს ინსულტი ძირითადად მამაკაცებს ემართებათ. არადა, სტატისტიკა აჩვენებს, რომ თვრამეტიდან ორმოცდახუთ წლამდე ადამიანებში ინსულტიანთა შორის ქალები მამაკაცებს ბევრად სჭარბობენ!

**— ბატონო კახა, რა არის ამის მიზეზი?**

— ამის მიზეზია **ორსულობა, ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენება, კლიმაქსის საწინააღმდეგო ჰორმონალური საშუალებები და, საერთოდ, თვრამეტიდან ორმოცდახუთ წლამდე ქალის ორგანიზმში მიმდინარე ჰორმონალური ცვლილებები,** რაც ინსულტის განვითარების რისკს მნიშვნელოვნად ზრდის!

**— როგორ უნდა მიხვდეს ადამიანი, რომ მას ინსულტი ეწყება?**

**– თუ ადამიანს მოულოდნელად განუვითარდა მარცხენა თუ მარჯვენა ფეხის ან ხელის სისუსტე, მარცხენა ან მარჯვენა ხელის უეცარი დაბუჟება, ტუჩის არეში დაბუჟება, თავბრუხვევა მწოლიარე მდგომარეობაში, რომელიც სიარულის დროს კიდევ უფრო ძლიერდება, ეს**

### უკვე განგაშის საფუძველია!

შეგვიძლია, ჩავატაროთ ძალიან მარტივი ტესტი — **ასეთ ადამიანს ვთხოვოთ, რომ გაიღიმოს!** თუ ტუჩის ერთ-ერთი მხარის კუნთები გაღიმებისას ჩვეულებრივად შეიკუმშება, ხოლო მეორე ნახევარი თითქმის უმოძრაოდ იქნება, ეს უკვე ინსულტის დასაწყისია.

**საინტერესოა მეორე ტესტიც** — ასეთ ადამიანს ვთხოვოთ ორივე ხელი ერთდროულად ასწიოს და ჰორიზონტალურად გააჩეროს, ერთ-ერთი ხელი აუცილებლად დაბლა იქნება დაშვებული. როგორც კი ამ ნიშნებს დავაფიქსირებთ, პაციენტი მაშინვე უნდა წამოვაწვინოთ და სასწრაფო დახმარება გამოვიძახოთ! **სასწრაფო დახმარების მოსვლამდე პაციენტს კეფაზე დავადოთ ყინულიანი პარკი, ხოლო ფეხები დავუზილოთ მცენარეული ზეთისა და სპირტის ნაზავით, პროპორციით ორი ერთთან.** ძალზე კარგი იქნება, თუ ავადმყოფს ამ დროს ფეხებს თბილ წყალშიც ჩავაყოფინებთ.

**ასეთ დროს ენის ქვეშ ნიტროგლიცერინის ამოღება კატეგორიულად დაუშვებელია, რასაც ზოგიერთი ჩემი კოლეგა პაციენტს ურჩევს. ნიტროგლიცერინმა ადამიანი სტენოკარდიული შეტევის დროს შესაძლოა, სიკვდილისგან იხსნას, მაგრამ ინსულტის დროს მისი გამოყენება შეიძლება ფატალური აღმოჩნდეს!**

ჩემი რჩევაა: ყველა ადამიანს, რომელსაც ინსულტი ემუქრება, ყოველთვის თან უნდა ჰქონდეს **გლიცინი,** რომელიც თავის ტვინში სისხლის მიმოქცევას მკვეთრად აუმჯობესებს. **ინსულტის წინარე სიტუაციის დროს ექიმის მოსვლამდე პაციენტს ენის ქვეშ ათი აბი გლიცინი უნდა ამოვუდოთ!**



## „ხელისგულების სიწითლე იმის ნიშანია, რომ ღვიძლში რაღაც პრობლემებია!“

## „მამაკაცებში მკერდის გაზრდას ხშირად ღვიძლის პათოლოგიები იწვევს!“



## „ტერფზე უმტკივნეულო ნახეთქები იმის ნიშანია, რომ ადამიანს შესაძლოა, დიაბეტი ჰქონდეს!“

**— რა სიმპტომებით ხასიათდება ინფარქტის წინარე სიტუაცია?**

— ყოველ მესამე ადამიანს, ვისაც ინფარქტი განუვითარდა, რამდენიმე დღით ადრე აღენიშნება **მკერდის არეში ძლიერი მოჭერითი ტკივილი, რომელიც ხშირად მარცხენა ხელის ნეკა თითისკენ ვრცელდება.** ინფარქტის წინარე მდგომარეობის ეს ტიპური ნიშნები ქალებს შესაძლოა, საერთოდ არ გამოუვლინდეთ! მაგრამ ინფარქტის დადგომამდე მცირე ხნით ადრე მარცხენა ქვედა ყბის მიდამოში, როგორც ქალებს, ისე კაცებს, შესაძლოა, დაეწყოთ ძლიერი ტკივილი, თითქოს ყველა კბილი ერთდროულად ასტკივდათ. ამის გამო პაციენტი შესაძლოა, სტომატოლოგთანაც კი წავიდეს და წარმოდგენა არ ჰქონდეს, თუ რა საფრთხის ქვეშ იმყოფება.

**ინფარქტის წინარე სიტუაციას ახასიათებს კიდევ ერთი უჩვეულო ნიშანი** — ადამიანი ფიზიკური დატვირთვის შემდეგ მუცლის ზედა ნაწილში, გულმკერდის არეში, გრძნობს ტკივილს. ასეთ დროს ხშირად ჰგონიათ, რომ ეს ყველაფერი დაკავშირებულია კუჭ-ნაწლავის პრობლემებთან, არადა, საქმე გვაქვს სტენოკარდიის უჩვეულო ფორმასთან. ამიტომ ადამიანმა ასეთ დროს, პირველ რიგში, კარდიოლოგს უნდა მიაკითხოს, რათა ინფარქტი გამოირიცხოს!

**— რას გვეუბნება ნახეთქები ტუჩის კუთხეებსა და ფეხისგულზე?**

— ნახეთქები ტუჩის კუთხეებში რკინისა და B12 ვიტამინების ნაკლებობის შედეგია. ეს თავისთავად დაბალი ჰემოგლობინის მაჩვენებელიც გახლავთ. ამ ნახეთქებში ხშირად ბაქტერიული ინფექცია ან სოკო იბუდებს და ანტიბაქტერიული და სოკოს საწინააღმდეგო მალამოები მხოლოდ დროებით შედეგს იძლევა. **რაც შეეხება ნახეთქებს ფეხისგულზე, ტერფზე უმტკივნეულო ნახეთქები იმის ნიშანია, რომ ადამიანს შესაძლოა, დიაბეტი ჰქონდეს!** შაქარი აზიანებს მცირე სისხლძარღვებს, კანის უჯრედები ვერ იკვებება, უხეშდება და სკდება. ამავდროულად შაქარი აზიანებს ნერვულ დაბოლოებებს, რის გამოც ტკი-

## კვირგვინოსნები

**ზურაბ აზარაშვილი**
*ჯანდაცვის მინისტრი*



რამდენიმე წლის შემდეგ **კლინიკებს საერთაშორისო სტანდარტის დაკმაყოფილებას,** აკრედიტაციის გავლას მოვთხოვთ.

„რეზონანსი“

**თამარ გაბუნია**
*ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე*



**„ომიკრონის“** შემთხვევების **დიდი ნაწილი არის მსუბუქი** და არ საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას.

„რეზონანსი“

**გიორგი ფხაკაძე**
*საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპერტი*



**„ომიკრონ ბ5“**-ის ვარიანტი არის **ყველაზე სწრაფი ვირუსი** კორონავირუსის დანარჩენ ვარიანტებთან შედარებით. **თქვენ ყველას დაგემართებათ ეს ვერაგი ვირუსი.**

„რეზონანსი“

**ნატალია ჩხეიძე**
*„მასტერშეფის“ მონაწილე, დიზაინერი*



**30 კილო მოვიმატე** კოვიდის შემდეგ. ისე გამირთულდა, ლამის მოვკვდი და გადასხმები მიკეთეს ვიტამინებით და ანტიჰისტამინური პრეპარატებით. მერე **10 კილო დავიკელი და 20 ისევ დასაკლები მაქვს.**

„სარკე“

**დათო ლიქოკელი**
*ქუთაისელი ჟურნალისტი*



**მეუღლე ჩემი ცხოვრების მთავარი სიურპრიზია.**

„სარკე“

**ბაია პაპარაია**
*ქალთა უფლებადამცველი*



ჩვენს კულტურაში **ქალის მთავარი ღირსება და მოვალეობა უსექსობაა,** ამას პატიოსნებას ეძახიან.

„ალია“



# „საუკუნეების განმავლობაში არ არსებობდა ერთიანი აზრი, ტუტანჰამონი კაცი იყო თუ ქალი. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ ტუტანჰამონს გინეკომასტია სჭირდა და ლამის ქალის მკერდი ჰქონდა!“

ვილი გამოხატული არ არის, მაგრამ ვითარდება **დიაბეტური ნეიროპათია,** რაც ტერფზე მგრძნობელობის სრულ დაკარგვას ნიშნავს. ტერფზე წარმოქმნილ ნახეთქებში შესაძლოა, ინფექცია შეიჭრას და განგრენაც კი განვითარდეს! ამიტომ ჩემი რჩევაა: **როგორც კი ფეხის ტერფზე უმტკივნეულო ნახეთქები გაგიჩნდებათ, სასწრაფოდ მიაკითხეთ ენდოკრინოლოგს!** დიდი ინფორმაციის მატარებელია მამაკაცებში გინეკომასტიის ნიშნები!

**— ეს რა პროცესია?**

— საერთოდ, მამაკაცებს **სამკერდე ჯირკვლები** ქალებთან შედარებით განუვითარებელი აქვთ, თუმცა, არსებობს მამაკაცების ისეთი კატეგორია, რომელთაც სამკერდე ჯირკვლები ლამის ქალის ძუძუებს უგავთ. სწორედ ამას ეწოდება **გინეკომასტია.** მოგეხსენებათ, **ფარაონი ტუტანჰამონი** თვრამეტი წლისა მოკვდა. საუკუნეების განმავლობაში არ არსებობდა ერთიანი აზრი, ტუტანჰამონი კაცი იყო თუ ქალი. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ ტუტანჰამონს გინეკომასტია სჭირდა და ლამის ქალის მკერდი ჰქონდა. ეს დაავადება მან მამისგან მემკვიდრეობით მიიღო. საქმე ის გახლავთ, რომ **ტუტანჰამონს მამაკაცური ჰორმონი ტესტოსტერონი ფერმენტ არმატაზას ზეგავლენით გადადიოდა ქალის ჰორმონ ესტროდიოლში.**

სწორედ ეს იწვევდა მკერდის გაზრდას. მამაკაცებში მკერდის გაზრდას ხშირად ღვიძლის პათოლოგიები იწვევს. საქმე ის გახლავთ, რომ ღვიძლის პათოლოგიების შედეგად მამაკაცის ორგანიზმში გროვდება ქალის ჰორმონები. ამიტომ გინეკომასტიის დროს, პირველ რიგში, ღვიძლი უნდა გამოვიკვლიოთ! თუმცა, ისიც ვიცოდეთ, რომ **გინეკომასტია სათესლე ჯირკვლის ან თავის ტვინის ჰიპოფიზის სიმსივნეების ნაადრევი გამოვლინების ნიშანიც შეიძლება იყოს!**

საერთოდ, ღვიძლში ნერვული დაბოლოებები არ არსებობს, ამიტომ ღვიძლი ყველაზე ჩუმი ორგანოა — შესაძლოა, დაზიანებული იყოს და არ გვტკიოდეს! ღვიძლი გვტკივა მხოლოდ მაშინ, როცა ის ზომაში დიდდება და მისი კაფსულა იჭიმება. **თუ ადამიანს სხეულზე ხშირად უჩნდება სისხლჩაქცევები, პირველ რიგში, ღვიძლი უნდა გამოიკვლიოს!** ღვიძლში გამომუშავებული ცილები ხელს უშლიან სისხლის შედედებას და თუ ღვიძლის ფუნქციები დარღვეულია, სისხლი თავისთავად ვერ დედდება და ამიტომაც ჩნდება სისხლჩაქცევები. ხელისგულების სიწითლე იმის ნიშანია, რომ ღვიძლში რაღაც პრობლემებია!

**— შესაძლებელია თუ არა სიმსივნის ნაადრევი გამოცნობა?**

— შესაძლებელია! მაგალითად,

## თუ ადამიანს კისრის მიდამოში ან იღლიაში კანის უჩვეულო გამუქება აღენიშნა, ნუ

## ვიფიქრებთ, რომ ეს, უბრალოდ, მზის რუჯია. სასწრაფოდ ჩასატარებელია გასტროფიბროსკოპია, რათა კუჭის სიმსივნე გამოირიცხოს!

ასევე, თუ **ადამიანს მუდმივად აღენიშნება მუცლის შებერვა, გამოსაკვლევია მსხვილი ნაწლავი, რათა სიმსივნე არ გამოგვეპაროს!** საქმე ის გახლავთ, რომ მსხვილი ნაწლავის კიბოს დროს სანათურა ვიწროვდება, საჭმლის მასები ყოვნდება, ლპობას განიცდის და ლპობის შედეგად დიდი რაოდენობით გაზები წარმოიქმნება.

ასევე საყურადღებოა მხრის არეში მუდმივი ტკივილი, რომელიც ფილტვის ზედა ნაწილის სიმსივნის მაჩვენებელი შეიძლება იყოს! ასეთ დროს სანამ რევმატოლოგს მივაკითხავდეთ, სჯობს, ფილტვები გამოვიკვლიოთ!

ზოგ ახალგაზრდა ქალს ზედა ტუჩზე აღენიშნება მცირე ულვაში. ეს იმას ნიშნავს, რომ მასში მამაკაცური ჰორმონების რაოდენობა ჭარბია, რის გამოც შესაძლოა, **საკვერცხის პოლიკისტოზი** განუვითარდეს, რაც ხშირად უშვილობის მიზეზია. ამის თავიდან ასაცილებლად დროული მკურნალობა აუცილებელია. ცნობისათვის, ჰომეოპათიაში პოლიკისტოზს უკვე სამასი წელიწადია, ფუტკრის შხამისგან დამზადებული პრეპარატ **„აპისით“** მკურნალობენ. ამ პრეპარატის საშუალებით არაერთი ქალბატონი პოლიკისტოზისგან განმიკურნავს და უშვილობისგან გადამირჩენია!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***



# „ნახეთქები ტუჩის კუთხეებში რკინისა და B 12 ვიტამინების ნაკლებობის შედეგია!“



თარაზულად: 3. ქართული ხალხური სიმებიანი საკრავი; 9. დაბალი ხარისხის კონიაკი; 10. ყაზახეთის ფულის ერთეული; 11. უმაღლესი ნეტარება ბუდიზმში; 12. კათოლიკე მღვდელი პოლონეთში; 13. რეჟისორი ფილმისა „ერთხელ ამერიკაში“; 14. კლავიშებიან საკრავთა საერთო სახელწოდება; 15. დიდი ველი წითელწყაროს რაიონში; 18. მწარე გოგრა; 20. წყლის „სანიტარი“ მოლუსკი; 23. ობობასნაირი შხამიანი ცხოველი; 24. ოფიცრის წოდებულება არმიაში; 26. ქვევრის მოყვანილობის დიდი ქილა; 27. მიდამო, მახლობელი ადგილები; 28. ცისკრის ვარსკვლავი (ძვ.); 29. წრეხაზის ნაწილი; 30. იაპონელი მწერალი; 34. სიარულის უნარის დაკარგვა; 38. შიშველი სხეულის გამოსახულება ხელოვნებაში; 40. დიდი მახრჩობელა გველი; 41. ახლად გაწვეული ჯარისკაცი; 42. ფრანგ მეფეთა სახელი; 43. მუსიკის დიდი მოყვარული; 47. ქვეყნის ნაწილი; 52. თავდები; 53. მაგნიტი; 54. იტალიური ტელეკომპანია; 55. გეოდეზიური იარაღის ნაწილი; 56. ნორმიდან გადახრა.

შვეულად: 1. სააუქციონო სახლი ლონდონში; 2. ბიბლიური წინასწარმეტყველი; 3. ინდის ხურმა; 4. დადგენილი ნიმუშის დეტალი; 5. მხედრის დასაჯდომი მოწყობილობა ცხენის ზურგზე; 6. ევროპის სახელმწიფო; 7. ქვანახშირის შემადგენელი ორგანული ნაერთი; 8. ჰიპოპოტამი; 15. ვაშლის ჯიში; 16. დედამიწის ზედაპირის სხვადასხვა უსწორმასწორობის ერთობლიობა; 17. უძრავ წერტილზე დაკიდებული და მოქანავე ღერო; 19. მდინარე დას. საქართველოში; 20. პორტუგალიური ღვინო; 21. ხის ავეჯის მკეთებელი ხელოსანი; 22. მიმიკის მოშლა; 25. რუსული ფულის ერთეული; 31. ქართული რძის პროდუქტების ფირმა; 32. შოკოლადის ხე; 33. ბულგარელი ნათელმხილველი; 35. შალის „კულულებიანი“ ქსოვილი; 36. სამხრეთი; 37. მწარე საწებელი; 38. ცხენის ფლოქვზე დასაკრავი ფირფიტა; 39. ებრაელების ბიბლიური სახელი; 43. ვულკანური მასა; 44. გადამდნარი ღორის ქონი; 45. ძლიერი მიდრეკილება რაიმესადმი; 46. ნიგერიის ფულის ერთეული; 48. სპორტული კომპლექსი ყაზახეთში; 49. სცენის გასანათებელი მოწყობილობა; 50. ბოსტნეული მცენარე; 51. უფროსი პლეადა, ჰერმესის დედა (მით.).




# მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე.

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.
574-73-46-96, 243-01-17
555-68-82-90


## კვირგვინოსნები

**კირა ანდრონიკაშვილი**
*მსახიობი*



ძალიან მიყვარს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხე, კახეთზე ხომ ვგიჟდები და არანაკლებად ძვირფასია სხვა კუთხეებიც... არ ვამბობ, რომ ჩვენი ქვეყანა ვინმეს ჩავაბაროთ, პირიქით, ყველა გოჯს უნდა გავუფრთხილდეთ, თუმცა, **აფხაზეთში ჩვენი მხრიდან ყველაფერი იმპულსურად იყო გადაწყვეტილი ისევე, როგორც 2008 წელს სამაჩაბლოში.** როგორც **ჭაბუა ამირეჯიბმა** თქვა, ჩვენ ობოლი ერი ვართ. ძალიან ძნელია, ასეთ გარემოცვაში თავი გადაირჩინო, მაგრამ **ღვთისმშობლის მადლით ჩვენ მაინც ვარსებობთ.**

„კვირის პალიტრა“

**სალომე გოგიაშვილი**
*ტელეწამყვანი*



ხშირად, როცა ქუჩაში უცხო ადამიანს ვხედავ, ზუსტად ვხვდები, **რა სტკივა და რა პრობლემა აქვს,** თუმცა, ვერ მივალ, ვერ ვეტაკები და ვერ მივახლი. ჯადოქარი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ **მაქვს ხილვები** და ის ყოველთვის მართლდება.

„თბილისელები“

**თეონა ცირამუა**
*დირიჟორი, გორის ქალთა კამერული გუნდის ხელმძღვანელი*



სკოლაში ერთ გოგოს ბიჭმა ფეხი დაუდო და კიბეებზე დააგორა. გადავირიე, ეს რომ დავინახე, ავაყენე ეს გოგო და ვუთხარი: **გაყურებინებ ამ ბიჭის სეირს-მეთქი.** გამოვიყვანე და მის თვალწინ ისე ვცემე, სულ გავუერთიანე ცხვირ-პირი.

„თბილისელები“

**გელა პატიაშვილი**
*მხატვარი*



გამონათქვამიც არსებობს: **რაც უფრო მეტად ვიცნობ ადამიანებს, უფრო მეტად მიყვარს ძაღლები.** ეს სიტყვები ხშირ შემთხვევაში სიმართლეს შეესაბამება.

„თბილისელები“



# მიხეილ ცაგარელი:
# რეტროგრადული სატურნის გაკვეთილები

***— რეტროგრადული, ანუ უკუსვლით მოძრავი სატურნი რის შესაძლებლობას იძლევა, საითკენ მოგვიწოდებს, რას გვაიძულებს, რაში გვეხმარება ან რა შემთხვევაში გვსჯის? მისი ამჟამინდელი ტრანზიტების გათვალისწინებით, აგვისტოს რომელი მონაკვეთი იქნება საყურადღებო და რატომ? ვის შეეხება ყველაზე მეტად? სატურნი, როგორც კარმული პლანეტა, რას ითხოვს ანდა რისთვის არის ეს პერიოდი სასიკეთო? ვერძთა უმეტესობისთვის რეტროგრადული სატურნის ზემოქმედება რომელ სფეროებზე აისახება? რას უნდა მიაქციონ მეტი ყურადღება და რა უნდა გაითვალისწინონ, რათა დანაკარგი მინიმუმამდე შეამცირონ და შედეგმაც მოლოდინს გადააჭარბოს? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.***

**— განვაგრძოთ საუბარი დიდი კოსმოსური მასწავლებლის, კარმული პლანეტის — სატურნის მოთხოვნების შესახებ, მისი რეტროგრადული, ანუ უკუსვლით მოძრაობის პერიოდში, რომელიც ამჯერად 23 ოქტომბრამდე გაგრძელდება. ამგვარად, რას ითხოვს იგი ჩვენგან ანდა რის შესაძლებლობას მოგვცემს და რისთვის იქნება კარგი დრო?**

— ჩვეულებრივად, ანუ დირექტიულად მოძრავი სატურნი თავს გვახვევს თავის წესებს, რომელიც აუცილებლად უნდა დავიცვათ. მაგრამ რეტროგრადულობისას შესაძლოა, იძულებული გავხდეთ, საკუთარ თავში მოვიძიოთ ძირითადი ცხოვრებისეული პრინციპები და ახალი წესები გამოვიმუშაოთ, რომელიც ნაკარნახევი იქნება ეთიკით, მორალითა და სულიერებით. **ამ პერიოდში შესაძლებელია ძალიან დიდი და ფასეული ცხოვრებისეული გამოცდილების მიღება, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ გამოცდილებას საკუთარი შეცდომების ხარჯზე ვიღებთ. მას ძალუძს, მოგვაცილოს ყველაფერი უსარგებლო და ფუჭი, რაც გვაზიანებს. სატურნი მოგვიწოდებს, ვიყოთ სამართლიანი, მიზანმიმართული, კანონმორჩილი, გამოვავლინოთ რაციონალურობა, გამძლეობა, მოთმინება, ნებისყოფა, პასუხისმგებლობა.** იგი ცდილობს, შინაგანად გაგვაძლიეროს, სირთულეების გადალახვა, თუნდაც მკაცრი გაკვეთილების დახმარებით, გვასწავლოს. ამავდროულად, შესაძლოა, დახმარება გაგვიწიოს ძალაუფლების მოპოვებაში, თუ ამისათვის მზაობა არსებობს, მაგრამ იმედების გაცრუების შემთხვევაში, შესაძლოა, მკაცრად დაგვსაჯოს.

**— როგორც აღნიშნეთ, რეტროგრადული პლანეტების ზემოქმედებისას გასათვალისწინებელია მათი ტრანზიტებიც. ამ შემთხვევაში მათ რა როლი დაეკისრებათ?**

— **პლანეტა სატურნის** ამჟამინდელი რეტროგრადულობის დროს განსაკუთრებით საყურადღებო იქნება პერიოდი **10-დან 22 აგვისტომდე, როდესაც მზისა და მარსის ზეგავლენით მოიმატებს ადამიანებში სიჯიუტე, სიხისტე, სიმკაცრე, ამბიციურობა, კომპრომისის დაშვება შეუძლებელი გახდება.** სირთულეები ყველაზე მეტად შეეხება ხელმძღვანელ პირებს, ბიზნესმენებს, რომლებიც მართვისას, განცხადებების გაკეთებისას თუ მოქმედებისას, განსაკუთრებით ავტორიტარულები, ქედმაღალნი და უკომპრომისონი იქნებიან. ზედმეტი ემოციურობა და კონფლიქტურობა თავს იჩენს პოლიტიკაში, ეკონომიკაში, პირად და საოჯახო ურთიერთობაში, მშობლებთან თუ მეუღლესთან დამოკიდებულებაში. კონფლიქტები და დაპირისპირება მოსალოდნელია საერთაშორისო არენაზეც. სამყარო ამგვარი კრიზისული მოვლენებით ძლიერ იმპულსს გვაწვდის მთელი რიგი ცვლილებების განსახორციელებლად. მოგეხსენებათ, **სატურნი კარმული პლანეტაა.** ეს, ერთი მხრივ, აქამდე ნამოქმედარის შეჯამებაა, მეორე მხრივ კი, ადგილის გათავისუფლება სრულიად ახალი ურთიერთობებისა და საქმიანობისთვის, წინსვლისა და კეთილდღეობისთვის, პირადი და საზოგადოებრივი განვითარებისთვის. **ეს პერიოდი ასევე კარგია კერპებისა და ილუზიებისგან გასათავისუფლებლად, ქველმოქმედებისა და ნებისმიერი სახის დახმარების გასაწევად.** ეს დრო საუკეთესოა ადრე გაწეული შრომის, ძალისხმევის, ქმედებების შედეგის გასააზრებლად და გასამყარებლად, ძველი შეცდომების გამოსასწორებლად, დაპირების შესასრულებლად, ცხოვრებისეული ვალების დასაბრუნებლად.

**— რეტროგრადული სატურნის ზემოქმედება, მისი მოთხოვნები და გაკვეთილები რამდენად იქნება განსხვავებული ანდა რით იქნება განსაზღვრული?**

— რა თქმა უნდა, **რეტროგრადული სატურნი თითოეულ ადამიანზე თავისებურად, ინდივიდუალურად იმოქმედებს. ზოგისთვის — ეს ძალიან რთული პერიოდი იქნება, ზოგისთვის ნაკლებად რთული, ზოგმა კი შესაძლოა, თავი სანაქებოდ იგრძნოს და ცხოვრების სიახლეებით დატკბეს. ეს ყოველივე დამოკიდებულია თითოეულის პირად ჰოროსკოპზე.** თუმცა, ასევე შეგვიძლია, ზოგადად დავახასიათოთ აღნიშნული პერიოდი თითოეული ზოდიაქოს ნიშნის წარმომადგენელთათვის. დავიწყოთ პირველი ნიშნით: **1. ვერძთა უმეტესობისთვის ამ პერიოდში რეტროგრადული სატურნის ზემოქმედება შეეხება ახლობელთა წრეს, სამსახურისა და ბიზნესის სამომავლო გეგმებსა და მიზნებს, მათ დასუსტებასა და კორექტირებას. ვერძის ნიშნით დაბადებულმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს ისეთ სფეროებს, როგორიც არის ინტერნეტი, სოციალური ქსელები, საზოგადოებრივი საქმიანობა, სამეცნიერო და ტექნიკურ პროგრესთან ან კომპიუტერულ ტექნიკასთან დაკავშირებული პროექტები. რაც მთავარია, იმუშაოს და იღვაწოს მშვიდად, აუღელვებლად. სირთულეებისა და წინაღობების წარმოქმნისას ფარ-ხმალს ნუ დაყრის, ურთიერთობები მოიწესრიგოს, გაუგებრობები გაანეიტრალოს, წესები და კანონები დაიცვას, პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღოს და დასახულ გეგმას მიჰყვეს.** ამ შემთხვევაში დანაკარგის რიცხვი მინიმუმამდე შემცირდება. შედეგი კი იმაზე უკეთესი იქნება, ვიდრე ვარაუდობდა.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***



## 25 – 31 ივლისის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)

**უხვი საქმეები დაღლას გამოიწვევს, თუმცა, ამგვარად მატერიალურ მდგომარეობას გაიუმჯობესებთ. ენერგიის მოზღვავება მიზანთან უფრო დაგაახლოვებთ. ეცადეთ, მნიშვნელოვანმა ინფორმაციამ არ გაჟონოს. რაიმე იდეის აკვიატებამ შესაძლოა, მეუღლის ან შეყვარებულის უკმაყოფილება გამოიწვიოს. თუ რჩეულს მეტ დროს დაუთმობთ, სიტუაცია ადვილად გამოსწორდება. მოგზაურობა კი ჯობს, გადადოთ, რათა გაუთვალისწინებელ ხარჯს თავი აარიდოთ.**

**კურო** (21.04-20.05)

**აქტიური გონება დიდი რაოდენობით სამუშაოს შესრულებაში დაგეხმარებათ. კარგი პერიოდია უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმეების შესასრულებლად. ოჯახის წევრებთან და ბავშვებთან დიქტატორულ თვისებებს ნუ გამოავლენთ. შემოსავალიც და ხარჯიც გაიზრდება. მივლინებებისა და საქმიანი შეხვედრების რიცხვიც მოიმატებს. ადამიანების გაცნობისას და ახალი ინფორმაციის მიღებისას ინტუიციას დაეყრდენით.**

**ტყუპი** (21.05-22.06)

**ენერგია და იღბლიანობა იმატებს. საქმიანი და ნათესავური კავშირების მეშვეობით შეძლებთ, საკუთარ თავსა და ოჯახზე სრულფასოვნად იზრუნოთ. შესაძლოა, სასურველი შემოსავლის წყაროც მოიძიოთ. შემოქმედებითი კონტაქტები, ახალი ინფორმაცია და ბავშვები ერთიორად გაგახალისებთ. რომანტიკული ურთიერთობა კი სიხარულს მოგანიჭებთ. ჯანმრთელობასაც ყურადღება მიაქციეთ, რადგან მაღალია გაცივების ალბათობა.**

**კირჩხიბი** (23.06-22.07)

**განწყობა გაგიუმჯობესდებათ, ხიბლი და გამჭრიახობაც იმატებს. მიუხედავად ამისა, სამსახურს პირადი მიზნებისთვის ნუ გამოიყენებთ. ახალი საქმეები, მეთოდები და გეგმები მშვენიერ შემოსავალს გიქადით, ადრინდელი სასიყვარულო შეცდომები თავს შეგახსენებთ, რაც შეყვარებულთან ურთიერთობას დაძაბავს. შორეული ხანმოკლე მოგზაურობა კარგად ჩაივლის და სასიამოვნო მოგონებებს დაგიტოვებთ.**

**ლომი** (23.07-23.08)

**ენერგიულობა და კომუნიკაბელურობა მოგემატებათ. მატერიალურ მდგომარეობასაც გაიუმჯობესებთ და სოციალურ სტატუსსაც აიმაღლებთ. შესაძლოა, გავლენიანი მეგობარი ან სპონსორი გამოჩნდეს, რომელიც გამიზნული პროექტის დაწყებაში დიდ დახმარებას გაგიწევთ. მარტოობაში თავს კომფორტულად იგრძნობთ, მაგრამ ბევრ ადამიანთან ურთიერთობა მოგიწევთ, საიდუმლო სასიყვარულო ურთიერთობის დაწყება გაგახალისებთ და სიცოცხლის ინტერესს შეგმატებთ.**

**ქალწული** (24.08-23.09)

**ენერგია იწყებს დაქვეითებას, ამიტომ ყურადღებით უნდა იმოქმედოთ. გაუაზრებლად ნუ გარისკავთ და დახმარება გაუწიეთ, ვინც ამას ითხოვს. არსებული ფინანსური მდგომარეობა და ოჯახური პრობლემები დაგაფიქრებთ, თუმცა, ამ მხრივ ნათესავები დაგეხმარებიან. შეყვარებულმა შესაძლოა, მოვლენები სხვაგვარად დაგანახოთ. ხელსაყრელი პერიოდია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად. კარგი დროა ასევე დასასვენებლად გამგზავრებისთვის.**

## 25 – 31 ივლისის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)

**თავდაჯერება დაგეხმარებათ მიზნის მიღწევაში, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში და ავტორიტეტის მოპოვებაში. გარშემო მყოფებთან, ახალ გაცნობილებთან და პოტენციურ პარტნიორებთან სანდო ურთიერთობის დამყარება გაგიადვილდებათ. სახლში რემონტის დაწყების შემთხვევაში, ოჯახის წევრები დიდ დახმარებას გაგიწევენ. შეყვარებული თქვენი შემოქმედებით მოხიბლული დარჩება. კარგი დროა დასასვენებლად გამგზავრებისთვისაც.**

**ღრიანკალი** (23.10-22.11)

**ოპტიმისტური განწყობა და ენერგიულობა ნებისმიერ წრეში აქტიურობას გიქადით და პოპულარობას მოგაპოვებინებთ. კარგი დროა თვითრეკლამისთვისაც. სამაგიეროდ, ყოველდღიური საქმის შესრულება დამღლელი იქნება. მეუღლესთან კი ჯობს, პოზიცია დათმოთ, რათა ძალაუფლებისთვის ბრძოლას სიყვარული არ გადააყოლოთ. უცხოელებთან ურთიერთობა ან შეყვარებულთან ერთად მოგზაურობა ახალი შთაბეჭდილებებითა და საქმიანი იდეებით აგავსებთ.**

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)

**ენერგიულობა მოგემატებათ და შეხვედრა-მოლაპარაკებების დროს მეტ სარგებელს მიიღებთ. უცხოელებთან და სხვა ქალაქში მცხოვრებლებთან დამყარებული ურთიერთობა მატერიალურ მდგომარეობას გაგიუმჯობესებთ. ინფორმაციის გაცვლის პროცესიც დადებითად წარიმართება. მეუღლესთან ან შეყვარებულთან მიმართებით ეცადეთ, სიტყვები სწორად შეარჩიოთ, რათა ყველაფრის ახსნამ არ გაგაღიზიანოთ და ჩხუბი არ გამოიწვიოს. შორეულ მოგზაურობას კი მოერიდეთ.**

**თხის რქა** (22.12-19.01)

**კარგი პერიოდია შორეული მოგზაურობისთვის, სწავლისთვის, მიზანდასახული მუშაობისა და კარიერული აღმასვლისთვის. დაღლისას აუცილებლად დაისვენეთ, რათა ძველი დაავადება არ გაგიმწვავდეთ. მატერიალური მდგომარეობა დამოკიდებული იქნება კომუნიკაბელურობასა და კეთილგანწყობაზე. საინტერესო და ორიგინალური ადამიანები თქვენს ყურადღებას მიიქცევენ. შეყვარებული საიმედოობას ერთგულებით დაგიმტკიცებთ და თქვენს თავს არავის დააჩაგვრინებს.**

**მერწყული** (20.01-18.02)

**ენერგიული და შრომისუნარიანი იქნებით. ორგანიზებულობა და შემოქმედებითობა მოგემატებათ. მეგობრულ და გულღია დამოკიდებულებას ადვილად შეუთავსებთ დიპლომატიასა და ქედმაღლობას. ხელისუფლების ნებისმიერ წარმომადგენელთან საერთო ენას ადვილად იპოვით და საწადელსაც მიაღწევთ. განწყობის ცვლილებისას საკუთარი ქცევები გააკონტროლეთ. სხვათა გადმობირება-დარწმუნების უნარით ფარული ლიდერის პოზიციას ადვილად მოიპოვებთ.**

**თევზები** (19.02-20.03)

**ესთეტიკური მოთხოვნილება იმატებს, რაც სახლში რემონტის გაკეთების ან ახალი ნივთების შეძენის სურვილს გაგიძლიერებთ. ხელსაყრელი პერიოდია უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმეებისთვის. შეყვარებულის, მეგობრებისა და ახლობლების წრეში გატარებული დრო ხალისს ერთიორად შეგმატებთ, ოღონდ ალკოჰოლს ნუ მიეძალებით. შორეული მივლინება კავშირის გაფართოებასა და წინსვლაში დაგეხმარებათ. გადაადგილება-მოგზაურობისას ეცადეთ, არ გაცივდეთ.**

**მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 25,27,28,29 და 30 ივლისი**

**13 ივლისი – სავსემთვარეობა;**
**28 ივლისი – ახალმთვარეობა.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 25 ივლისი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 04.48 საათზე, ჩადის 19.26 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (21.55) კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 01.28 საათზე, ჩადის 17.26 საათზე (მთვარის 26-ე დღე იწყება 01.46 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 12.14 საათიდან 21.55 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ზედმეტს ნუ ილაპარაკებთ. ინტუიციას დაეყრდენით. მაღალია ფინანსური ხრიკების ალბათობა. გაუფრთხილდით ძვირფას ნივთებს. არ არის სასურველი უჰაერო სივრცეში დიდხანს ყოფნა, ახალი საქმის დაწყება, ქორწინება, უძრავი ქონების გაყიდვა, საქმის გარჩევა. კარგი დღეა მოკლე მანძილზე მოგზაურობისთვის, მოლაპარაკებებისა და შეხვედრებისთვის, გაცვლითი ოპერაციების, საკომუნიკაციო ტექნიკის შესაძენად, სწავლისთვის. **ჯანმრთელობა.** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, კუჭი, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, საფირონი, ამაზონიტი, ზურმუხტი, აქატი. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის.

## 26 ივლისი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 04.49 საათზე, ჩადის 19.25 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 02.12 საათზე, ჩადის 18.18 საათზე (მთვარის 27-ე დღე იწყება 02.24 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** გზაზე გადაადგილებისას მეტი სიფრთხილე გმართებთ. დღეს იმატებს ზეციური ძალის მხარდაჭერა და იღბლიანობა. ხანდაზმულებს მეტი დრო დაუთმეთ. სასიკეთოა დიეტის დაცვა. ეფექტური იქნება კბილების, სახსრებისა და ხერხემლის მკურნალობა. კარგი დღეა საოჯახო-სანათესაო ურთიერთობისთვის, შემოქმედებისთვის, ვაჭრობისთვის, სასამართლო პროცესებისთვის, მცენარეთა დარგვა-გადარგვისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება ან გაცემა. მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა. საბუთები ხელმოწერამდე კარგად შეამოწმეთ. **ჯანმრთელობა.** დასუსტებულია მკერდი, კუჭი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, აქატი, რაუხტოპაზი, ოპალი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის.

## 27 ივლისი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 04.50 საათზე, ჩადის 19.24 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 03.03 საათზე, ჩადის 19.04 საათზე (მთვარის 28-ე დღე იწყება 03.15 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს გათავისუფლდით ძველი და უსარგებლო ნივთებისა და ურთიერთობებისგან, ვალები გაისტუმრეთ, საქმეები დაასრულეთ. ახალმთვარეობის წინა დღეს არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, ქორწინება, მჭრელი და მჩხვლეტავი საგნების გამოყენება. მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა. საბუთები ხელმოწერამდე კარგად შეამოწმეთ. კარგი დღეა საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, შემოქმედებისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის, ვაჭრობისთვის. სასმელ-საჭმლის ხარისხი შეამოწმეთ, მაღალია მოწამვლის ალბათობა. **ჯანმრთელობა.** დასუსტებულია მკერდი, კუჭი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, აქატი, რაუხტოპაზი, მარგალიტი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 28 ივლისი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 04.51 საათზე, ჩადის 19.23 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (10.37) ლომის ზოდიაქოში. ამოდის 04.01 საათზე, ჩადის 19.42 საათზე (მთვარის 29-ე დღე იწყება 04.20 საათზე. **ახალმთვარეობაა,** პიკი — 21.55 საათზე. ამ დროს იწყება I ფაზა და I დღეც). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 04.54 საათიდან 10.37 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ახალმთვარეობის მძიმე ენერგიების დღეა. იყავით ყურადღებით. მოერიდეთ მოგზაურობას, მგზავრობას. მაღალია ტრავმების, ავარიების, კონფლიქტების, დეპრესია-აგრესიის გამოვლენის, ჯანმრთელობის გაუარესების ალბათობა. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, ფინანსური გარიგება, ხელშეკრულების დადება, ქირურგიული ოპერაციები, ბინის შეცვლა, ქორწინება, ნიშნობა. სასიკეთოა ლოცვა, ახალი საქმის დაგეგმვა, რთულ საკითხებში კომპრომისის გამონახვა, შემოქმედება. **ჯანმრთელობა.** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** გიშერი, მთის ბროლი, ბრილიანტი, სერდოლიკი, ქარვა. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 29 ივლისი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 04.52 საათზე, ჩადის 19.22 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 05.02 საათზე, ჩადის 20.14 საათზე (მთვარის მე-2 დღე იწყება 05.34 საათზე. I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეიდან იღბლიანობისა და გამარჯვების მმართველი პლანეტა **იუპიტერი** რეტროგრადული ხდება (24 ნოემბრამდე), რაც დაგვაბრუნებს ძველ ფილოსოფიურ ცოდნასთან, გაართულებს მოგზაურობას, უცხოეთთან კონტაქტებს, სპორტულ შეჯიბრში წარმატების მიღწევას, სწავლას, სოციალურ კიბეზე აღმასვლას, წინაღობებს შეუქმნის იურიდიულ, იდეოლოგიურ, რელიგიურ საკითხთა გადაწყვეტას. დღეს კი ორგანიზმი მიმართულია თვითწმენდისკენ, ამიტომ ზედმეტ საკვებს ნუ მიიღებთ. არ არის სასურველი სიმძიმეების აწევა, ნერვიულობა, ფიზიკური და ემოციური გადაღლა, სოლარიუმსა და საუნაში ვიზიტი, ქორწინება, ბინის შეცვლა, ფინანსური გარიგება, ხელშეკრულების დადება, პრეტენზიის გამოხატვა. კარგი დღეა ახალი სამსახურის დასაწყებად, ძველი საქმის დასასრულებლად, იურიდიული საქმეებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ძვირფასი ნივთებისა და საჩუქრების შეძენისთვის. **ჯანმრთელობა.** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სერდოლიკი, ქარვა, სარდიონი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 30 ივლისი, შაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 04.53 საათზე, ჩადის 19.21 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (22.12) ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 06.06 საათზე, ჩადის 20.42 საათზე (მთვარის მე-3 დღე იწყება 06.51 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 08.29 საათიდან 22.12 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს შესაძლებელია ახალი იდეისა თუ პროექტის დაგეგმვა. ხელი შეეწყობა გავლენიან და ხელმძღვანელ პირებთან შეხვედრას, თანამდებობის დაკავებას. კარგი დღეა ძვირფასი ნივთებისა და საჩუქრების შესაძენად, მეგობრული კონტაქტებისთვის, ახალი სამსახურის დასაწყებად, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, მშენებლობის დასაწყებად, თმის მოვლისთვის. არ არის სასურველი ნერვიულობა, სიმძიმის აწევა, ფინანსური გარიგება, ხელშეკრულების დადება, ქორწინება, ნიშნობა, ბინის შეცვლა, ცხოველებით ვაჭრობა. **ჯანმრთელობა.** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, ქარვა, სარდიონი, იასპი. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 31 ივლისი, კვირა

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 04.54 საათზე, ჩადის 19.20 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 07.10 საათზე, ჩადის 21.06 საათზე (მთვარის მე-4 დღე იწყება 08.10 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** ცოტა არ იყოს, რთული დღეა. შეუთანხმებელ ქმედებებს მოერიდეთ. ნებისმიერ საკითხს კონსტრუქციულად მიუდექით. მოერიდეთ წვრილმანში ჩაძიებას, ზედმეტად პირდაპირობას, საქმის გარჩევას. საჭმელ-სასმლის ხარისხი გააკონტროლეთ. კარგი დღეა საქმიანი მიმოწერისთვის, სწავლისთვის, ვაჭრობისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, სამკურნალო მცენარეების შესაგროვებლად, მცენარეთა დარგვა-გადარგვისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, წყლის ტრანსპორტით მგზავრობა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, სარისკო ქმედება. **ჯანმრთელობა.** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** მწვანე და ყვითელი იასპი, მალაქიტი, აქატი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის.

# საეკლესიო კალენდარი



26 ივლისი - კრება მთავარანგელოზისა გაბრიელისა

✝ 25 ივლისი. ორშაბათი. **ღირსთა მამათა ჩვენთა იოანესი — ღირსი ეფთვიმეს მამისა და გაბრიელისა, ათონელთა;** მოწამეთა პროკლესი და ილარისა; ღირსისა მიქაელ მალეელისა; მოწამისა ღოლინდუხტი აღმსარებელისა, რომელსა ეწოდა მარიამ. **დღესასწაული ღმრთისმშობლის ხატისა „სამხელიანი“.**

✝ 26 ივლისი. სამშაბათი. **კრება მთავარანგელოზისა გაბრიელისა.** ღირსისა სტეფანე საბაიტელისა; ივლიანესი, კენომანიელი ეპისკოპოსისა; მოწამისა სერაპიონისა; მოწამისა მარკიანესი.

✝ 27 ივლისი. ოთხშაბათი. მოციქულისა აკვილასი, 70-თაგანისა; მოწამისა იუსტი რომაელისა, მხედრისა; ღირსისა ელიოზ მონაზონისა; ღირსისა ონისიმე სასწაულმოქმედისა; იოსებისა, თესალონიკელი მთავარეპისკოპოსისა, თეოდორე სტუდიელის ძმისა; ღირსისა ნიკოდიმოს მთაწმინდელისა.

✝ 28 ივლისი. ხუთშაბათი. მოწამეთა: კვირიკესი და დედისა მისისა ივლიტასი; მოწამისა ავუდიმოსი; მოციქულთა სწორისა ვლადიმერისა, წმიდა ნათლისღებით ბასილისა.

✝ 29 ივლისი. პარასკევი. მღვდელმოწამისა ათენაგენი ეპისკოპოსისა და 10-თა მოწაფეთა მისთა; მოწამეთა: პავლესი და მისთანა ორთა დათა უალენტინასი და ქიონიასი; მოწამისა ანტიოქო მკურნალისა; მოწამისა იულია ქალწულისა.



28 ივლისი - ხსენება კვირიკესი და დედისა მისისა ივლიტასი

✝ 30 ივლისი. შაბათი. **დიდმოწამისა მარინესი, ქალწულისა;** აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა ღირსისა ლაზარე გალისიელისა.

✝ 31 ივლისი. კვირა. ღირსმოწამისა კოზმან ხუცესმონაზონისა, მწიგნობართუხუცესისა; მოწამისა ემელიანესი; მოწამისა იაკინთე ამასტრიდელისა; ღირსისა პამბო მეუდაბნოისა ნიტრიელისა.




საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა
GIDMEDI
GEORGIA - ISRAEL JOINT CLINIC
გიდმედი
გქონდეთ ჩვენი იმედი!
ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია
თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55

ელის უნიკალური კრემი და სასწაულმოქმედი სამკურნალო მალამო თქვენი სილამაზისა და ჯანმრთელობისთვის!



ქალბატონი ელი ამაშუკელის საგვარეულო მალამო 14 წელია, უამრავ ადამიანს კურნავს. ჩვენმა უამრავმა პაციენტმა დაამარცხა ძალზე ვერაგი სახსროვანი დაავადებები. შეიმსუბუქეთ მტანჯველი ტკივილები და უარი თქვით ნემსებზე, მედიკამენტებზე, ჰორმონებზე და უშედეგო მკურნალობაზე, გადაყრილ ფულზე. აჩერებს ართრიტის, ართროზის, კოქსართროზისა და ოსტეოპოროზის (და სხვა) პროცესს ძალიან ეფექტურად; აქრობს ანთებას თიაქარის დროს და უბრუნებს სახსარს ქმედითუნარიანობას; კურნავს მუხლის სახსროვან პათოლოგიებს და ხსნის ტკივილს; კვებავს სახსარსა და ძვალს; აფერხებს სითხის განლევას; ხსნის შეშუპებასა და დასიებას; აცხრობს ვენების ანთებით პროცესს; აჩქარებს გაბზარული ძვლის აღდგენას; ამაგრებს ქსოვილებს და მყესებს; აუმჯობესებს კანის სტრუქტურას და მასაჟის ფონზე ერევა ცელულიტს; ხდის კანს ელასტიკურს; შეიცავს უამრავ ვიტამინსა და მინერალს.
მალამო არის ქართული საგვარეულო რეცეპტი ბუნებრივი კომპონენტებით.

თბილისი, ფალიაშვილის 81, ვაკის პარკთან
599-22-59-09

წიგნის მუზეუმის ბუკინისტი:

შეიძენს კოლექციისთვის ძველ წიგნებს 1933 წლამდე გამოშვებულს — 1500 ლარად, ჟურნალებს, ასევე საბავშვო წიგნებს და ჟურნალებს — 1945 წლამდე გამოშვებულს, პლაკატებს, არქივებს, ავტოგრაფებს, ქაღალდის ფულს, მედლებს და ანტიკვარიატს

591-75-35-38


### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 5. გაბრო; 11. პარაბელუმი; 12. რომანოვი; 13. ტალკი; 14. კარიკატურა; 15. გარნირი; 16. რკინა; 17. პი; 19. სემირამიდა; 24. მაგნოლია; 25. კილი; 27. სარკოფაგი; 28. ნინიძე; 31. სეკანსი; 33. ალიგატორი; 38. ტიკჭორა; 39. ვაგიფი; 42. ბუნება; 43. ბრა; 44. პიკაპი; 47. სკა; 48. ლანდო; 49. კილიტა; 52. რეტირადი; 53. კირილიცა; 57. ლავანდა; 58. პერიგეა; 62. სარაბანდა; 63. დალანდი; 64. კოპერნიკი; 65. ანალიზი.

შვეულად: 1. კაბარე; 2. ფაკირი; 3. ბეგარა; 4. ბულული; 5. გიტარა; 6. ბილაინი; 7. ორიგამი; 8. სმარაგდი; 9. ანკილოზი; 10. ევრიპიდე; 18. ია; 19. სესია; 20. მერხი; 21. რბოლა; 22. მზალო; 23. დაისი; 25. კუკია; 26. ლანდი; 28. ნიტი; 29. ნაკლი; 30. ძროხა; 32. ზაქი; 34. ლაური; 35. გრემი; 36. ტრასა; 37. რაბატი; 39. ვალსი; 40. განდი; 41. ფლორა; 44. პეტრე; 45. კერკი; 46. პადრე; 49. კოლოდი; 50. ლევილი; 51. ტანინი; 53. კასია; 54. რურუა; 55. ლიბრი; 56. ცინკი; 58. პაპი; 50. რერო; 60. გოია; 61. ალია.

**მაკრონიანგიომარიშარიათინათიაბასილიმონიავა**
**მადანიაგარაკიმონოლითიუმიაკინიკაპიტანიიცა**

### 29-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 3. ფანდური; 9. ბრენდი; 10. ტენგე; 11. ნირვანა; 12. ქსენძი; 13. ლეონე; 14. კლავირი; 15. შირაქი; 18. აყირო; 20. მიდია; 23. ფალანგა; 24. მაიორი; 26. დერგი; 27. არემარე; 28. მთიები; 29. რკალი; 30. ისიკავა; 34. აბაზია; 38. ნიუ; 40. ანაკონდა; 41. რეკრუტი; 42. ლუი; 43. მელომანი; 47. ამერიკა; 52. გარანტი; 53. ანდამატი; 54. რაი; 55. ალიდადა; 56. ანომალია;

შვეულად: 1. კრისტი; 2. ანანია; 3. ფინიკი; 4. ნორმალი; 5. უნაგირი; 6. იტალია; 7. ინდოლი; 8. ბეჰემოთი; 15. შაფრანი; 16. რელიეფი; 17. ქანქარა; 19. ყვირილა; 20 მადერა; 21. დურგალი; 22. ამიმია; 25. რუბლი; 31. სანტე; 32. კაკაო; 33. ვანგა; 35. ბუკლე; 36. ზიუდი; 37. აჯიკა; 38. ნალი; 39. ურია; 43. მაგმა; 44. ლარდი; 45. მანია; 46. ნაირა; 48. მედეო; 49. რამპა; 50. კიტრი; 51. მაია.

| საფრანგეთის პრეზიდენტი | კეთილთვისებიანი სიმსივნე | ფრანგი მსახიობი მამაკაცი | ჭუჭრუტანიდან ბნელში შემოსული სინათლის სხივი | ირანის შაჰი | ციტრუსი | ... გარ-დნერი |
|---|---|---|---|---|---|---|

| სიტყვის ნაწილი, ნიშნავს დიდს | ალიგატორის რაობა | ზღვის დიდი კიბო | მუსლიმანური სამართლის რელიგიური და იურიდიული ნორმები | ... თურნავა | ბიზანტიის იმპერატორი | ქართველი მსახიობი მამაკაცი |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 5. კედლის მოსაპირკეთებელი ქანი; 11. ერთგვარი ავტომატური პისტოლეტი; 12. რუს იმპერატორთა გვარი; 13. სამედიცინო თეთრი ფხვნილი; 14. ვინმეს ან რამის სასაცილო, დამახინჯებული ნახატი; 15. საკაზმი თევზის ან ხორცისგან მომზადებული საჭმლისათვის; 16. ქიმიური ელემენტი, მეტალი; 17. მათემატიკური მუდმივა; 19. ასირიის ლეგენდარული დედოფალი; 24. თბილი ქვეყნების დეკორატიული მცენარე თეთრი ყვავილებით; 25. მცირე ნაკლი; 27. ქვის კუბო ძველ ეგვიპტეში; 28. ქართველი მსახიობი მამაკაცი; 31. კუთხის ერთ-ერთი ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 33. ნიანგის სახეობა; 38. პატარა ტიკი; 39. აზერბაიჯანელი პოეტი; 42. ნატურა; 43. კედლის სანათი; 44. პატარა სატვირთო-სამგზავრო ავტომობილი; 47. ფუტკრების „სახლი“; 48. ძველებური ოთხადგილიანი ეტლი; 49. ფოლგა; 52. ქალაქის საზოგადოებრივი საპირფარეშო; 53. ძველი სლავური ანბანი; 57. სამხრეთის ქვეყნების ეთერზეთოვანი მცენარე; 58. მთვარის ორბიტის დედამიწასთან ყველაზე ახლო წერტილი; 62. ძველებური ესპანური ცეკვა; 63. გ. ტაბიძე — „გემი ...“; 64. პოლონელი ასტრონომი; 65. სამედიცინო გამოკვლევის მეთოდი.

შვეულად: 1. პატარა რესტორანი ესტრადითურთ; 2. მოხეტიალე მეფოკუსე; 3. ყმების გადასახადი ძველად; 4. თივის პატარა ზვინი; 5. სიმებიანი საკრავი; 6. რუსული მობილური კავშირის კომპანია; 7. ქაღალდის კეცვის ხელოვნება; 8. მწვანე ფერის ძვირფასი ქვა, ზურმუხტი; 9. სახსრის უძრაობა; 10. ძველი ბერძენი დრამატურგი; 18. ვაჟა-ფშაველას მოთხრობა; 19. პარლამენტის პერიოდული სხდომა; 20. სასკოლო მაგიდასკამი; 21. სპორტული შეჯიბრება; 22. ელგუჯას სატრფო (ალ. ყაზბეგი); 23. მზის ჩასვლის დრო; 25. თბილისის უბანი; 26. აჩრდილი; 28. სინათლის სიკაშკაშის ერთეული; 29. ზადი, წუნი; 30. შინაური ცხოველი; 32. კამეჩის ნაშიერი; 34. NBA-ს კალათბურთელი; 35. პოპმუსიკის ჯილდო აშშ-ში; 36. გეზნიშანი; 37. საქონელზე ფასჩამოკლება მუდმივი პარტნიორისათვის; 39. წყვილთა ცეკვა; 40. ინდოეთის პოლიტიკური მოღვაწე; 41. მცენარეთა სამყარო; 44. რუსეთის იმპერატორი; 45. წვრილნაყოფიანი კურკოვანი ხეხილის გამხმარი ნაყოფი; 46. კათოლიკე მღვდელი; 49. იტალიელი მწერალი; 50. ქართველთა სამოსახლო საფრანგეთში; 51. მთრიმლავი ნივთიერება; 53. ბიზანტიელი პოეტი ქალი; 54. ქართველი მოჭიდავე (ყოფილი); 55. ბისტი; 56. თუთია; 58. კათოლიკური ეკლესიის მეთაური; 59. ქართული საესტრადო ანსამბლი (ძვ.); 60. ესპანელი ფერმწერი; 61. ქართული გაზეთი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| სასარგებლო მინერალის შემცველი ქანი | ზაფხულობით დასასვენებელი ადგილი | მთლიანი ქვის ლოდი | ესკიმოსების ნავი | ქვედა ყბის ნაწილი | მთრიმლავი ნივთიერება | ზე-ცა |
|---|---|---|---|---|---|---|

| იშტა | ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში | იაპონური სამოსი | ქიმიური ელემენტი, ლითონი | პოეტი-მომღერალი შუა აზიაში | ოფიცრის წოდებულება | ქალაქი საფრა-ნგეთში |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2022 წლის 25 — 31 ივლისი №31 (1443)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მეღიაჰოლჰინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

სარედაქციო კოლეგია

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“**.
ტელეფონები: **215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www. facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**

